



ՏԵԽՆՈԼՈԳԻԱ

ARCHEION

XXVI



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა
და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება –
საარქივო სამმართველო

*Sub-department of Ministry of Education, Culture and Sport of Ajara
Autonomous Republic – Archives Administration*

ISSN 2233-3541

ა რ ხ ე ი ო ნ ი

A R C H E I O N

XXVI

თბილისი 2024 Tbilisi

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე: მაია ივანიშვილი
რედაქტორი: თამაზ ფუტკარაძე

სარედაქციო საბჭო:

თეონა იაშვილი, რამაზ ბოლქვაძე, ბესიკ ბაუჩაძე, ანზორ თხილაიშვილი, ელგუჯა გოგიბერიძე, მაია რურუა, ფრიდონ ქარდავა, ნატო ქიქავა, ოთარ გოგოლიშვილი, მერაბ კეზევაძე, ჯემალ კარალიძე, ციური ქათამაძე, ირაკლი ბარამიძე, მერაბ მეგრელიშვილი

Maia Ivanishvili – chairman of editorial board

Tamaz Putkaradze – editor

Editorial Board:

Teona Iashvili, Ramaz Bolkvadze, Besik Bauchadze, Anzor Tkhilaishvili, Elguja Gogiberidze, Maia Rurua, Fridon Kardava, Nato Kikava, Otar Gogolishvili, Merab Kezevadze, Jemal Karalidze, Tsiuri Katamadze, Irakli Baramidze, Merab Megrelishvili

კრებულში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს სარედაქციო საბჭოს შეხედულებებს.

ავტორების სტილი დაცულია.

Any opinion expressed in the book belongs to the author and may not reflect the view of the editorial board.

Authors' style reserved

აჭარის საარქივო სამმართველო, ტელეფონი: 0422 27 52 10

ვებ გვერდი: <http://adjara.gov.ge/branches/default.aspx?gid=2>

გამომცემლობა „**უნივერსალი**“

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბახოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

**1921 წლის მარტი ბათუმში მაზნიაშვილისა და
რუსი გენერლის ჩანაწერების მიხედვით**

მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო მოვლენები ვითარდებოდა ბათუმში 1921 წლის მარტში. უკვე სრულდებოდა წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაცია, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა ბათუმში იყო გადმოხვეწილი და ერთის მხრივ ქემალისტური თურქეთის ემისართა ხრიკებსა და აშკარა აგრესიას უმკლავდებოდა, მეორეს მხრივ კი ცდილობდა საბჭოთა ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლის ხაზი შეენარჩუნებინა. ამ პერიოდში ქართულ ჯარს ღირსებასა და სახეს გენერალი მაზნიაშვილი თუ უნარჩუნებდა და ჯერაც სამხედრო წესრიგით აკავებდა მტერს სადღაც რიონთან.

მთავარი საკითხი მაინც ბათუმისთვის ბრძოლები იყო. ამ ბრძოლის შესახებ საკმაოდ გაურკვეველი სურათი იხატება. საბჭოთა ოკუპანტი ქართულ ჯარს ებრძოდა ბათუმისთვის. ქიაზიმ ბეი და თურქეთი კი ქართულ ძალებს ებრძოდნენ, ასევე ბათუმისთვის. მაგრამ ისე უნდა გამოჩენილიყო, რომ თითქოს რუსები და თურქები ერთმანეთს არ ებრძოდნენ. ურთულესი ვითარება იყო შექმნილი, ბოლშევიკები არ დათმობდნენ, მენშევიკები კი გარბოდნენ და არაგინ იცოდა, ვის ხელში უნდა დარჩენილიყო გაჭირვებით შემოერთებული აჭარა.



ეს ვითარება საინტერესოდ არის გადმოცემული ორ მოგონებაში. ერთის ავტორია ოკუპანტი, 33-ე დივიზიის 98-ე ბრიგადის 292-ე პოლკის მეთაური, მაიორი **ზოლოტოვი**, მეორის კი – საქართველოს ეროვნული გმირი, გენერალი **გიორგი მაზნიაშვილი**.

გაგაცნობთ ამონარიდებს ზოლოტოვის მოგონებებიდან და თან შევეცდებით მაზნიაშვილის მოგონებებიდან ციტატებით მოხმობით ნათელი სურათი შევქმნათ ბათუმისთვის ბრძოლაზე.

ძირითად თხრობას ზოლოტოვის ტექსტიდან წარმოგიდგენთ:

„პირველმა ასეულმა გადალახა ჩაქვისწყალი და განახორციელა მტკიცე შეტევა, შეუპოვრად ეკვეთა მტერს, გაანადგურა და ტყვედ აიყვანა მოწინააღმდეგე. მოწინააღმდეგე პანიკით იხევდა. ცდილობდა რა გამაგრებულიყო მწვანე კონცხის გვირახთან, მაგრამ სწრაფმა შეტევამ იქიდანაც განდევნა. მე-2 ბატალიონი შეტევაში მყოფ პირველ ასეულს ფეხდაფეხ მიჰყვებოდა. თამართან ჩვენი ნაწილები შეხვდა ტყვიამფრქვევისა და სხვა იარაღის ძლიერ ცეცხლს. პატარა სამებიდან გრიადებდა მოწინააღმდეგის არტილერია. გაჩაღდა ბრძოლა.

შავ ზღვაზე გამოჩნდა ნადმოსანი საფრანგეთის დროშით. ის მოგვიახლოვდა ტყვიამფრქვევების სასროლ მანძილზე და გაგვისხსნა ცეცხლი“.

ეს უკვე ის პერიოდია, როცა ბათუმის რეკომის მიერ დანიშნული გენერალი მაზნიაშვილი მეთაურობს ფრონტს. ასე რომ, ნაკლებ სავარაუდოა, საფრანგეთის გემებს რუსებისთვის გაეხსნათ ცეცხლი. ასევე ტრაბახს გაეს ზოლოტოვის ტრიუმფით სვლის ბატალიები.

როგორც შემდეგ გამოჩნდება მაზნიაშვილის მოგონებებიდან, ბრძოლები სწორედ მისი მითითებებითა და სარდლობით ხორციელდებოდა.

„ამასობაში კი ორი ბატალიონი უკვე ჩამოსხდა და შემოვლითი გზით დაიძრა ბათუმისაკენ ყარა-დერეს, პატარა სამების ფორტის ჩრდილოეთ ნაწილისა და დიდი

სამების ფორტს შორის, ბარცხანის ბატარეას შემოვლით. ბატალიონს აქ უშუალოდ მე ვმეთაურობდი. მოწინააღმდეგეებ, აწარმოებდა რა ბრძოლას პირველ ბატალიონთან, შეასუსტა თავისი ძალები მეორე ბატალიონის მიმართულებით. მეორე ბატალიონმა, ჩემი პირადი მეთაურობით, საათნახევრიანი მტკიცე მიწოლით შემოუარა მცირე სამების ფორტს ჩრდილოეთიდან და დაარტყა ზურგში, აიღო ფორტი მცირე სამება. შემდეგ მე დავიძარი იმ ნაწილების ზურგისკენ, რომლებიც აწარმოებდნენ ბრძოლას ჩვენს პირველ ბატალიონთან. მოწინააღმდეგის ნაწილები ამ გზით აღმოჩნდნენ ალყაში. ისინი პანიკაში ჩავარდნენ და დაიწყეს უკანდახევა ბარცხანის ბატარეის ყაზარმებისკენ. პირველი და მეორე ბატალიონის მეგობრულმა ძაღლისხმევამ სწრაფად გადაწყვიტა საქმე. ქიაზიმ ბეის ნაწილები განადგურებული და ტყვედ იქნა აყვანილი. ჩვენ დავიპყართ ბარცხანის ბატარეა“.

აქაც გადამეტებული ჩანს ზოლოტოვის ღვაწლი, რადგან მაზნიაშვილი პირდაპირ წერს:

„შემდეგ მოველაპარაკე გენერალ წულუკიძეს და ართმელაძეს და ციხის რაიონი გავყავი ორ მებრძოლ უბნად: ნაწილი ქალაქისა, ბარცხანა და კახაბრის ფორტები დაუქვემდებარე გენერალ წულუკიძეს, ხოლო ქალაქის მეორე ნაწილი, სტეფანოვკა და ანარიის ფორტები – გენერალ ართმელაძეს“ (ასე რომ, ბარცხანისათვის ბრძოლებს მეთაურობდა წულუკიძე და არა – ზოლოტოვი. ავტორის შენიშვნა).

„წულუკიძე თავისი რაზმით გამოვიდა პაკვაუხებიდან, გარშემოერთვა ფორტს და გადებული ალყაფის კარებთან შეიჭრა თვით ფორტში. ნახევარი საათის შემდეგ ბარცხანის მთელი გარნიზონი განადგურებულ იქნა; ნაწილი ამოხოცეს, ნაწილი კი, რიცხვით 218 ასკერი, დაატყვევეს და ჩემს შტაბში გამოგზავნეს“, – ეს მაზნიაშვილის სიტყვებია.

ზოლოტოვი კი წერს:

„ბარცხანასა და მცირე სამების ფორტების რაიონში მოქმედი შტაბი ავიყვანეთ ტყვედ. ტყვედ ავიყვანეთ ყველა ეს ნაწილები. ქიაზიმ ბეის ნაწილებთან ომისას ისმოდა სროლა ქალაქ ბათუმიდან ქიაზიმ ბეის მიმართულებით. მას შემდეგ, რაც ჩვენ ავიღეთ ბარცხანისა და სამების ყაზარმები, ქალაქ ბათუმიდან ეს სროლები შეწყდა. ბათუმიდან გამოემგზავრა დელეგაცია ამხ. გაბელიას მეთაურობით. ამ დელეგაციამ თავი გამოაცხადა ქალაქ ბათუმის რევოლუციურ სამხედრო საბჭოდ. მაღლე ამის შემდეგ გამოემართნენ მენშევიკური ნაწილები გენერალ მაზნიაშვილის მეთაურობით წითელ არმიასთან შესახვედრად.

გენერალმა მაზნიაშვილმა მაღლე მოგვცა სრული თანხმობა რევეკომსა და პირადად მე ქალაქ ბათუმის ჩაბარებაზე და რომ ყველა მენშევიკური ჯარი დაექვემდებარებიან რევეკომს და როგორც მაზნიაშვილი, ასევე მენშევიკური ნაწილები იბრძოლებენ ანგორის ხელისუფლების წინააღმდეგ, ქიაზიმ ბეის წინააღმდეგ, რომელიც ოცნებობდა შეიარაღებული ძალებით დაეპყრო ბათუმი“.

გენერალი მაზნიაშვილი კი იხსენებს:

„გამთენიისას, 4 საათზე, მე და თ. ჟღენტი წავედით ავტომობილით რევეკომის თავმჯდომარე – ს. ქავთარაძესთან, რათა მოგვეხსენებინა ჩვენი გადაწყვეტილება და რაც შეეხება ჩვენ მიერ მიღებულ ზომებს, ვთხოვეთ – მოეწერნა ხელი ბრძანებაზე, რომლითაც მე ვირიცხებოდი საქართველოს წითელი ჯარის სარდლად და ბათუმის ოლქის გენერალგუბერნატორად. დილის 6 საათზე ქალაქის ყველა ქუჩაზე უკვე გაკრული იყო ბრძანება ჩემი დანიშვნის შესახებ“.

შესაბამისად, მაზნიაშვილი ვერაფრით ვერ ჩააბარებდა ქალაქს ზოლოტოვს.

„ყველა სახელმწიფო დაწესებულება, ტელეგრაფი, ბანკი, ფოსტა, სადგური, პორტი, კახაბრის ციხესიმაგრე,



ცენტრში გენერალი გიორგი მაზნიაშვილი

კაიადობა (каядына) სტეფანოვკა, შავი ზღვის ბატარეა, ბურუნ ტაბიე, ბარცხანა, დიდი და პატარა სამება – ყველა ესენი უკვე ჩვენს ხელთ იყო. ქიაზიმ ბეის მიეცა წინადადება, ორ საათში გაეთავისუფლებინა ყველა დაკავებული სახელმწიფო დაწესებულება და გადმოეცა ყველა პოსტი ბათუმის რევოლუციურ სამხედრო საბჭოსთვის. ეს მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ტელეფონით უშუალოდ რევეკომის თავმჯდომარის – გაბელიასა და ქიაზიმ ბეის შორის“.

აქაც ცდება მაიორი, რევეკომის თავმჯდომარე იყო ქავთარაძე და არა – გაბელია.

„ქიაზიმ ბეიმ კატეგორიული პროტესტი გამოთქვა, განაცხადა რა, რომ ანგორას ხელისუფლების განკარგულების გარეშე არ ჩააბარებდა ბათუმს. ქიაზიმ ბეი ყოველნაირად ცდილობდა დაეყოვნებინა ქალაქის გადმოცემა და გეთავაზობდა, ექსცესების თავიდან ასაცილებლად შემოგველო ერთობლივი დაცვა. ბათუმის სამხედრო რევოლუციურმა კომიტეტმა ქიაზიმ ბეის ისევ ულტიმატუმი წაუყენა და ვადის ამოწურვამდე ქიაზიმ ბეიმ თანხმობა განაცხადა, მოეხსნა თავისი პოსტები სახდაწესებულებიდან და გადმოეცა ჩვენთვის. მიეცა განკარგულება წითელ 292-ე პოლკს, შესულიყო ბათუმში.

19 მარტს, 18 საათზე, ნაშუადღევზე, 33-ე დივიზიის 98-ე ბრიგადის 292-ე პოლკმა დაიკავა ქალაქი ბათუმში. მოსახლეობა აღფრთოვანებით შეგვეხვდა ჩვენ. ქალაქმა საჩქაროდ მიიღო საზეიმო სახე. ყველგან წითელი დროშები იყო. როცა ჩვენი ნაწილები მიდიოდნენ ქალაქში, მათ ესროდნენ ყვავილებს“.

მოკლედ, რაღა ხატაულებთან გამარჯვების შემდეგ დაბრუნებული ტარიელი, „ქალაქი ქუჩა და ბანი“ აღფრთოვანებით რომ ხვდებოდა და რა ზოლოტოვი. ზოლოტოვი ომახიანად ბრძანებს: „ასე იქნა ადებული ბათუმში, ასე დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება აჭარისტანში“.

მაზნიაშვილის მიერ სამდღიანი თავგანწირული ბრძოლებით განთავისუფლებულ ბათუმში შევიდა ზოლოტოვი, თავისი პოლკით და მაინც იმას ამბობს, მე ავიღე ქალაქი. იგი უღობასაც კი არ ახსენებს, ვისაც ნამდვილად მიუძღოდა გარკვეული წვლილი მაზნიაშვილის მეთაურობით ბათუმის განთავისუფლების ოპერაციაში. მაგრამ ისტორიამ მაინც ხომ იცის სინამდვილეში ვინ მეთაურობდა ბათუმის განთავისუფლების საქმეს, ვისი სამხედრო ნიჭისა და პატრიოტიზმის ნაყოფიც იყო ეს ბრწყინვალე გამარჯვება? გავისხენოთ რა ბედი ეწია მათ:

„20 მარტს მოვიდა ბათუმში სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი, ამხ. შალვა ელიავა, რომელსაც დაწვრილებითი მოხსენება წარვუდგინე სიტყვიერად ოსმალებთან ახლად დამთავრებული სამი დღის ბრძოლის შესახებ. შემდეგ მოვახსენე საჯავახოსა და ბათუმში მყოფ ქართული ჯარის მდგომარეობა, მისი რიცხვი, შემადგენლობა, მოკაზმულობა, შეიარაღება და სხვა. სახალხო კომისარმა მოისმინა ჩემი მოხსენება და მიბრძანა, მაშინვე გამეცა განკარგულება საქართველოს ჯარების დაშლის შესახებ“.

უკვე არც მაზნიაშვილი სჭირდებოდა ვინმეს და არც ქართველი ჯარისკაცები. გენერალ მაზნიაშვილს სამშობლოსთვის დაცემული მამულიშვილების გვამების პატრონობადა ანდეს: „დასასრულ ჩვენ შევეხეთ ოსმალებთან სამი დღის ბრძოლებში მოკლულ ჯარისკაცთა დამარხვის საკითხს. ამ დაღუპული გმირების რიცხვი 84 კაცამდე აღიოდა. სამხედრო კომისარმა ბრძანა, დაემარხათ ისინი აზიზიეს მოედანზე დიდი ზეიმით, რაც მეორე დღეს სისრულეში იქნა მოყვანილი“.

ცხადია, მტერი და დამპყრობელი არ გავისხენებს შენს გმირებს, მაგრამ ჩვენ რაღა გვიშლის ხელს ყოფილ აზიზიეს მოედანზე დაკრძალული გმირების საფლავებს მაინც მივაგოთ ღირსეული პატივი და მათ ხსოვნას ერთი ღირსეული მონუმენტი რომ მივუძღვნათ, მათი თავგანწირვის დაუვიწყარი გმირობის ძეგლად?!

1921 March of Mazniashvili and the Russian general in Batumi
According to the records
Summary

Very important and interesting events took place in Batumi in March 1921. The occupation of Georgia by the Red Army was already coming to an end, the independent Georgian government was in Batumi and on the one hand it was dealing with the tricks and open aggression of the emissaries of Kemalist Turkey, and on the other hand it was trying to maintain the line of struggle against the Soviet occupiers. During this period, General Mazniashvili maintained the dignity and face of the Georgian army. The main issue was the battles for Batumi. According to the article, the role and merit of General Mazniashvili in the battle for Batumi is convincingly presented.

ნინო გოგიტიძე
მზია სურმანიძე

ტანვარჯიშის საზოგადოება „სოკოლ“-ი // „შეგარდენი“ ბათუმის
ვაჟთა და პირველ ქართულ გიმნაზიაში (1910-1921 წლებში)
(აჭარის საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით)

აჭარის საარქივო სამმართველოს ფონდებში დაცულია მეტად საინტერესო დოკუმენტები ტანვარჯიშის საზოგადოება „სოკოლის“//„შეგარდენის“ შესახებ. ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორის 1910 წლის 24 აგვისტოს ანგარიშით, რომელიც კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის სახელზეა შედგენილი, ირკვევა, რომ გიმნაზიის გერმანული ენის მასწავლებელ მახანს, საზღვარგარეთ მივლინებაში ყოფნის პერიოდში, დაევალა ტანვარჯიშის მასწავლებლის შესაფერისი კანდიდატის მოძიება. მისი არჩევანი შეჩერდა 23 წლის ვაცლავ ადოლფის ძე კოუბაზე, რომელიც წარმოშობით იყო პრადელი ჩეხი. მას დამთავრებული ჰქონდა ხუთკლასიანი სახალხო, სამკლასიანი საქალაქო სასწავლებლები და ორკლასიანი პროფესიული სკოლა უფროსებისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ ის წერდა და კითხულობდა რუსულად. კოუბას შეეძლო ტანვარჯიშის სწავლება **სოკოლისებური და შეგდური სისტემებით**. იმ დროისათვის კოუბა პრადის ვაჟთა თავშესაფარსა და საზოგადოება „სოკოლი“-ს (უფროსი ასაკის ახალგაზრდების) განყოფილებაში მუშაობდა **ტურნმეისტერად**. საჭირო იყო კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის თანხმობა, რომლის შემდეგ უნდა გაფორმებულიყო ხელშეკრულება კოუბასთან. ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების გარდა, მას თავისუფალ დროს მეცადინეობა უნდა ჩატარებინა არნოლდის პროგიმნაზიაში, სახელოსნო და საქალაქო სასწავლებლებში, აგრეთვე ბათუმში ახლად გახსნილ ფიზიკური განვითარების დამხმარე საზოგადოებაში (ასს ცსა, ფ. ი-10, ან.1, ს.106, ფურც.1)

საქმეში დაცულია ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის თანამშრომელთა სია, საიდანაც ირკვევა, რომ, კოუბა, როგორც დაქირავებული მასწავლებელი, მუშაობას იწყებს 1910 წლის პირველი სექტემბრიდან და ენიშნება ხელფასი 900 რუბლის ოდენობით. იგი დაბადებულია 1888 წელს, კათოლიკური აღმსარებლობის, ცოლიანი, არ გააჩნია ქონება და ჩინი (ასს ცსა, ფ. ი-10, ან.1, საქმ. 55, ფურც.4)

ფონდებში დაცულია ინფორმაცია გაცემული დახმარებების შესახებაც. ვაჟთა გიმნაზიის სხვადასხვა საჭიროებისათვის გახარჯული თანხის უწყისიდან ჩანს, რომ ოლქის მზრუნველის თანხმობით, 1910 წლის 28 დეკემბერს გაიცა დახმარება გიმნაზიის ტანვარჯიშის მასწავლებელ ვ. კოუბაზე, 150 რუბლის ოდენობით. ეს

თანხა გათვალისწინებული იყო პრადიდან ბათუმში მგზავრობისათვის ასს ცსა, ფ.ი-10, ან. 1, საქმ.19, ფურც.34)


პირად საქმეში დაცულია დოკუმენტი//მოწმობა, რომლის მიხედვით, ავსტრიის ქვეშევრდომი ვ. ა. კოუბა 1913 წლის 24 ნოემბრიდან ითვლება ბათუმის ტანვარჯიშის საზოგადოება „სოკოლი“-ს გიმნაზიარსად (ასს, ცსა, ფ. ი-10, ან. 1, საქმ.107, ფურც.3)




დოკუმენტებიდან ჩანს, რომ საზოგადოება „სოკოლი“ აქტიურად იყო ჩართული ქალაქში ჩასატარებელ სხვადასხვა სახის ღონისძიებებსა და საქველმოქმედო საქმიანობაში. მაგ. 1916 საზოგადოებას დაეკემილი ჰქონდა ღონისძიების ჩატარება რკინის თეატრში, რის გამოც თხოვნით მიუმართავთ გიმნაზიის დირექტორისათვის. გათვალისწინებული იყო ღონისძიებაში მოსწავლეთა ორკესტრის მონაწილეობა. ღონისძიებიდან შემოსული თანხის 20% უნდა ჩარიცხულიყო უპოვარ მოსწავლეთა დასახმარებლად (ასს ცსა, ფ. ი-10, ან.1, საქმ.2, ფურც.145)

1919 წლის დეკემბრიდან საზოგადოება „სოკოლი“-ს საბჭოს თავმჯდომარედ ჩანს რ. ე. ჯავახიშვილი. მას თხოვნით მიუმართავს საქალაქო სათათბიროსათვის ბათუმის ბუღალრის ტერიტორიაზე, საზოგადოებრივი საკრებულოს შენობის მიმდებ-

ბარედ შესაბამისი ფართის იჯარით გაცემის თაობაზე, ეს თხოვნა დაკმაყოფილდა 1920 წლის აგვისტოში. გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა ბუღვარში არსებული ტრეკისა და იქვე მდებარე საქალაქო, ხის შენობის სამი წლით იჯარით გადაცემას, ზღვის სანაპირომდე 20 საუენი სიგანის გასასვლელი ზოლით. შენობა შედგებოდა დარბაზისა და სამი ოთახისაგან. საიჯარო ფართის საერთო ფართობი იყო 3258, 65 კვ.საუენი. დოკუმენტი ხელს აწერენ: ქალაქის თავის მოვალეობის შემსრულებელი თავადი ჯავახოვი და მმართველობის წევრი ს. ლორთქიფანიძე.





ასს, ცსა. ფ. ი-6, ან. 1, საქმ. 1013, ფურც. 23, 26)

1919 წლის თებერვალში ბათუმში, მთავრობის ხელშეწყობით გაიხსნა პირველი ქართული გიმნაზია, სადაც ბავშვთა ტანვარჯიშს დიდი ყურადღება ეთმობოდა. მასწავლებლად მოიწვიეს ვლადიმერ ივანეს-ძე ახვლედიანი, რომელმაც საკუთარი ხარჯებით შეიძინა საჭირო ინვენტარი და მოაწყო პატარა ოთახი. ახლვედიანის ინიციატივით გიმნაზიასთან დაარსებული იქნა ტანსაცმლის საზოგადოება „შევაარდენი“ ქალ-ვაჟთა შემადგენლობით. საზოგადოებამ თავისი დღეც დააწესა - 26 ივნისი. გიმნაზიის დირექტორის ანგარიშში ვკითხულობთ: „ამ საზოგადოებამ ა. წ. 26 ივნისს მოაწყო თავისი დღე - „შევაარდენი“-ს დღე, სადაც მოწაფეების მიერ, ორკესტრის აკომპანიმენტით, შესრულებულ იქნა საკმაო მოხდენილად რამოდენიმე თვალსაჩინო თავისუფალი ვარჯიშობა და არა ღერძზე ვარჯიშობა. აღნიშნული დღით ძლიერ ნასიამოვნები დარჩა საზოგადოება, განსაკუთრებით ქართველობა, რომლებსთვის სასიამოვნო იყო ხილვა თავიანთი შვილების საღი სხეულის, საღი სულის, მტკიცე ნებისყოფის და მშვიდობიან ხასიათის. ჭეშმარიტად, ნამდვილი საბავშვო ქართველს გაეხარა ამ დღით“.

ამავე გიმნაზიაში, მოგვიანებით გახსნილი რუსული კლასების მოსწავლეთათვის მასწავლებლად მოიწვიეს **ვაცლავ ადოლფის ძე კოუბა**. საქმეში დაცულია საზოგადოება „შევარდენის“ საბჭოს სრული შემადგენლობის სია.

ტანსაცვარჯიშო საზოგადოება „შევარდენის“ საბჭოს შედგენილობა 1920-1921 წწ.

თანამდებობა	სახელი მამის სახელი, გვარი	სხვა თანამდებობა
თავმჯდომარე	გიზო ნესტორის-ძე ანჯაფარიძე	ბათომის ქალაქის თავი
თავმჯდომარის პ/ამხანაგი	ხასან-ფეენდი ლორთქიფანიზე	მეჯლისის თავმჯდომარე ბათომში
თავმჯდომარის მ/ამხანაგი	კატო კახიანი	
წევრები	კაპიტონ ალექსანდრეს ძე გოგოლაძე	ბათომის გამგეობის წევრი
-----	ონიფანტე რამიშვილი	ბათომის საბჭოს თავმჯდომარე
-----	მაშო გაბუნია	
-----	ვიქტორ ჭეღია	ბათომის სახალხო გვარდიის შტაბის თავმჯდომარის ამხანაგი
-----	ლონგინოზ რუხაძე	კომერსანტი
მდივანი	ირაკლი დიდიძე	საბინაო განყოფილების გამგე

ასს ცსა, ფ. ი-75, ან.1, საქმ. 34, ფურც. 14-ა, ბ

ფონდებში დაცულია აგრეთვე უწყისი ვაჟთა გიმნაზიის **1911 წლის პირველი ნახევრის სხვადასხვა საჭიროებისათვის გახარჯული თანხის შესახებ**. 1911 წლის 24 თებერვლის აქტის მიხედვით, კოუბას სატანსაცვარჯიშო მოწყობილობის შესაძენად ჩაერიცხა 11 რუბლი და 76 კაპიკი.

ამრიგად, აჭარის საარქივო სამმართველოს ფონდებში დაცულია მეტად საყურადღებო დოკუმენტები **ტანსაცვარჯიშის საზოგადოება „სოკოლ“-ი // „შევარდენი“-ს შესახებ**, რომლებიც გარკვეულ წარმოდგენებს შეუქმნის მკითხველ საზოგადოებას ამ საზოგადოების საქმიანობის, სკოლის ხელმძღვანელობისა და საბჭოს შემადგენლობის შესახებ.

Nino Gogitidze
Mzia Surmanidze

Gymnastics Society "Sokol" // "Shevardeni" in Batumi Boys' and First Georgian Gymnasiums (1910-1921)

Summary

In the funds of the Ajara Archives Administration, there are very interesting documents about the gymnastics society "Sokol" // "Shevardeni", which will create certain ideas for the reading public about the activities of this society, the school leadership and

the composition of the board. It is clear from the documents that during these years Vatslav Kouba was invited to the society as a gymnastics teacher.

გამოყენებული წყაროები:

1. ასს, ცსა, ფ. ი-6, ან. 1, საქმ. 1013, ფურც. 23, 26;
2. ასს ცსა, ფ. ი-10, ან.1, საქმ.2, ფურც.145;
3. ასს ცსა, ფ. ი-10, ან.1, საქმ. 55, ფურც.4;
4. ასს ცსა, ფ. ი-10, ან.1, საქმ.106, ფურც.1;
5. ასს, ცსა, ფ. ი-10, ან. 1, საქმ.107, ფურც.3;
6. ასს ცსა, ფ. ი-75, ან.1, საქმ. 34, ფურც. 14-ა, ბ.

რევაზ უზუნაძე მერაბ უზუნაძე

მდინარე ჭოროხზე ბარკასით ნაოსნობის ისტორიისათვის

(ეს სტატია დაიბეჭდა ჟურნალ „არხეონის“ XXV - ე ნომერში, მაგრამ ფოტოდოკუმენტების გარეშე. ამიტომ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მისი ხელახლა დაბეჭდვა მცირეოდენი შესწორებით და ფოტოდოკუმენტებით)

მდ. ჭოროხზე ნაოსნობა იღებს სათავეს შორეული წარსულიდან. იგი მუდამ ასრულებდა მნიშვნელოვან როლს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეურნეო-ეკონომიკურ ცხოვრებაში. ჭოროხის სანაოსნო გზით შავშეთ-იმერხევის(ისტორიული კლარჯეთი), ნიგალის (ართვინი) მხარეები უკავშირდებოდნენ ზღვისპირეთს (თ. ბერაძე, 1981:128-129; რ. უზუნაძე, 2001:227). ნაოსნობაში გამოიყენებოდა მდინარის პილოტაჟი პირობებს შეხამებული ნავი. იგი ცნობილია „ჭოროხული ნავის“ სახელწოდებით (აღ. დავითაძე, 1983:63). ნაევით ართვინიდან (ძვ. ნიგალი), ბორჩხა-დან (ძვ. ფორჩხა) და სხვა მდინარისპირა პუნქტებიდან ბათუმში ჩამოჰქონდათ ტვირთები, გადმოჰყავდათ მგზავრები და პირიქით (თ. ბერაძე, 1981:131; ზ. კუტაღე-იშვილი, 1987:81).

XIX ს-ის 80-90 იან წლებიდან ჭოროხზე ნაოსნობა ხდება მეტად ინტენსიური. რასაც შეუწყო ხელი, კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის გავლენით, ზღვაოსნობის განვითარებამ და ბათუმის გადაქცევამ მსხვილ სანავსადგურო-სამრეწველო ცენტრად. იზრდება სწრაფვა ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობისა ბათუმსა და ოლქის შიდა რეგიონებს შორის. ხმელეთით უზოლობის გამო¹ ძირითად სატრანსპორტო საშუალებად რჩებოდა ჭოროხული ნავი (რ. უზუნაძე, 1991:83-84). XIX ს-ის 80-იანი წლების მონაცემებით მდ. ჭოროხის სანაოსნო არტერიას ემსახურებოდა 300-მდე ნავი (Левашов С.Н. 1880.223; ჟან მურიე, 1962:16). ართვინ-არტანუჯისა და შვეშეთ-იმერხევის რაიონებიდან ბათუმში ჩამოჰქონდათ სოფლის მეურნეობის პროდუქტები, შიდა მრეწველობის ნაწარმი და სხვა (რ. უზუნაძე, 2008:221).

XIX ს-ის 90-იანი წლებიდან ჭოროხზე გამოჩნდნენ ბარკასები. მდ. ჭოროხზე ნაოსნობაში აღნიშნული სანაოსნო საშუალების გამოყენება არ ყოფილა დღემდე კვლევის საგანი. შესწავლა განაპირობა შემდეგმა გარემოებამ.- 2010 წელს სოფ. მარადიდთან ახლოს (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი) აღმოჩენილი იქნა ჭოროხში ჩაძირული რკინის ნავი² (დან. №12). როგორც გვიჩვენა საკითხის შესწავლამ ჭოროხში ნაპოვნი რკინის ნავი არის „ბარკასი“. სტატია ეძღვნება აღმოჩენილ არტეფაქტის შესწავლას, ბარკასის ჩართულობას მდ. ჭოროხზე ნაოსნობაში.

პირველყოფლისა აღსანიშნავია, რომ ნაპოვნი ბარკას აქვს ჭოროხული ნავის კონსტრუქცია (დანართი. 2, 3). ნავის სიგრძე შეადგენს - 8 მ., სიგანე (შუა ნაწილში) – 2,5 მ., ნავის გვერდების სიმაღლე - 0,75 მ., კიჩოსთან სიმაღლე - 0,86 მ. ნა-

პოვნი ბარკასი, ჭოროხული ნავის მსგავსად, შედგება ხუთი ნაწილისაგან: ნავის თავი (კინო), ნავის ბოლო (კაბულდა), შუა ნაწილი (საჭვიროთე/სატვიროთ), გვერდებისა და ბრტყელი ძირისაგან (დან. 3,4).

ნავის თავი, ბოლო და სატვიროთო ნაწილი ერთმანეთისაგან გამოყოფილია რკინის ტიხარებით (დან.2, 3). საჭვიროთე ნაწილის სიგრძე უდრის 4,2 მ., კინოს ორმოს (ასე ეძახდნენ მონაკვეთში არსებულ სივრცეს) სიგრძე შეადგენს - 1,9 მ. (უფროს მენავეს, საჯდომი; დან. 3,4). ნავის ბოლო (კაბულდა) - 1,7 მ., (აქ თავსდებოდნენ რივითი მენავეები). ბოლო ნაწილი ნაწილობრივ მოღუნულია.

ნავს გარედან, ორივე მხარეს, მთელი სიგრძეზე შემოვლებული აქვს 0,17 მ. სისქის ხის წყვილი სალტე. ისინი ჩატედილია კუთხოვანას ბუდეებში (დან. 1, 2). ნავს ზემოდან აქვს შემოვლებული რკინის კუთხოვანა, რომელზედაც მაგრდებოდა ხის სალტე (და. 2, 4) გარედან, ნავს „ნავის ბოლოში“ -ში ჩამაგრებული ჰქონდა ხის მსხვილი ორი კოჭი (დან. 8). ასევე, ხის კოჭი ჩამაგრებულია კინოზე (დან. 5). საჭვიროების შემთხვევაში შეეძლოთ გადაეხურათ ნავის სატვიროთო ნაწილი.

ჭოროხში ნაპოვნი ბარკასი მთლიანობაში წარმოადგენს რკინის კონსტრუქციას. დაახლოებით 0,5 მმ სისქის ლითონის ფურცლები შეჭკედილი ერთმანეთზე მოქლონებით. ლითონის ფურცლების მჭიდროდ შესაკავშირებლად შეჭკედვის მონაკვეთში გამოყენებულია რკინის მოღუნული კუთხოვანები (ელე). ერთ ნავს ჭირდებოდა 6 მოღუნული კუთხოვანა (დან. 3, 4) ლითონის ფურცლები, შეერთების ადგილებში (კუთხოვნებზე) შეჭკედილი იყო მოქლონებით. ნავს კინოზე ჰქონდა დამაგრებული ღუზა (დან. 5, 10)^რ.

ბარკასის ეკიპაჟი შედგებოდა 4 კაცისაგან: ნავის წინამძღოლი, უფროსი მენიხე და ორი რივითი მენიხე. ჭოროხული ნავის მსგავსად ბარკასი იმართებოდა ნინხებით, სისისტარით, სათავეებელათი და საბელით (მსხვილი თოკი). ნინხები და სისტარი გამოიყენებოდა დინების მიმართულებით ნავის სამართავად. ხოლო სათავეებელათი და საბელით ხდებოდა ნავის გადაადგილება მდინარის დინების საპირისპიროდ.

თავისი კონსტრუქციით და სხვა მახასიათებლებით საკვლევ ობიექტს პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „ჭოროხული ბარკასი“. მისი ტვირთამწეობა უდრიდა საშუალოდ 2,5-3 ტონას (Шавров Н., 1907:20). ეკიპაჟი იყო დაკომპლექტებული ნიგალის ხეობის მენავეებით.

„ბარკასის“ გამოჩენა ჭოროხულ ნაოსნობაში განაპირობა ბათუმის ოლქში სამთო-მეტალურგიული მრეწველობის განვითარებამ. ართვინის მხარეში (ართვინის ოკრუგი) აღმოჩნდა სპილენძის 45 საბადო. XIX ს-ის 80-იანი წლების ბოლოს დაიწყო სპილენძის წარმოება (მ. სიორიძე, 2008:113-114). ამოქმედდა სამთო საწარმოები და სპილენძსადნობი ქარხნები. მოპოვებული მადანი ერგეს ქარხანამდგ^რ, ხოლო გამოდნობილი სპილენძი ბათუმის პორტამდე ჩამოჰქონდათ ნავეებით (რ. უზუნაძე, 2001:232; მ. სიორიძე, 2008:114). 1901 წლის მონაცემებით ართვინიდან სოფ. ერგეს სპილენძსადნობ ქარხანამდე და ბათუმის პორტამდე ნავეებით გადმოიზიდა დაახ. 506 ათასი ფუთი სპილენძის ნახევრად გადამუშავებული მადანი და გამოდნობილი სპილენძი, 247 300 ფუთი მარგანეცი (Кавказский календар, 1903:61).

თავდაპირველად მადანისა და გამოდნობილი სპილენძის ტრანსპორტირება ხდებოდა ჭოროხული ხის ნავეებით. ემსახურებოდა მრავალი ნავი. მალე გამოჩნდა, რომ იგი აღმოჩნდა მოუხერხებელი მადანის ტრანსპორტირებისათვის. ხის ნავეები მალე გამოდიოდა მწყობრიდან. ამიტომაც დაიწყო აღნიშნული ტვირთების გადმოსაზიდად ჭოროხული ნავის იდენტურინ ბარკასის ტიპის ნავეების დამზადება. იგი მზადდებოდა ბათუმში მოქმედ ტუტოლლის გემთსაშენ სახელოსნოში. ღირდა 200 რუბლი (აჭარის ცსა, ფ.10, ან 1 ს. 107, ფურც. 15-16). XIX ს-ის 90 -იანი წლების მეორე ნახევრიდან ბარკასები აქტიურად ჩაერთნენ აღნიშნულ პროცესში. რამაც, 900-იანი წლების დამდეგიდან მიიღო ინტენსიური ხასიათი. 1901 წლის მონაცემებით ჭოროხის სანაოსნო გზით ტრანსპორტირებული იქნა 800 ათას ფუთამდე მადანი. 900 -იანი წლების მდგომარეობით ჭოროხის გზით აღნიშნული ტვირთების გადმო-

ზიდვებს ემსახურებოდა 70-მდე „ჭოროხული ბარკასი“. რაც შეადგენდა ჭოროხის სანაოსნო არტერიას მომსახურე ნაგებობის 30 % (რ. უზუნაძე, 2001:232-233).

და ბოლოს, შეიძლება გავაკეთოთ რეზიუმე:

1. ართვინის (ისტ. ნიგალის) ხეობაში სამთომეტალურგიული მრეწველობის განვითარებამ განაპირობა, მდ. ჭოროხზე ნაოსნობაში ბარკასების გამოყენება.
2. აღნიშნულმა პროცესებმა, შეუწყო ხელი რეგიონის სამდინარო ნაოსნობაში რკინის ნაგებობის/„ჭოროხული ბარკასების“ წარმოქმნას. თავის მხრივ, მადნეული ტვირთების ბარკასებით გადმოტანამ გარკვეულად შეუწყო ხელი ართვინის (ნიგალის) მხარეში სამთომეტალურგიული მრეწველობის განვითარებას.

შენიშვნები:

1. გაზ. „დროება წერდა“. „ამ რთულ ვიწრო, ციცაბო გზების გამო კაცის ურმის მონატრული გახდება“. გაზ. „დროება“ მ №28, 1879.
2. ნავი იპოვა მარადიდის მკვიდრმა ნარიმან აბაშიძემ. მან ამის თაობაზე აცნობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის იმუამინდელ გამგებელ თემურ ღუმბაძეს. გამგებელმა ნაპოვნი არტეფაქტის სესახებ შეატყობინა აჭარის ძეგლთა დაცვის სააგენტოს. საქმეში ჩაერთო ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ჯგუფი, მისი დირექტორის, პროფესორ ამირან კახიძის თაოსნობით. ჯგუფი ავიდა სოფ. მარადიდში. მდინარიდან ამოიღეს ნავი. გაიწმინდა შლამისაგან და მოხდა მისი გადატანა - განთავსება მუზეუმის ეზოში. ამჟამად იგი განთავსებულია გონიოს მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე, ლა ცის ქვეშ.
3. ბარკასი (ჰოლანდ. Barkas). არის დამხმარე ნავი. აქტიურად გამოიყენებოდა ნავსადგურის აკვატორიაში.
4. იხ. აღ. დავითაძე, 1983:64-65; ზ. კუტალიეშვილი, 1987: 85-88, 335.
5. იხ. დანართი № 10. ღუზა დამზადებულია მეტალისაგან, ზომები: სიმაღლე 1,4 მ., სიფართე-0,4 მ., წონა - 65 კგ.
6. 1890 წ. ამოქმედდა პირველი სპილენძსადნობი ქარხანა სოფ. ერგეში. იგი მუშაობდა ხოდის (ართვინის მხარე) საბადოებზე მოპოვებული სპილენძის მადანის ბაზაზე. მისი წლიური წარმადობა გაანგარიშებული იყო 20 ათას ფუთ სუფთა სპილენძზე (მ. სიორიძე, 2008: 1144; რ. უზუნაძე, 2011:71)

Revaz Uzunadze

Merab Uzunadze

For the history of the longboat sailing on the river Chorokhi (Summary)

The long boat was found in the Chorokhi River, near the village of Maradidi. As the investments show, the use of such barcas is related to development. It is an identical construction of the "Chorokhuli boat". It was made of iron. This type of ship can be called a "rumored longboat". Place of construction - Batumi.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აჭარის ცსა, ფ. 16, ანას, საქმე 107
2. თბერაძე, ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, თბ., 1981
3. ალ. დავითაძე, ქართული ხალხური ტრანსპორტის ისტორიიდან. ბათუმი, 1983
4. ზ. კუტაღეიშვილი, ნაოსნობა საქართველოში, თბ., 1987
5. Кавказский календарь, Тифлис, 1903
6. ნ. კახიძე, სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიიდან ჭოროხის აუზში. სდსეკ, IV. თბ., 1987.
7. Левашов С.Н. Зариски о пограничной линии и зон на расстоянии от черного моря до г. Артвина. ТИОИИТРО. т. 6, №2, Тифлисы, 1980
8. Лисовский В. Чорохский край. Тифлитсь. 1887
9. ე. მურიე, ბათუმი და ჭოროხის აუზი. ბათუმი, 1962
10. მ. სიორიძე, ბათუმის ოლქში სამთო-მეტალურგიული მრეწველობა. სდსინ (აჭარა), ტ. III, ბათუმი, 2008.
11. რ. უზუნაძე, ნაოსნობა ბათუმის ოლქში, ბათუმი, 2001
12. რ. უზუნაძე, სამდინარო ნაოსნობა და მისი როლი ბათუმის ოლქის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. სდსინ-1987, თბ., 1991.
13. რ. უზუნაძე, ბათუმის ოლქში სამდინარო ტრანსპორტი. სდსინ (აჭარა), ტ. 3 ბათუმი, 2008
14. რ. უზუნაძე, სოფელ ერგეს წარსულიდან, თბ., 2011

ფოტოდოკუმენტები



ჭოროხული ბარკასი



ჭოროხული ბარკასის შიდა ხედი



ნავის კიხო კიხოს შუა ნაწილი



კიხოს ერთი ნაწილი



ნავის ბოლო, გარეთა ნაწილი



ნავის ბოლო ბარკასის ღეზა

**ტერიტორიული თავდაცვის დანაყოფების როლი
ტოტალური თავდაცვაში**

აბსტრაქტი. როგორც ცნობილია, დღესდღეობით საქართველოს გააჩნია ორი სახის რეზერვი, აქტიური და სამობილიზაციო რეზერვი. აქტიური რეზერვი საკუთრივ მოიცავს სპეციალისტთა რეზერვს და ტერიტორიული პრინციპით შერჩეულ მოხალისე მოსახლეობის გაერთიანებას ანუ ტერიტორიულ რეზერვს, რომლებიც ირიცხებიან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის ტერიტორიული თავდაცვის დანაყოფებში. საქართველოს კანონი - თავდაცვის კოდექსის მიხედვით.¹

აღნიშნული დანაყოფები (ტერიტორიული თავდაცვის ბატალიონები) განლაგებულია საქართველოს რეგიონების მიხედვით და მათი დაკომპლექტება ხდება რეგიონში მცხოვრები მოსახლეობით, რომელთა დარეგისტრირება, შეკრება და შესაბამისად გადამზადება ხორციელდება კანონით დადგენილი წესისასა და დანაყოფებში წინასწარ შედგენილი გეგმა-გრაფიკების მიხედვით.

ტერიტორიული თავდაცვის დანაყოფებში გაწვევრიანება ხდება ნებაყოფლობით, 4 წლიანი ხელშეკრულების გაფორმებით. ეს დანაყოფები აერთიანებს სხვადასხვა ასაკის, პროფესიის, ეროვნებისა და აღმსარებლობის საქართველოს მოქალაქეებს. სასწავლო შეკრებები ხელს უწყობს ტერიტორიულ რეზერვში გაწვევრიანებულ ერთი რეგიონის მოქალაქეებს ერთმანეთის უკეთ გაცნობაში, დაახლოებაში და ერთ გუნდად შეკვრაში, რაც წინაპირობაა ქმედითუნარიანი დანაყოფების ჩამოყალიბებისა, რომელი დანაყოფებიც საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება ადგილობრივ თვითმართველობის მხარდასაჭერად საგანგებო სიტუაციების, სტიქიური უბედურების და ქვეყანაში საომარი ვითარების შექმნის დროს თავდაცვის ძალების შემადგენლობაში ქვეყნის თავდაცვისათვის გატარებულ ყველა ღონისძიებაში.

წინამდებარე სტატია ეხება საქართველოს თავდაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმების პარალელურად ტერიტორიული თავდაცვის დანაყოფების როლის წარმოჩენას ტოტალურ თავდაცვის საერთო ჭრილში და მათ მნიშვნელობას ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების თვალსაზრისით, რომლებიც თავისი არსით წარმოადგენენ ე.წ. ტოტალური თავდაცვის ნაწილს, რომლის დანერგვაზეც წლების წინ აქვს გაცხადებული საქართველოს მთავრობას.

საკვანძო სიტყვები: აქტიური რეზერვი, ტერიტორიული რეზერვი, სამოქალაქო თავდაცვა, სამხედრო თავდაცვა, ტოტალური თავდაცვა.

Gocha Batadze

The role of reservist units in total defense

Abstract. As it is known, today Georgia has two types of reserves, active and mobilization reserve. The active reserve specifically includes the reserve of specialists and the union of volunteer population selected on the territorial principle, that is, the territorial reserve, who are enrolled in the territorial defense units of the National Guard of the Defense Forces of the Ministry of Defense of Georgia. Law of Georgia - according to the Defense Code.[1]

Mentioned units (territorial defense battalions) are located according to the regions of Georgia and they are staffed by the population living in the region, whose registration,

¹ საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი - თავდაცვის კოდექსი, მუხლი 88, (2023 წლის 12 ოქტომბერი). Parliament of Georgia, Law of Georgia - Defense Code, Article 88, (December 12, 2023 October

assembly and retraining are carried out according to the rules established by law and according to the plans and schedules prepared in advance in the units.

Joining the territorial defense units is voluntary, by signing a 4-year contract. These units unite Georgian citizens of different ages, professions, nationalities and religions. Training meetings help the citizens of one region, who are members of the territorial reserve, to get to know each other better, get closer and unite as a team, which is a prerequisite for the formation of capable units, which units will be used, if necessary, to support local self-government as part of the defense forces of the country during emergency situations, natural disasters and during the state of war in the country. And all measures taken for defense.

The present article deals with the presentation of the role of territorial defense units in the general context of total defense, in parallel with the ongoing reforms in the defense system of Georgia, and their importance in terms of strengthening the country's defense capability, which in their essence represent the so-called part of total defense, the implementation of which was announced by the Government of Georgia years ago.

Key words: active reserve, territorial reserve, civil defense, military defense, total defense.

შესავალი. ტოტალური თავდაცვა, რომელიც არის ქვეყნის ყველა შესაძლებლობის და რესურსის გაერთიანება ჭარბი ძალების მქონე აგრესორის წინააღმდეგ, არის უნიკალური მოდელი ე.წ. მცირე ზომის სახელმწიფოებისათვის ძლიერი თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად. საქართველოსთვის, როგორც მცირე ზომის ქვეყნისთვის, მისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან და თანამედროვე გამოწვევებიდან გამომდინარე, ტერიტორიული თავდაცვის მოდელი წარმოადგენს უნიკალურ საშუალებას ბრძოლისუნარიანობის განმტკიცების და სუვერინიტეტის შენარჩუნების კუთხით, რომელ მოდელშიც უდიდეს როლს შეასრულებს ტერიტორიული თავდაცვის დანაყოფები, როგორც სამხედრო თავდაცვის, ისე სამოქალაქო თავდაცვის თვალსაზრისითაც.

ძირითადი ნაწილი. „ტოტალური თავდაცვის სისტემა, რომელიც სახელმწიფო თავდაცვის მიზნებისთვის ეროვნული რესურსების ინტეგრირებულ და კოორდინირებულ გამოყენებას გულისხმობს, მცირე სახელმწიფოებს მოწინააღმდეგესთან არსებული ასიმეტრიის შემცირების შესაძლებლობას აძლევს და მიზნად ისახავს (მაქსიმუმ) ხელი ააღებინოს პოტენციურ მოწინააღმდეგეს აგრესიაზე მისთვის მიუღებელი ზიანის შიშით, ან (მინიმუმ) გაურკვევლობის ეფექტი შეიტანოს მის სტრატეგიულ გათვლებში, დაიწყოს თუ არა აგრესია“.² ტოტალური თავდაცვის დანერგვის კუთხით საქართველოში დღესდღეობით ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა თავდაცვის სამინისტროს მიერ, კერძოდ, თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის ტერიტორიული თავდაცვის დანაყოფების ჩამოყალიბებით, რომლებიც თავიანთი ამოცანებით პირდაპირ პასუხობენ ტოტალური თავდაცვის დანერგვის მოთხოვნებს. სწორედ ტერიტორიული თავდაცვის ბატალიონები წარმოადგენენ დღესდღეობით საქართველოში იმ დანაყოფებს, რომლებიც ფაქტობრივად ქმნიან წრედს სამხედრო და სამოქალაქო ურთიერთობას შორის; აქტიურ რეზერვში გაწევრიანებული ქვეყნის მოსახლეობა დროის აბსოლუტურ დიდ ნაწილს სამოქალაქო ცხოვრებაში ატარებს და ამავდროულად იღებენ პასუხისმგებლობას სამხედრო ვალდებულების სახით, რაც ერთგვარი წინაპირობაა ქვეყანაში სამოქალაქო თავდაცვის განვითარების

² გიორგი შაიშველაშვილი, „ტოტალური თავდაცვა: სტრატეგია ძლიერის დასამარცხებლად“, პი ემ სი კვლევითი ცენტრი, პოლიტიკის დოკუმენტი 3, (თბილისი, 2023). https://www.pmcresearch.org/policypapers_file/173164cb689d5252b.pdf [ბოლოს შესვლის თარიღი: 2024 წლის 7 აგვისტო].

სა, ეს კი ტოტალური თავდაცვის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ამ მხრივ მნიშვნელოვანია საქართველოს „თავდაცვის სამინისტროს ხელვა 2030“, სადაც წარმოდგენილი ტოტალური თავდაცვის გამოყენების მიზანშეწონილობა კონცეპტორებულია ტოტალური თავდაცვის სამ ძირითად ელემენტზე, სადაც უმნიშვნელოვანესი როლი უჭირავს სამოქალაქო თავდაცვას, სამხედრო თავდაცვასა და საერთაშორისო თანამშრომლობას.³

ტერიტორიული თავდაცვის პრინციპით რეზერვისტთა დანაყოფების შექმნა, რომელიც საქართველოს ეროვნული გვარდიისთვის უმთავრესი ამოცანაა, დღესდღეობით წარმატებით ხორციელდება, განსაკუთრებით კი ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ რეგიონებში. აღნიშნული დანაყოფები რეგიონების მიხედვით კომპლექტდება მოხალისე მოსახლეობით, რომლებიც ირიცხებიან აქტიურ რეზერვში და მათი სამოქალაქო საქმიანობის პარალელურად წინასწარ შედგენილი გეგმა-კალენდრის თანახმად ცხადდებიან სამხედრო ნაწილში სამხედრო ხასიათის სწავლებებში მონაწილეობისთვის. აღნიშნული შეკრების ხანგრძლივობა წელიწადში შეადგენს 45 დღეს. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ბოლოდროინდელი გატარებული რეფორმების შედეგად 2023 წლიდან რეზერვისტები სარგებლობენ იგივე სადაზღვევო პირობებით, როგორც დანარჩენი სამხედრო მოსამსახურეები და გაზრდილი ფულადი ანაზღაურებით.

ტერიტორიული თავდაცვის ბატალიონები, რომლებიც განლაგებული არიან საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, უწყვეტ რეჟიმში აწარმოებენ ტერიტორიული რეზერვის პროგრამის ფარგლებში რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის ინფორმირებას, ცნობიერების ამაღლებას, რეზერვისტთა შერჩევა-მიღებას და გადამზადებას. ტერიტორიული თავდაცვის დანაყოფებში გაწვევრიანებული მოსახლეობა, რომლებიც თავისი ნება-სურვილით ირიცხებიან როგორც „რეზერვისტები“, გადიან იმ სწავლებებს, რომლებიც პასუხობენ მათ სამხედრო პირებად ჩამოყალიბების მოთხოვნებს. აღნიშნული რეზერვისტები წარმოადგენენ ქვეყნის აქტიური რეზერვის წევრებს და ისინი ფაქტობრივად არიან დანარჩენი მოსახლეობისთვის ნათელი მაგალითი, თუ როგორ შეიძლება ემსახურო ქვეყანას და ემზადო მის დასაცავად ისე, რომ არ ჩამოცილდე შენს სამოქალაქო საქმიანობას.

სწორედ ეს ბატალიონები პირდაპირ თუ ირიბად არის ნათელი მაგალითი ქვეყნის მოსახლეობის ტოტალური თავდაცვის დანერგვისა, რაც წინაპირობაა სამშობლოს დაცვის საქმეში მოსახლეობის პატრიოტული სულისკვეთების და პასუხისმგებლობის ამაღლებისა. ამ მიმართულებით სწორი, მიზანმიმართული ღონისძიებების გატარება ტაქტიკური ღონის ხემლძღვანელობის მხრიდან, რომ აქტიურად ჩართონ ისინი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების შემცველ ღონისძიებებში, შთააგონონ თავიათი ოჯახის წევრები და ანტიურაჟი ქვეყნის დაცვის იდეის ირგვლივ გაერთიანებაში, ძალიან მნიშვნელოვანია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გატარებული ბოლოდროინდელი რეფორმები ტერიტორიული რეზერვის პროგრამის კუთხით, აქტიურ რეზერვში გაწვევრიანებულ პირთა სოციალური პირობების გაუმჯობესების მხრივ, როგორცაა, ფულადი ანაზღაურების გაზრდა და სადაზღვევო პაკეტის შემოღება,⁴ რამაც დადებითი გავლენა მოახდინა აქტიურ რეზერვში გაწვევრიანების მსურველთა ზრდაზე. ყურადსაღებია ასევე, ტერიტორიული თავდაცვის ბატალიონის სახელის შეცვლამაც კი (2023 წლამდე აღნიშნულ ბატალიონებს ერქვა კადრი-რებული ქვეითი ბატალიონები) მოსახლეობაში და განსაკუთრებით რეზერვისტებში

³ საქართველოს თავდაცვის მინისტრი, „თავდაცვის სამინისტროს ხელვა 2030“-ის დამტკიცების შესახებ, №MOD 3210000141, (2021 წლის 12 მარტი): გვ.7.

⁴ საქართველოს თავდაცვის მინისტრი, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა და მათ ოჯახის წევრთა, ჯანმრთელობის დაზღვევისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ, №MOD 2230000067, (2023 წლის 30 იანვარი).

ამაღლა ცნობიერება აღნიშნული დანაყოფების დანიშნულების მნიშვნელობის გააზრებისთვის. საქართველოს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის ტერიტორიული თავდაცვის დანაყოფების დასახლება პირდაპირ მიანიშნებს მათ მნიშვნელობას საკუთარი რეგიონის დაცვის კუთხით. მართალია, ამ რეფორმამ მოსახლეობის ფართო მასებში გამოიწვია დაინტერესება სოციალური პირობების გაუმჯობესების სურვილითაც, რაც შესაძლოა არ პასუხობდეს სრულად პროგრამის მიზანს, თუმცა დანაყოფების სამეთაურო რგოლმა უნდა იმუშაოს მათ გარდაქმნაზე, რათა მიმართონ ისინი მთავარი მიზნისკენ, რასაც სამშობლოს დაცვა ჰქვია.

ტერიტორიული თავდაცვის რამოდენიმე ბატალიონმა რეგიონებში მათი განლაგებიდან დღემდე, უმოკლეს დროში სწორი თანმიმდევრული ნაბიჯებით შეძლო დანაყოფების დაკომპლექტება მნიშვნელოვანი რაოდენობით. მაგრამ აღნიშნული ქვედანაყოფები იყო და არის გამოწვევების წინაშე, როგორცაა, რეგიონში მოსახლეობის ეთნიკური და კონფესიური მდგომარეობა, ხელთ არსებული მცირე რესურსები (აღამიანური თუ მატერიალური), თუმცა ბატალიონები დღემდე წარმატებით ართმევენ თავს ამ გამოწვევებს. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ 104-ე ტერიტორიული თავდაცვის ბატალიონი, რომელიც 2 წლის განმავლობაში დაკომპლექტდა თითქმის და წარმოადგენს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსის და აღმსარებლობის მაცხოვრებელთა გაერთიანებას, რაც ნათელი მაგალითია საქართველოში ისტორიულად მოძმე ერებს შორის თანაცხოვრების, სამშობლოს სიყვარულის და დიდი მეგობრობის. სწორედ მსგავსი დანაყოფების წევრები და მათი ოჯახები, ირგვლივ მყოფთა გაერთიანება არ დაუშვებს გარე ძალების მიერ ზემოთ აღნიშნული გამოწვევების კუთხით რაიმე სახის დესტაბილიზაციის კერების გაჩენას და ასევე შექმნის მყარ საყრდენს სამშობლოს დაცვის იდეის ირგვლივ ქვეყნის მოსახლეობის გაერთიანებისთვის.

დასკვნა. ტერიტორიული თავდაცვის ბატალიონის ეფექტურ მუშაობას რეგიონის მოსახლეობაში ხელს შეუწყობს და უფრო წარმატებულს გახდის აღნიშნული დანაყოფების დროულად გამოცდილი ადგილობრივი კადრებით დაკომპლექტება, აუცილებელი მატერიალური საშუალებებით უზრუნველყოფა, რაც შესძენს მათ უფრო მეტ მოქნილობას და ავტონომიურობას, რათა დროულად და ეფექტურად იმუშაონ მოსახლეობაში, როგორც სამეთაურო რგოლის, ისე თვით რეზერვისტების ჩართულობის გასაზრდელად.

ამდენად, ტერიტორიული თავდაცვის ბატალიონების სრული მხარდაჭერა (აღამიანური რესურსები და ეფექტური ლოჯისტიკური უზრუნველყოფა) უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა თავდაცვის სტრუქტურაში მოქნილი დანაყოფების ჩამოყალიბებისა, რომლებიც უდიდეს როლს შეასრულებენ ქვეყნის მიერ არჩეულ ტოტალური თავდაცვის დანერგვაში.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი - თავდაცვის კოდექსი, (2023 წლის 12 ოქტობერი).
2. საქართველოს თავდაცვის მინისტრი, „თავდაცვის სამინისტროს ხედვა 2030“-ის დამტკიცების შესახებ, №MOD 32100000141, (2021 წლის 12 მარტი).
3. საქართველოს თავდაცვის მინისტრი, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა და მათ ოჯახის წევრთა, ჯანმრთელობის დაზღვევისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ, №MOD 22300000067, (2023 წლის 30 იანვარი).
4. შაიშველაშვილი გიორგი, „ტოტალური თავდაცვა: სტრატეგია ძლიერის დასამარცხებლად“, პი ემ სი კვლევითი ცენტრი, პოლიტიკის დოკუმენტი 3, (თბილისი, 2023), https://www.pmcresearch.org/policypapers_file/173164cb689d5252b.pdf [ბოლოს შესვლის თარიღი: 2024 წლის 7 აგვისტო].

მზია სურმანიძე
ნინო გოგიტიძე
ნანი ფუტკარაძე

ბათუმის ცხოველთა დაცვის საზოგადოება
1897-1910 წლებში

(საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით)

შინაურ თუ გარეულ ბინადართა დაცვის პრობლემა ყველა დროის აქტუალური საკითხია. ეს პრობლემა აქტუალური იყო წარსულშიც, რასაც ადასტურებს საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტური მასალები. საარქივო სამმართველოში დაცულია **ჰაიმე მოშეს ძე შმავესკის** ტიპოგრაფიაში დაბეჭდილი ბროშურა, რომელიც თბილისის ცხოველთა დამცველი საზოგადოების ბათუმის განყოფილების მოღვაწეობის 10 წლისთავს ეხება (ასს ცსა, ფ. – 35). ბროშურა შედგენილია განყოფილების თავმჯდომარე **ე. ვ. ტურკინის** მიერ და მასში დაწერილებითაა მოთხრობილი, თურა შრომა გასწია აღნიშნულმა საზოგადოებამ დაარსებიდან 1908 წლამდე.



დოკუმენტის მიხედვით, „1897 წელის მაისში გაიხსნა თბილისის ცხოველთა დაცვის საზოგადოების ბათუმის განყოფილება. ამ ხნის განმავლობაში საზოგადოებას ჰქონდა ბევრი ნათელი და უფრო მეტი მძიმე პერიოდები. დიდი ძალისხმევა და ენერჯია დაიხარჯა, რომ გაემარჯვათ გარშემო მყოფთა მხრიდან ინერტულობაზე, გულგრილობასა და საწინააღმდეგო მოქმედებებზე“.

საქალაქო მმართველობის ფონდში დაცული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ დაარსებიდან მალევე, 1898 წლის თებერვალში ბათუმის ცხოველთა დაცვის საზოგადოების მმართველობას თხოვნით მიუმართავს ქალაქის თავის ლუკა ნიკოლოზის ძე ასათიანისათვის. საზოგადოება ითხოვდა 500 კვ. საჟენ მიწის ნაკვეთის გამოყოფას მესამე საპოლიციო უბანში, სასაკლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე მეჯი-

ნის-სუსთან. თაობაზე. აღნიშნული ტერიტორია გამოყენებულ უნდა ყოფილიყო, როგორც სამკურნალო დაწესებულება - ამბულატორიის, ასევე მანუქისთვის. აღნიშნულთან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა.

1902 წლის აპრილში საზოგადოებას გამოეყო 200 კვ. საჟენი მიწის ნაკვეთი პუშკინისა და ასათიანის ქუჩების კვეთაში (დღევანდელი თავაიშვილისა და ზურაბ გორგილაძის ქუჩების კვეთა). გადაწყვეტილებას თან ერთოდა შემდეგი რეზოლუცია: „ბათუმის საქალაქო სათათბირომ 26 ხმოსნის შემადგენლობით მოისმინა და ერთხმად დაადგინა: საქალაქო მმართველობის დასკვნა დამტკიცდეს, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინათ ის გარემოება, რომ ეს ნაკვეთი მანამ იქნება მათ განკარგულებაში, სანამ აღნიშნული საზოგადოება იარსებებდა. გაუქმების შემთხვევაში, თავისი შენობებით უნდა დაბრუნებოდა ქალაქს, უსასყიდლოდ“.

პირველი სამი წელი არც ისე სახარბიელო აღმოჩნდა საზოგადოებისათვის. ის შემოიფარგლებოდა მხოლოდ რამოდენიმე ოქმით, სადაც საუბარი იყო უპატრონო ძაღლების დაჭერისა და ცხენებზე ცუდად მოპყრობის საკითხებზე.

საზოგადოების უმთავრესი ამოცანა ცხოველთა სამკურნალო დაწესებულების აშენება იყო. საზოგადოების პირველი მმართველობა მთლიანად გადაერთო ამ საქმეზე. თავმჯდომარეს 200 რუბლიც გაუღია შემოწირულობის სახით, მაგრამ იდგა მაინც ვერ განუხორციელებიათ. სამი წლის შემდეგ აურჩევიათ ახალი მმართველობა. ხელმძღვანელობა დაევაღათ ბათუმში მოღვაწე ვეტერინარ ექიმებს. ახალ მმართველობას მართვის, შემოწირულობებისა და ფინანსების თვალსაზრისით დახვდათ მეტად არასახარბიელო მდგომარეობა. საზოგადოების მმართველობამ 1900 წლის ნოემბერში მოიწვია საერთო კრება, რომელზეც განიხილეს საზოგადოების სამომავლო გეგმა. უპირველესი ამოცანა იყო ცხოველთა უფასო სამკურნალო დაწესებულების აშენება. გათვალისწინებული იყო აგრეთვე ნაღებისათვის სამჭედლოს მოწყობა, რითაც შემცირდებოდა ცხენების ავადობა. საზოგადოების სურველი იყო გაეფართოებინათ მოღვაწეობის არეალი და არ შემოფარგლულიყვნენ მხოლოდ ბათუმით. ისინი დაინტერესებულ იყვნენ აგრეთვე საუკეთესო ჯიშის პირუტყვის, აფხაზური ცხენების სანაშენე სადგურების მოწყობითა და სხვა საკითხებით.

საზოგადოებასთან არსებობდა მოყვარულთა წრე, რომელიც მასების მოსახიდად აწყობდა საჯარო კითხვას. საზოგადოების წარმატებულ საქმიანობას ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ აღნიშნულ საზოგადოებას ამ დროისათვის არ გააჩნდა შესაფერისი შენობა.

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება საკმაოდ აქტიურობდა და აღწევდა კიდევ გარკვეულ წარმატებებს, წინაღობები მაინც არ მთავრდებოდა. სწორედ ამ პრობლემების გადასაჭრელად შეიქმნა განსაკუთრებული კომისია, რომლის წევრებიც 1901 წლის 18 თებერვლის საერთო კრებაზე აირჩიეს. კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ: ბათუმის ოლქის უფროსი **ა. ი. სლავოჩინსკი**, ქალაქის თავი **ლ. ნ. ასათიანი**, მოადგილე **ი. ა. ივანოვი**, სახელმწიფო ბანკის მმართველი **ვისოცკი**, საზოგადოების თავმჯდომარე **ვ. ლ. ლობატინი**, ვიცე-თავმჯდომარე **ე. ვ. ტურკინი**, საზოგადოების ხაზინადარი **დ. ლ. ზილბერმეისტერი**, საზოგადოების წევრები ქალბატონი **ზრადლოვსკაია**, კაპიტანი **უსპენსკი**, პორუჩიკი **ნიკოლაევი**.

კომისიის მიზანი იყო აღედგრა შუამდგომლობა ქალაქის სათათბიროს წინაშე საზოგადოებისათვის, სამკურნალო დაწესებულების ასაგებად 200 კვ. საჟენი მიწის გამოყოფის თაობაზე. შუამდგომლობა დასრულდა წარმატებით და საზოგადოებას ასათიანისა და პუშკინის ქუჩების კვეთაში გამოუყვეს აღნიშნული ფართი. სამკურნალო დაწესებულებისათვის წარდგენილ იქნა ორი გეგმა: 15 000 რუბლად შეფასებული, ავტორი- **ნიკოლაევი** და 3000 რუბლად შეფასებული ქალაქის არქიტექტორ **ბენკლიანცის** მიერ შესრულებული. შეთანხმდნენ მეორე ვარიანტზე, რომელიც მიმდინარე 1902 წელს უნდა განხორციელებულიყო. გამომდინარე იქედან, რომ საზოგადოებას ფინანსურად ძალიან უჭირდა, ისინი თხოვნით მიმართავდნენ კონკრეტულ პირებსა და დაწესებულებებს შემოწირულობისათვის. ბროშურაში შეტანილია გულისხმიერი შემომწირველები: სასულიერო პირი **იოანე კრონშტადსკი**, **ს. ი. ილოვაისკი** და ბევრი სხვა.

1903 წლის 15 ნოემბერს მოხერხდა ცხოველთა საავადმყოფოს გახსნა. მას უკვე გააჩნდა საკუთარი შენობა. 1904 წლის 29 თებერვალს მანეის შენობაში დაიწყო ფუნქციონირება სახალხო თეატრმა, რომელიც ცხოველთა დამცველი საზოგადოების ბათუმის განყოფილების უშუალო ძალისხმევითა და ენერგიული ხელმძღვანელობით შეიქმნა. წლის განმავლობაში მათ მოახერხეს და მოაწყეს 600 მაყურებელზე გათვლილი დარბაზი - თავისი სცენით. დარბაზი გათვალისწინებული იყო როგორც სახალხო კითხვისათვის, ასევე სპექტაკლებისათვის. საზოგადოების საგანმანათლებლო მღვაწეობა, მათ მიერ დადგმულ მთელ რიგ უფასო სპექტაკლებში გამოიხატებოდა. ამ გზით ისინი იზიდავდნენ ხალხის რიგებიდან გამოსულ მოყვა-

რულ მსახიობებს. მათი მიზანი იყო მაყურებელში ცხოველთა მიმართ მოწყალებისა და თანაგრძნობის გრძნობების გაღვივება. სპექტაკლები იღვმებოდა ყოველ კვირას. უფასო დადგმების წარმატება იმდენად დიდი იყო, რომ სახალხო თეატრის შენობა ვერ იტევდა მაყურებელს.

ადგილობრივი მემატეიანე ასეთი სიტყვებით ახასიათებდა საზოგადოების მოღვაწეობას: „ცხოველთა დამცველი საზოგადოების ბათუმის განყოფილებამ ღმერთის მიერ ბოძებული გროშებით შექმნა საკმაოდ ფართო სახალხო თეატრი, რომელიც უკვე დგამდა სპექტაკლებს და აწყობდა საჯარო კითხვას. დარწმუნებული იმაში, რომ სიბნელეზე უნდა გაემარჯვათ, ძალას არ იშურებდნენ მასებისათვის მიეცათ გონივრული გართობის შესაძლებლობა, რაც გამოიხატებოდა სპექტაკლებზე და საჯარო კითხვაზე დასწრებაში. ყოველივე ეს ნამდვილად იყო ამ საზოგადოების დამსახურებაც და უღაო წარმატებაც“.

1905 წელი ბათუმისათვის საკმაოდ რთული და პირქუში აღმოჩნდა. გაჭირდა სპექტაკლების დადგმაც. აბსოლუტურად გასაგები იყო ისიც, რომ წარმატება სახალხო თეატრისთვის მოჰქონდა მოყვარულ-მსახიობთა დაუღალავ შრომას, მათ ენთუზიაზმს. მართალია ისინი არ გამოირჩეოდნენ სასცენო სრულყოფილებით, მაგრამ თეატრს მაყურებელი მაინც არ მოკლებია. ყოველივე ამისათვის მმართველობა უშურველად გამოხატავდა გულწრფელ მადლიერებას.

საზოგადოებამ ვალების შემცირების პარალელურად, დაიწყო ფიქრი საავადმყოფოს გაფართოებასა და ექიმების ბინით უზრუნველყოფის საკითხის მოგვარებისათვის. მოტივი გასაგებია: სასურველი იყო ექიმის მუდმივი ყოფნა საავადმყოფოში. უხელფასოდ კი მუდმივი მორიგეობა იმ შემთხვევაში იქნებოდა გამართლებული, თუ მას საავადმყოფოსთან საცხოვრებელს გამოუყოფდნენ.

როგორც ითქვა, სამკურნალო დაწესებულება 1903 წელს გაიხსნა. მას აღმოაჩნდა მთელი რიგი ნაკლოვანებები. იგი არ თბებოდა, არ ჰქონდა საოპერაციო ოთახი, სააბაზანო და სამზარეულო. აღნიშნულის მოწესრიგებისათვის დამატებითი სახსრების მოძიება იყო აუცილებელი. ფასიანი სპექტაკლებიდან შემოსული თანხა, აგრეთვე შემოწირულობა არ იყო საკმარისი. ამიტომაც გადაწყდა მანუის შენობა მიექირავებინათ ლაბინსკის კაზაკთა პოლკის ვეტერინარული ლაზარეთისათვის. 1907 წელს საზოგადოებამ საკმაოდ დიდი საჩუქარი მიიღო. განყოფილების მმართველობის წევრმა, ვეტექიმმა **ვასილი ვასილის ძე პოლუმორდვინოვმა საზოგადოებას 700 რუბლი გადასცა**. იმ დროისათვის საზოგადოება ფლობდა ორ შენობას: მანუი-არენა, რომლის ღირებულება შეადგენდა 4501 რუბლს და სამკურნალო დაწესებულება, რომელიც დაუჯდათ 5706 რუბლი.

ათწლიანი ფუნქციონირების პერიოდში საზოგადოებამ ქალაქის მმართველობასთან შეთანხმებით არა ერთი საჭირობოროტო საქმე დადებითად გადაწყვიტა: მოეწყო თავშესაფარი მოხეტიალე ძაღლებისთვის, მკაცრად განისაზღვრა სეზონური ნადირობის ვადები, გადაიდგა ნაბიჯები ავადმყოფი ცხენების მკურნალობისათვის. საზოგადოება მოითხოვდა იმ ქუჩების მოკირწყვლას, სადაც დატვირთული ურმების დიდი მოძრაობა იყო (მანთაშევის გადასასვლელი). საქალაქო მმართველობისაგან მოითხოვდნენ აგრეთვე წყლის დასაღვებისა და ერთდღიანი მოსასვენებელი ადგილის მოწყობას იმ ცხენებისათვის, რომლებსაც სპარსეთის ქვეშევრდომები კვირაში შვიდი დღე ამუშავებდნენ. ამ შემთხვევაში საზოგადოებას საკმაოდ დახმარება გაუწიეს, როგორც სამხედრო გუბერნატორმა, ასევე სპარსეთის კონსულმა.

განყოფილების თავმჯდომარე **ტურკინის** თქმით, ისეთი სამკურნალო დაწესებულება ცხოველთათვის, როგორც ბათუმშია, არ იყო რუსეთის ბევრ ცენტრალურ ქალაქში. საზოგადოებამ თავისი დაუღალავი შრომით, ენთუზიაზმით და მიზანდასახულობით თითქმის არაფრისგან შექმნა ძალიან ბევრი და მნიშვნელოვანი. საზოგადოებას სჯეროდა, რომ სამომავლოდ კიდევ ბევრი წარმატების მიღწევა შეეძლო. „საზოგადოებას, მათ მიერ არჩეულ გზაზე, ვუსურვოთ შემდგომი წრმატებები. ეს გზა არის მოსახლეობის კულტურის საზომი, რადგან მხოლოდ კულტურულ ადამი-

ანებს შეუძლიათ იზრუნონ არა მხოლოდ ადამიანებზე, არამედ ცხოველებზეც“, ვკითხულობთ ზემოთდასახელებულ ბროშურაში.

1903 წლის 2 დეკემბერს ბათუმის სამხარეო ვეტექიმად, სამხედრო გუბერნატორის ბრძანებით, დაინიშნა **სტანისლავ კასპერის ძე მურავსკი**, რომელიც რიგის სასწავლო ოლქის, იურიევის ვეტერინალური ინსტიტუტის კურსდამთავრებული იყო. ს. კ. მურავსკი ნებაყოფილობით, პრაქტიკის გასაგვლელად მოგზაურობდა გუბერნიის ქალაქებში, სადაც რქოსანი პირუტყვის ჭირთან ბრძოლის ღონისძიებებში მონაწილეობდა.

ვეტერინარული ბარათი - ზაქათაღის ოლქი, სოფელი კახი. მურავსკი სტანისლავ კასპერის ძე, რომაულ-კათოლიკური აღმსარებლობის, პოლონეთის მოქალაქე, დაბადებული 1875 წლის 25 აპრილს, ვეტერინარის დიპლომი აიღო 1899 წლის 21 ივლისს, ჩარიცხულია მეზრდელად, არ აქვს წოდება, მუშაობს ვეტექიმად სოფ. ელისეში. 1899 წლის 20 ივნისიდან არის სახელმწიფო სამსახურში (3 წელი, 10 თვე და 13 დღე), ხელფასი 1500 რუბლი, დაოჯახებული. ჰყავს ერთი შვილი. სტანისლავ მურავსკი იმყოფებოდა კანონიერ ქორწინებაში ბრონისლავა-იონა პავლეს ასულ კულიკოვსკაიასთან, რომელიც მუშაობდა თბილისის მესამე ქალთა გიმნაზიაში, მასწავლებლად. ოდესის რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მეტრიკული ჩანაწერიდან ირკვევა, რომ ბრონისლავა კულიკოვსკაია დაბადებულია 1886 წლის 27 თებერვალს. 1903 წლის 30 აგვისტოს შედგენილ ნამსახურეობის ფურცელში მითითებულია, რომ მურავსკის ქალიშვილი ირენა, დაიბადა 1902 წლის 4 ივლისს.

ნამსახურეობის მოკლე ჩამონათვალიდან ირკვევა, რომ მურავსკი არა ერთხელ იყო წარდგენილი სხვადასხვა წოდებაზე: 1904 წლის 5 თებერვლის წერილიდან, რომელიც ბათუმის სამხედრო გუბერნატორის სახელზეა გაგზავნილი, შსს ვეტერინალური სამმართველო ითხოვს შუამდგომლობას კოლეჟსკი სეკრეტარის (კოლეგიის მდივნის) წოდების მინიჭებას. აქვეა მითითებული, რომ ის უკვე ბათუმის ოლქის სამხარეო ვეტერინარია. 1905 წლის აგვისტოში უნდა წარადგინონ ტიტულოვანი მრჩევლის წოდებაზე. 1909 წლის ნამსახურეობის ფურცელში მითითებულია სამხარეო ვეტექიმად მურავსკის დანიშვნის ზუსტი თარიღი. 1907 წელს იგი წარადგინეს **კოლეჟსკი ასესორის** (სტაჟიანი კოლეგიის წევრი) წოდებაზე. 1910 წლის 15 თებერვალს იგი წარუდგენიათ „**ნადვორნი სოვეტნიკის**“ წოდებაზე, რაც ძვ. რუსეთში მე-7 კლასის სახელმწიფო მოხელეს ნიშნავდა.

ოჯახის წევრების ტიფის მიმე ფორმით დაავადების გამო ს. კ. მურავსკის ბათუმში მოღვაწეობა დაუსრულდება 1910 წელს, როგორც ეს შსს წერილში არის მითითებული (ასს ცსა, ფონდი ი-35; აღწ. 1; საქ. 1, 2)

საქალაქო მმართველობის ფონდში დაცულია აგრეთვე 1907 წლის ადგილის გეგმა, რომელიც დამოწმებული და ხელმოწერილია ბათუმის საქალაქო არქიტექტორის მოვალეობის შემსრულებლის, სამხედრო ინჟინერ, პოლკოვნიკ გოლიცინის მიერ (ასს ცსა, ფონდი ი-6; აღწ. 1; საქ. 183).

Mzia Surmanidze
Nino Gogitidze
Nani Phutkaradze

Batumi Animal Protection Society in 1897-1910

Summary

The problem of protection of domestic and wild inhabitants is an urgent issue of all times. This problem was relevant in the past as well, which is confirmed by the documentary materials kept in the archive department. Jaime Shmaevski's typography has printed a brochure, which refers to the 10th anniversary of the Batumi branch of the Tbilisi Animal Protection Society. The brochure was prepared by the head of the department E. V.

Turkin and it tells in detail what work the mentioned society has done since its establishment until 1908. The article is about these issues.

გამოყენებული წყაროები:

1. ასს ცსა, ფონდი ი-35; აღწ. 1; საქ. 1, 2
2. ასს ცსა, ფონდი ი-6; აღწ. 1; საქ. 183.

*თამაზ ფუტყარაძე
ნანი ფუტყარაძე
მარიამ ხინთიბიძე*

საქართველო-ჩინეთის სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობები, აკადემიური ცოდნის გაცვლის ტენდენციები და პერსპექტივები

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა ეროვნული პოლიტიკის, ეკონომიკის, განათლების სწრაფვამ გლობალიზაციისაკენ. შესაბამისად იზრდება სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულებების ხარისხი, იქმნება ერთიანი სამეცნიერო-კულტურული ცენტრები, გლობალური ბაზრები, იზრდება ინტერესი ამ პროცესების მეცნიერული შესწავლისადმი. ყოველივე ეს ხელს უწყობს ერთიან ეკონომიკურ, კულტურულ, საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციული პროცესების გააქტიურებას. ამ შეუქცევად პროცესებს განაპირობებს აგრეთვე ხელისუფლების მიერ სხვადასხვა ქვეყანასთან გაფორმებული ორმხრივი თუ მრავალმხრივი შეთანხმებები, ხელშეკრულებები, მემორანდუმები, რომლებიც აკადემიური ცოდნის ტრანსფერის - გაცვლის ერთგვარ წინაპირობადაც გვევლინება. ამ პროცესებში ჩართული ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეძლებს იყოს თვითკმარი და მხოლოდ საკუთარ წარმოებასა თუ განათლების სისტემაზე დამოკიდებული. შრომის საერთაშორისო დანაწილების პირობებში ნებისმიერ ქვეყანას ესაჭიროება ცოდნის გაცვლა - იმპორტი და ექსპორტი.

ქართველ ხალხს ოდითგანვე საზოგადოებრივი მდგომარეობის შესაბამისი მაღალგანვითარებული განათლება და კულტურა ჰქონდა, რასაც განაპირობებდა:

1. **ქვეყნის განვითარება საკუთარ საგანმანათლებლო და კულტურულ ტრადიციებზე (ფაზისის რიტორიკული სკოლა, გელათის, იყალთოსა და გრემის აკადემიები, მტკვარ-არაქსის, თრიალეთის, კოლხური კულტურა);**
2. **ბევლი აღმოსავლეთის (შუამდინარეთი, სპარსეთი) კულტურულ კერებთან, მოგვიანებით კი ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან სიახლოვე.** ქართული კულტურა ითვისებდა მათი განათლების და კულტურის ელემენტებსაც, რამაც განაპირობა მისი უფრო მაღალკულტურული განვითარება, ვიდრე მის ჩრდილოეთით მცხოვრები ხალხებისა;
3. **გეოგრაფიული მდებარეობა.** საქართველოზე გადიოდა ჩრდილოეთისა და სამხრეთის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი (დიდი აბრეშუმის) გზები, რაც ხელს უწყობდა იმუამინდელი მსოფლიოს კულტურული თუ სამეცნიერო ტრადიციების გაცნობას, დასავლური და აღმოსავლური განათლების ელემენტების შერწყმას. ცხადია, კულტურის და მეცნიერების განვითარება უპირატესად ქართულ ტრადიციებს ეყრდნობოდა.

XX-XXI საუკუნეების მიჯნა ახალი ქვეყნების ფორმირებისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების დამოუკიდებელი განვითარების პერიოდია. სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების ხასიათი შესაბამის ასახვას პოულობს მეცნიერებასა და კულტურის განვითარებაში. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის თვისობრივად ახალი კულტურა და ახალი მეცნიერული ცოდნის ფორმირება, რომელშიც უხვად არის წარმოდგენი-

ლი უცხოური და ადგილობრივი სამეცნიერო მიღწევები და ეფუძნება აკადემიური ცოდნის გაცვლის ამ პერიოდისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს.

თანამედროვე საქართველოს აქტიური ჩართულობა საერთაშორისო ინტეგრაციულ პროცესებში, ჩვენი ქვეყნის წინაშე პერმანენტულად აყენებს ეროვნული სტანდარტების საერთაშორისო სტანდარტებთან პარმონიზაციის საკითხს. ქვეყანამ პრაქტიკულად დაიბრუნა თავისი ისტორიული გეოპოლიტიკური ფუნქცია და გახდა ევრაზიის სახელმწიფოთა სტრატეგიული პარტნიორი. სტატიის მიზანია წარმოაჩინოს აკადემიური ცოდნის გაცვლის ცალკეული საკითხები საქართველო-ჩეხეთის სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობების მაგალითზე, შეისწავლოს მისი განვითარების ტენდენციებისა და პერსპექტივები.

ზოგადად, საქართველოსა და ჩეხეთს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, საგანმანათლებლო თუ კულტურული ურთიერთობები დინამიურად ვითარდება ორმხრივ ფორმატში თუ საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში. ქართული კულტურის პოპულარიზაციის მიზნით, ჩეხეთში რეგულარულად იმართება სხვადასხვა ღონისძიება. თბილისში მდებარეობს ჩეხეთის ყოფილი პრეზიდენტის, ვაცლავ ჰაველის სახელობის სკვერი. ხოლო აბაშის მუნიციპალიტეტი დამშობილებულია ქალაქ იევიჩკოსთან. ჩეხეთის ერთ-ერთ ქალაქში კი არის რუსთავის მოედანი („ჩეხი ქართველოლოგი ვაცლავ ჩერნი საუბრობს ქართულ მწერლობაზე“ - ჩაწერილია 1966 წლის 29 სექტემბერს. <https://www.youtube.com/watch?v=fSJIxltrlo>).

ჩეხეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა 1993 წ. 1 იანვარს. მოგვიანებით (2000 წ.) გაიხსნა ჩეხეთის საელჩო თბილისში და საქართველოს საელჩო ჩეხეთში (2006 წ.). ჩვენს ქვეყნებს შორის გაფორმებულია ათამდე სხვადასხვა სახის ხელშეკრულება, მათ შორის განათლების სფეროში. ჩეხეთის მთავრობის მიერ გამოყოფილი სტიპენდიებით ქართველი სტუდენტები განათლებას იღებენ ჩეხეთის უმაღლეს სასწავლებლებში. 2015 წელს ჩეხეთის კარლის უნივერსიტეტში დაარსდა ქართული ენისა და კულტურის შემსწავლელი ცენტრი და „ქართული ენისა და კულტურის ისტორიის“ საგანი ოფიციალურად შევიდა სასწავლო პროგრამაში.

მნიშვნელოვანია აგრეთვე საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალები, რომელიც იმართება ჩეხეთში. საქართველო ამ ფესტივალების საპატიო სტუმარია. ერთ-ერთი ასეთი ფესტივალი გაიმართა 2017 წ. 29 ივნისს, რომელზეც უმასპინძლეს 31 ქართველ მწერალს. მსგავსი ღონისძიებები არა მარტო ცოდნის გადაცემის, არამედ კვლევა-ძიების მეთოდის და თემატიკის შემუშავების ახალ საშუალებების შემუშავების გზაცაა. კონტაქტები მეცნიერებს შორის და ცოდნის გადაცემის ფორმები ხელს უწყობს მეცნიერების განვითარებას, მაგრამ მეცნიერული ცოდნის, სამეცნიერო ინფორმაციის დაგროვების კვალობაზე საჭირო ხდება გარკვეული ცვლილებები.

საქართველოს ისტორიის, ტრადიციების, მითოლოგიის, განათლების საკითხებზე ვრცელი ინფორმაციები შეიტანა თავის წიგნში „კავკასია, მისი ბუნებრივი სილამაზე, ეკონომიკური პირობები, ეთნოგრაფია და ტოპოგრაფია“ (გამოქვეყნდა 1894 წ.) ცნობილმა ჩეხმა მოღვაწემ **ემანუელ ფაიტმა**, ხოლო ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პირველმა პრემიერ მინისტრმა **კარელ კრამარცმა** შუემნებისა და ქართველების საერთო წარმომავლობის დასაბუთებას მიუძღვნა მონოგრაფია - „შუემრულ-ქართული ენობრივი ერთიანობის შესახებ“ (1905 წელი), რომელიც გამოქვეყნდა სამეფო სამეცნიერო საზოგადოების მოამბეში.

საქართველო-ჩეხეთის სამეცნიერო-კულტურული თანამშრომლობის და ცოდნის ტრანსფერის საქმეში ფასდაუდებელია ჩეხი პოლიგლოტის, ენათმეცნიერის, მთარგმნელის, პედაგოგის, ფილოლოგ **იარომირ იედლიჩკას** (1901-1965) ღვაწლი. იგი ასწავლიდა ქართულ ენას პრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. მასვე ეკუთვნის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური და პროზაული თარგმანი (ლეონიძე გ., მეგრელიძე ი., ქართული კულტურის მეგობარი, "კომუნისტი" 1965,

18 აგვ.). ი. იედლიჩკამ შეისწავლა არაერთი ქართველი მწერლისა და პოეტის შემოქმედება, ქართული ენის გრამატიკა და მრავალი ნაშრომი გამოაქვეყნა ქართველოლოგიის საკითხებზე ("სიტყვაწარმოება და ბრუნება ძველ ქართულში", 1963, ჩეხური ენის სახელმძღვანელო ქართველთათვის, თბ., 1972 (ელ. ვერსია: dspace.nplg.gov.ge). "ძველი ქართული ენის სტრუქტურა", 1961 და სხვა (საქართველო: ენციკლოპედია: ტ. IV. -თბ., 2018. -გვ.198, ბარამიძე ა., იარომირ იედლიჩკა საქართველოში, "ლიტერატურული გაზეთი", 1957, 28. VI).

იედლიჩკამ განსაკუთრებული ამაგი დასდო რუსთველოლოგიური შრომების შესწავლას. მხედველობაში გვაქვს ბ. ნოზაძის მეცნიერული მემკვიდრეობა, რომელსაც გულდასმით სწავლობდა ი. იედლიჩკა და უგზავნიდა ი. მეგრელიძეს - ა. შანიძის, შ. ნუცუბიძის, ა. ბარამიძისა და სხვა სხვა ადრესატისათვის გადასაცემად („მნათობი" 1963: 26)..

ი. იედლიჩკას დამოკიდებულება საქართველოსადმი გამოიხატა მისსავე სიტყვაში, რომელიც არაერთხელ გადაიცა საქართველოს ტელევიზიით. იგი ორჯერ იყო საქართველოში, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „დიდი პოეტების და გმირების სამშობლოში“. აი, როგორ გადმოსცემს იგი საქართველოსადმი დამოკიდებულებას: „მიყვარს საქართველო, ქართული სიტყვა, ქართული ენა. პირველი ქართული წიგნი, რომელიც მოხდა ჩემში „დედა ენა“ და „ვეფხისტყაოსანი“ იყო. დედა ენიდან ვისწავლე ქართული. „ვეფხისტყაოსნიდან“ კითხულობდა ჩემი მასწავლებელი შაირებს. უკვე მაშინ გადავწყვიტე გადამეთარგმნა უკვდავი პოემა. მე რამდენჯერმე ვცადე ჩავწდომოდი ქართული ლიტერატურის უშრეტი საგანძურის სიღრმეს. ჩემს მიერ მიღებული პირველი განძი ქართული ხალხური ზღაპრები იყო. მათ ჩემ მკითხველთა ყურადღება მიიპყრეს და ჩარჩენ იმ ჩარჩოების სილამაზით, რომლებშიც მოქცეულია გმირთა ტრადიციული შეურიგებელი ბრძოლა ბოროტებაზე კეთილის გამარჯვებისათვის.

ჩემმა მკითხველმა გაიცნო ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვა“, შეიყვარა სახალხო გმირი მისი ხასიათის მთლიანობისა და კეთილშობილებისათვის და აფასებს მისი ხასიათის ჯანსაღ არსებას, რომელსაც ოდნავი უხეშობის ელფერი დაკრავს. შემოდგომაზე გამოვიდა ორი ჩემი თარგმანი: ქართული გრაფიკული მოთხრობების რჩეული, რომელიც შეიქმნა დ. ჭონქაძის „სურამის ციხის“, ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანის“ და „სარჩობელაზედ“, ალ. ყაზბეგის „ხვეისბერი გონა“-ს მიხედვით. ერთსა და იმავე დროს გამოვიდა „ვეფხისტყაოსნის“ ჩემი თარგმანი, პოეტური და პროზაული, ორივე ერთ ტომში მრავალი წლის მუშაობის შემდეგ. ჩემს თარგმანში დაცულია მაღალი და დაბალი შაირი და თანაბარი რითმა ყველა შაირში. გ. ლეონიძე პირველი პოეტი იყო, რომელმაც მომიტანა საღამო საქართველოდან. მოვამზადეთ დ. გურამიშვილის „მხიარული გაზაფხული“ - ჩემ პოეტ იაროსლავ საიდოსთან ერთად და ქართული სიმღერების კრებული. დავწერე ქართული მეცნიერული ლიტერატურის რამდენიმე ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა. მოვამზადე ქართული ენის გრამატიკა. ჩვენს უნივერსიტეტში ქართული ენის, ლიტერატურის ისტორიის და ისტორიის შესწავლა გრძელდება. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთან ქართული კულტურის ერთი პატარა კუნძული შეიქმნება. ამ კუნძულიდან და ჩეხი ხალხიდან მივესალმებით საქართველოს, ქართველ ხალხს, ნიჭიერ ხალხს, ძველი კულტურის მემკვიდრეს და ახლის მშენებელს და ვუსურვებ ბევრ წარმატებას (YouTube. <https://ltv.ge/radiomuseum/chekhi-qartvelologi-da-mtargmneli-iaromir-iedlichka-saqartvelos-shesakheb/>.)

ჩეხურ-ქართული სამეცნიერო-კულტურული თანამშრომლობის საკითხებზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ქართული კულტურის დიდი პროპაგანდისტის **ვაცლავ ჩერნის** (1931-2017) მოღვაწეობას. კარლის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული (სომხური და სპარსული ენების განხრით) სხვადასხვა დროს მუშაობდა გამომცემლობის რედაქტორად, შემდეგ კი ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. კითხულობდა ლექციებს ზოგადი კავკასიო-


ლოგის, ქართული და ჩერქეზული ენების შესახებ. მისი შრომები ეძღვნება კავკასიური და ქართული კულტურისა და ლინგვისტიკის სხვადასხვა საკითხს. ვ. ჩერნი მეცნიერული საქმიანობის პარალელურად ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობასაც. მას ეკუთვნის ვაჟა-ფშაველას, მიხეილ ჯავახიშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, ასევე თანამედროვე ქართველი მწერლების ნაწარმოებებთა ჩეხური თარგმანები.



ვ. ჩერნი საქართველოს პირველად 1958 წელს ეწვია. მაშინ მისი მეგზური იყო მისივე მასწავლებელი, დოქტორი იარომირ იედლიჩკა. ვ. ჩერნის გადმოცემით ქართული კულტურით დაინტერესება დაკავშირებული იყო იარომირ იედლიჩკას შვილთან, რომელსაც სკოლაში მოჰქონდა ქართული წიგნები. მოგვიანებით მას ქართული კულტურის საკითხებზე ესაუბრა თავად ი. იედლიჩკამაც, სომხური ენის შესწავლით დაინტერესებული ვ. ჩერნი მეოთხე კურსიდან გადაერთო ქართული ენის შესწავლაზე ქართული ენითა და კულტურით ვაცლავ ჩერნი განსაკუთრებით მას შემდეგ დაინტერესებულა, რაც მუშაობა დაუწვია იმ გამოცემლობაში, რომელიც გამოსაცემად

ამზადებდა სსრ კავშირის ხალხთა ენებიდან ჩეხურად თარგმნილ ნაწარმოებებს. აქ მან საბოლოოდ განსაზღვრა თავისი მეცნიერული მოღვაწეობის პროფილი – იბერიულ-კავკასიური ენების სპეციალობა. როგორც სინტაქსის სპეციალისტი, იგი აქტიურად მუშაობდა ჩრდილოეთ კავკასიის ენებზე. იგი ფლობდა ქართულ, სომხურ, ჩერქეზულ, ავარიულ, სპარსულ, არაბულ, თურქულ, ლათინურ, გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ, ესპანურ, იტალიურ და აგრეთვე მალტიურ ენებს. საკანდიდატო დისერტაციაზე ამ ენებს, სახელდობრ, ადიღეურს მიუძღვნა.

1950-იანი წლებიდან ვ. ჩერნი ხშირად სტუმრობდა საქართველოს, მოგზაურობდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. მას მეცნიერული, ლიტერატურული და პიროვნული ურთიერთობები აკავშირებდა თამაზ და ოთარ ჭილაძეებთან, ჯემალ ქარჩხაძესთან, ოტია იოსელიანთან, არჩილ სულაკაურთან, ჭაბუა ამირეჯიბთან, ნოდარ დუმბაძესთან, გურამ ფანჯიკიძესთან, რეზო ჭეიშვილთან და სხვებთან. მასვე ეკუთვნის ზემოთდასახელებულ მწერალთა ნაწარმოებების ჩეხური თარგმანები (35 წიგნი). მან თარგმნა აგრეთვე ვაჟას („გველისმჭამელი“), მ. ჯავახიშვილის („თეთრი საყელო“), ნ. ლორთქიფანიძის ნაწარმოებები. ვაცლავ ჩერნი ჩეხეთის ისტორიაში იყო მესამე ქართველოლოგი, რომელმაც თავის წინამორბედ ქართველოლოგებს ი. იედლიჩკას და ალოის კოუდელკას (ალოის კოუდელკა - მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის მიჯნაზე მოღვაწე სასულიერო პირი, ლინგვისტი, რომელმაც 1911 წელს ქართულიდან ჩეხურ ენაზე გადათარგმნა და გამოცხა „ბაში-აჩუკი“, ეგნატე ნინოშვილის „გოგია უიშვილი“ და დუტუ მეგრელის „უდანაშაულო მსხვერპლი“.)



პირველი ქართული წიგნი ჩეხეთში

მან გულით შეიყვარა საქართველო და ქართული მწერლობა. „მსოფლიოს ლიტერატურა არ ცხოვრობს დასავლეთში ან მოსკოვში. საქართველოში არის შესანიშნავი თაობის მწერლები, საინტერესო ლიტერატურა მსოფლიოს თვალსაზრისით“ („ჩემი ქართველოლოგი ვაცლავ ჩერნი საუბრობს ქართულ მწერლობაზე“ - ჩაწერილია 1966 წლის 29 სექტემბერს. <https://www.youtube.com/watch?v=fsJilxtrlo>). ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ჩეხეთის „პენ კლუბის“ გამგეობამ მწერალ ივან კლიმაის ინიციატივით ოთარ ჭილაძე წარადგინა ნობელის პრემიაზე. ქართველი მწერლის რეკომენდატორი იყო სწორედ მისი მთარგმნელი და მეგობარი ვაცლავ ჩერნი (ნინო დეკანოიძის ინტერვიუ ვაცლავ ჩერნისთან, გაზ. ლიტერატურული საქართველო“, 11-18 ოქტომბერი, 1996 წელი)

ვ. ჩერნი ბევრს მუშაობდა მშობლიური ჩეხურის და ქართული ენების პოპულარიზაციისათვის. „ბევრი ქართველები ჩეხურად ლაპარაკობენ და ეს არის ჩემთვის დიდი პატივი - დამსახურება კი არა, დიდი პატივი. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის დიდი პატივია, რომ ბევრმა ქართველმა დაიწყო ჩეხურად ლაპარაკი“, მოკრძალებით ამბობდა იგი.

მთარგმნელობით საქმიანობასთან ერთად განსაკუთრებულია მისი წვლილი საქართველოს ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისათვის. მან უამრავი ჩეხი ჩამოიყვანა საქართველოში, მოატარა სვანეთი, ხევსურეთი და საქართველოს სხვა რეგიონები. ვაცლავ ჩერნი ოტია იოსელიანთან ერთად იყო უცხოელების მეგობარი საქართველოში. საქართველოს ტურისტული პოტენციალის ამოღებას და პოპულარიზაციას ემსახურებოდა პრელაში რესტორანი „თამადა“-ს გახსნა, რომელიც გაუკეთებიათ 30 დღის განმავლობაში. „საქართველოში რომ ვიყავი, მომეწონა“ ქართული სამზარეულო, ამიტომაც გავაკეთეთ, ამბობდა იგი (ჩემი ქართველოლოგი ვაცლავ ჩერნი საუბრობს ქართულ მწერლობაზე - ჩაწერილია 1966 წლის 29 სექტემბერს. <https://www.youtube.com/watch?v=fsJilxtrlo>)

მხრცოვანი მეცნიერი ქართული კულტურის პოლულარიზაციას ეწეოდა როგორც კალმით, ისე მასობრივი საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით. არაერთ სატელევიზიო გადაცემაში იგი ხშირად საუბრობდა კავკასიასთან და მათ შორის საქართველოსთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ქართული კულტურის პოპულარიზაციასა და ქართული და ჩეხური კულტურის დაახლოებაში შეტანილი წვლილისათვის, ქართველოლოგი, მეცნიერ-მთარგმნელი ვ. ჩერნი დაჯილდოვდა საქართველოს სახელმწიფო ჯილდოთი - „ღირსების ორდენით“. სამადლებლო სიტყვაში მხრცოვანმა მეცნიერმა განაცხადა: „დიდი მადლობა, ჩემო მეგობრებო, ჩემო ქართველებო! თქვენი ენა ყოველთვის მომწონდა და ბედნიერი ვარ, რომ საშუალება მქონდა ქართულად ლაპარაკისა და იმედი მაქვს, რომ სანამ ცოცხალი ვარ, სანამ არსებობს ქართული ლიტერატურა, ქართული პოეზია და ქართველი ერი, მე ვიზრუნებ მასზე და ჩემი უახლესი გეგმა არის, რომ გადავთარგმნო რამდენიმე ახალი რომანი, რამდენიმე ახალი პოეზია...“ ასეთი ოპტიმისტური შემართებით და მადლიერებით დახვდა საქართველოს „ღირსების ორდენის“ კიდევ ერთი ჩეხი კავალერი მასთან სტუმრად მისულ საქართველოს ელჩს ზაზა გოგსაძეს. მანამდე საქართველოს მაღალი სახელმწიფო ჯილდო ჩეხეთის პირველ პრეზიდენტს ვაცლავ ჰაველს გადაეცა.

ვაცლავ ჩერნი აქტიურად თანამშრომლობდა „კულტურულ ურთიერთობათა ცენტრ კავკასიურ სახლთან“. იგი იყო „კავკასიური სახლისა“ და ჰაინრიხ ბიოლის ფონდის მიერ ერთობლივად ორგანიზებული საერთო კავკასიური კონფერენციების მონაწილე, რომელიც 1995-1996 წლებში ჩატარდა თბილისში. ის შემდგომშიც არაერთხელ სწვევია „კავკასიურ სახლს“, როგორც თანამოაზრე და მისი უცხოელი კონსულტანტი. თავის მოსაზრებებს ვ. ჩერნი გადმოსცემდა კახური აქცენტით გაჯერებული ქართულით და დახვეწილი იუმორით (კაკულია, ა. ვაცლავ ჩერნი - ქართული კულტურის მეგობარი / ა. კაკულია // ახალგაზრდა კომუნისტი. - თბილისი, 1965. - 7 ოქტომბერი).

განსაკუთრებული სიყვარული აკავშირებდა საქართველოსთან **ოტო სმიკს**. იგი იყო ჩეხური გამანადგურებელი თვითმფრინავის პილოტი, რომელიც დაბადებულია საქართველოში, პატარა ქალაქ ბორჯომში 1922 წლის 20 იანვარს. ოჯახს სამშობლოში დაბრუნების უფლება არ მისცეს 1934 წლამდე. ომის შემდეგ მან იქორწინა ქართველ ებრაელზე.

აკადემიური ცოდნის გაცვლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აგრეთვე ჩეხეთში ქართველი მეცნიერების და კულტურის მოღვაწეების საქმიანობა. არაერთი ქართველი მეცნიერი, კულტურის მოღვაწე ცხოვრობდა და საქმიანობდა ეხეთის რესპუბლიკაში. მათ შორის იყო ქართველი ემიგრანტი **მიხეილ უბირია**, რომელიც 20-ე ს. 50-იან წლებში ცხოვრობდა პრალაში. 1958 წელს პრალაში გამოაქვეყნა მონოგრაფია - „კაპიტალიზმის პირობებში ჩეხოსლოვაკიის მონეტარული და საკრედიტო სისტემა“, რომელმაც სპეციალისტებში დიდი აღიარება მოუპოვა.

ჩეხეთში მოღვაწე ქართველთა შორისაა **ავთანდილ (ალექსანდრე) პაპიაშვილი** - ექიმი, ფსიქიატრი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, პოეტი. იგი წერდა იასონ ამირანის და ჯეი რანის ფსევდონიმით. ავთანდილ პაპიაშვილმა 1970-იან წლებში ატესტაცია გაიარა ჩეხოსლოვაკიაში, სადაც დაქორწინდა და საცხოვრებლად დარჩა. გარკვეული პერიოდი მუშაობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, შემდეგ კვლავ პრალას დაუბრუნდა. მის კალამს ეკუთვნის საყურადღებო გამოკვლევა - „კურტიზანისა და ფსიქონალიტიკოსის წიგნი“. მანვე გამოაქვეყნა ქართული ლექსი - „დამშვიდობება“.

პრალაში მოღვაწეობდა აგრეთვე რუსულენოვანი ქართველი მწერალი **კონსტანტინე ჩხეიძე** (1897–1974). ჩეხეთში იგი საცხოვრებლად გადავიდა 1922 წელს. 1945 წელს საბჭოთა კონტრდაზვერვის სპეციალურმა დანაყოფმა – სმერშმა დააპატიმრა და მოათავსეს გულაგის ბანაკში, საიდანაც 1955 წლამდე ვერ დაბრუნდა პრალაში. მის კალამს ეკუთვნის ჩეხურ ენაზე გამოაქვეყნებული წიგნები: „პრომეთეს ქვეყანა“ (1932 წელი), „მზისკენ მომხიარული! (1935 წელი), „ქარიშხალთან პირისპირ“ (1940 წელი), საბავშვო ზღაპრები: „არწივის კლდე“ (1958 წელი), „ჯადოსნური ბეჭედი“ (1968 წელი), „ლეგენდა - პატარძალი მთიდან“ (1971 წელი). მისი ხელნაწერები და მოგონებები გულაგში გატარებული წლების შესახებ, რომლებიც დღემდე არ გამოქვეყნებულა, დაცულია ჩეხეთის ეროვნული ლიტერატურის მემორიალში.

ქართველი მეცნიერების სახელს უკავშირდება იშვიათი ლითონების გამოდნობის ავტომატური ცენტრის დამონტაჟება მეტალურგიულ ქარხანაში, რომელშიც დაინერგა ალუმინის მეორადი გადამუშავების საჭირო ავტომატიზირებული სისტემა. ეს და სხვა ღონისძიებანი უშუალოდაა დაკავშირებული აკადემიური ცოდნის გაცვლის საკითხებთან.

აქტიური თანამშრომლობის მიუხედავად ცოდნის გაცვლის პროცესს ახლავს გარკვეული დაბრკოლებებიც. მთავარი მაინც ცოდნის დემონსტრირების სურვილისა და ინიციატივის არქონაა. არც თუ ისე იშვიათია პოლიტიკური კონიუქტურის უარყოფითი გავლენაც. არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც საქართველოში არანაკლებ აბრკოლებს ცოდნის გაცვლის პროცესს. ესაა შრომისუნარიანი მოსახლეობის სიმცირე - მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობა. წარსულში, მუდმივი ომიანობის ვითარებაში შრომისა და ბრძოლისუნარიანი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სამშობლოს დაცვის საქმეს ემსახურებოდა. ეს გამოწვევა საქართველოსათვის განსაკუთრებით საგანგაშო იყო. ერეკლე მეფემ კრწანისის ბრძოლაში 5 ათასი კაციც კი ვეღარ შეაგროვა. აღნიშნული ფაქტორი უარყოფითად მოქმედებდა უფროსი თაობის ექსპერტული ცოდნის გამოყენებაზე. არ იყო გამორიცხული უფროსი თაობის ექსპერტული ცოდნის დაკარგვა (ოღვა უხანოვა, 2015:138-139). ეს გამოწვევად რჩება თანამედროვე საქართველოსათვისაც, სადაც ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდა შრომითი მიგრაციები უცხოეთის ქვეყნებში, რამაც საგრძნობლად შეამცირა ქვეყანაში შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა.

ცოდნის დაგროვება-გაცვლა-გადაცემა საქართველოში ძირითადად მაინც წინა თაობის გამოცდილებას, მემკვიდრეობითობის პრინციპს (როგორც უნიკალურ საბაზო ცოდნას) ეფუძნება. მართალია ადრე ორგანიზაციულად ვერ ხერხდებოდა ცოდნის სისტემის მეცნიერული მართვა-მენეჯმენტი, მაგრამ მემკვიდრეობითობის პრინციპზე დაფუძნებული ცოდნა ორიენტირებული იყო უნიკალური განმავითარებელი გარემოს შექმნასა და ინოვაციებზე

მიუხედავად აღნიშნული დაბრკოლებებისა, თანამედროვე საქართველოში წარმატებით და ეფექტურად ხორციელდებოდა ცოდნის გადაცემა როგორც მომავალი თაობისათვის, ისე სამეცნიერო საზოგადოებისათვის, დაინტერესებული ადამიანებისა და უცხოელებისათვის. საქართველო ითვისებდა ცივილიზებულ სამყაროში დაგროვილი ცოდნის მარაგს, თავადაც მონაწილეობდა ამ პროცესში და ხელს უწყობდა მის ეფექტურ გადაცემასა და პრაქტიკაში გამოყენებას, რაც ნათლად ჩანს ჩეხეთ-საქართველოს ურთიერთობების ტრადიციებიდან.

Tamaz Phutkaradze
Nani Phutkaradze
Mariam Khintibidze

*Georgian-Czech scientific-cultural relations, trends and perspectives of
academic knowledge exchange
Summary*

In modern conditions, the drive of national politics, economy, and education towards globalization has gained special relevance. Accordingly, the degree of interdependence of states increases, unified scientific and cultural centers, global markets are created, interest in the scientific study of these processes increases. The article presents Czech-Georgian scientific-cultural relations, trends and perspectives of academic knowledge exchange.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარამიძე, 1957. ბარამიძე ა., იარომირ იედლიჩკა საქართველოში, "ლიტერატურული გაზეთი", 28 ივნისი, 1957, თბილისი ;
2. დეკანოიძე, 1996. ნინო დეკანოიძის ინტერვიუ ვაცლავ ჩერნისთან, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 11-18 ოქტომბერი, 1996, თბილისი;
3. იედლიჩკა, 1972. იარომირ იედლიჩკა, ჩეხური ენის სახელმძღვანელო ქართველთათვის, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი;
4. იედლიჩკა, 2020. იედლიჩკა საქართველოს შესახებ. YouTube. <https://itv.ge/radiomuseum/chekhi-qartvelologi-da-mtargmneli-iaromir-iedlichka-saqartvelos-shesakheb/>.) 2 ივლისი, 2020;
5. კაკულია, 1965. კაკულია, ა. ვაცლავ ჩერნი - ქართული კულტურის მეგობარი / ა. კაკულია // ახალგაზრდა კომუნისტი“, 7 ოქტომბერი, 1965, თბილისი;
6. ლეონიძე, 1965. ლეონიძე გ., მეგრელიძე ი., ქართული კულტურის მეგობარი, "კომუნისტი" 1965, თბილისი;
7. საქართველო, 2018. საქართველო: ენციკლოპედია: ტ. IV, თბილისი;
8. მნათობი, 1963;
9. ჩეხი ქართველოლოგი ვაცლავ ჩერნი ქართულ მწერლობაზე - ჩაწერილია 1966 წლის 29 სექტემბერს. <https://www.youtube.com/watch?v=lfSjilxtrlo>);
10. Уханова, 2015. Ольга Уханова, Проблема „отцов и синовей“ менеджменте знаний. Проблемы теории и практики управления, N 4, 2015.

აბსტრაქტი. ნაშრომი ეხება XIX საუკუნის პირველ ნახევარში გარე კახეთში, სოფელ სართიჭალასთან ჩამოსახლებულ გერმანელ კოლონისტებს. მათ ჩამოსახლებას ხელს უწყობდა რუსეთის იმპერია და ჩამოსახლების ხარჯებს მთავრობა სრულად ანაზღაურებდა. ცარიზმი ერთის მხრივ აცხადებდა, რომ გერმანელი კოლონისტების ჩამოსახლება ხელს შეუწყობდა საუკუნეების მანძილზე მტრისაგან გავერანებული დასახლებების ხელახლა დასახლებას და მათ ოაზისებად გადაქცევას, ხოლო მეორე მხრივ მათ რეალურ მიზანს წარმოადგენდა სამხრეთ კავკასიაში პლაცდარმის შექმნა, რადგან ქართველთა არაერთი აჯანყების შედეგად ცარიზმი მიხვდა, რომ საქართველოს მოსახლეობა ადვილად არ შეეგუებოდა სახელმწიფოებრიობის გაუქმებას და განაგრძობდნენ ბრძოლას დამპყრობელთა წინააღმდეგ. გ. მანჯგალაძეს მის ნაშრომში “გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში”, მოტანილი აქვს ცნობა, რომლის მიხედვითაც 1810 წლიდან რუსეთმა შეუწყვიტა იმპერიის ტერიტორიაზე გადმოსახლების მსურველ გერმანელებს დაფინანსება და მათ მხოლოდ საკუთარი ხარჯით შეეძლოთ გადასახლება. ეს შეზღუდვა არ ვრცელდებოდა სამხრეთ კავკასიაზე და ამ მხარეში რუსეთის იმპერია კვლავ თავისი ხარჯებით ასახლებდა კოლონისტებს, რაც ცალსახად ნათელს ხდის, რომ უცხოელთა კოლონიზაციას რუსეთი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. მიუხედავად რუსეთის კოლონიური მიზნებისა, გერმანელების საქართველოში ცხოვრება უაღრესად პოზიტიურად აისახა ქვეყანაზე, რადგან გერმანელებმა საქართველოში ჩამოიტანეს და დანერგეს მრავალი უცხო კულტურა, მაგ: კარტოფილი. გერმანელთა მიერ შექმნილი უმშვენიერესი არქიტექტურული ძეგლები საქართველოში დღემდეა შემორჩენილი.

საკვანძო სიტყვები: გერმანელები, რუსეთის იმპერია, კოლონიზაცია.

Abstract. Scientific paper refers to the German colonists, who settled in the outside Kakheti, near the village of “Sartichala”, in the first half of the 19th century. Their settlement was facilitated by the Russian Empire, and the government fully reimbursed the costs of the settlement. On the one hand, "Tsarism" stated, that the settlement of German colonists would help to repopulate the settlements that had been devastated by the enemy for many centuries and turn into them oasis, and on the other hand, their real goal was to create a base in the South Caucasus, because as a result of numerous Georgian uprisings, "Tsarism" realized , that the population of Georgia would not easily adapt to the abolition of statehood and would continue to fight against the invaders. G. Manjgaladze in his science paper "German colonists in Transcaucasia" has a report, according to which since 1810 the Russian Empire stopped funding Germans who wanted to settle to the territory of Russia and they could settle only at their own expense. This restriction did not extensive to the South Caucasus, and in this area the Russian Empire still settled colonists at its own expense, which makes obviously that Russia attached special importance to the colonization of foreigners. Despite the colonial goals of Russia, the life of the Germans in Georgia had a very positive impact on the country, because the Germans brought and introduced many foreign cultures to Georgia, such as potatoes. beautiful architectural monuments, which is created by the Germans, are still preserved in Georgia.

საქართველოსა და გერმანიის ურთიერთობებს გააჩნია ხანგრძლივი ისტორია. ქართულ ისტორიოგრაფიაში დაცული ცნობების მიხედვით ჯერ კიდევ XII საუკუნეში, “სადვთო რომის იმპერიის” იმპერატორმა ფრიდრიხ I ბარბაროსამ, სა-

ქართველოს სამეფო კარს მისი ვაჟი ჰერცოგი ფილიპ შვაბელი შესთავაზა თამარ მეფის საქმროდ, თუმცა სამწუხაროდ იმ პერიოდში საქართველოს სამეფო კარმა არჩევანი შეაჩერა ანდრია ბოგოლიუბსკის ძეზე, იურიზე, რომელიც საქართველოში გიორგი "რუსის" სახელით არის ცნობილი.

XIX საუკუნის დასაწყისში ხდება ქართველი და გერმანელი ერების უფრო მჭიდრო კავშირის დამყარება, რაც სხვადასხვა მიზეზით იყო განპირობებული. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის იმპერია ფლობდა საკმაოდ დიდ ტერიტორიებს, რაც საჭიროებდა მის ათვისებას. ამ მიზნით 1763 წელს რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე მეორემ გამოაქვეყნა მანიფესტი, რომლითაც გერმანელ და ევროპელ ხალხებს მოუწოდებდა დასახლებულიყვნენ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე.

ხელისუფლება მათ ჰპირდებოდა სამეზაგრო ხარჯების ანაზღაურებას, რელიგიური თავისუფლების მიცემას, სამხედრო სამსახურისგან და სხვადასხვა გადასახადებისგან გათავისუფლებას. ხელისუფლების აზრით, გერმანელი კოლონისტების კულტურა და ტრადიცია მისაბადი უნდა გამხდარიყო ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ეკატერინე მეორის პოლიტიკა ერთგვარ ევროპეიზაციის თეორიაზე იყო დაფუძნებული **(ბალახვაძე, 2021:14)**.

გერმანელთა კოლონიზაციის პირველ ეტაპზე (1817 წ.) საქართველოს მთავარმართებელი იყო ალექსი ერმოლოვი, რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეობის დაბალ დონეს ადგილობრივ მკვიდრთა გაუნათლებლობით და სიზარმაცით ხსნიდა. მას აუცილებლად მიაჩნდა მათთვის მაგალითს მისაცემად "დასახლებული იქნას აქ შრომისმოყვარე გერმანელთა კოლონია, რომელთა კეთილი მაგალითი მეურნეობიდან სარგებლობის მიღებისა, აიძულებს ადგილობრივ მცხოვრებთ მიბაძონ მათ **(მანჯგალაძე, 1974:11)**.

ნაპოლეონის ომების შემდეგ ევროპაში მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება შეიქმნა, რამაც ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა გერმანელების საქართველოში გადმოსახლებაში. გერმანულ ოჯახებზე უარყოფითად აისახა ჯარში გაწვევები, ასევე 1816 წელი ევროპაში აღმოჩნდა მოუსაველიანი, ამ წელს პრაქტიკულად ევროპაში ზაფხული არ ყოფილა, რაც გამოწვეული იყო ინდონეზიაში ვულკან "ტამბორას" ამოფრქვევით, რომლის ღრუბელიც გადაეფარა დასავლეთ ევროპას. ამ პერიოდს ეძახიან "ვულკანურ ზამთარს", რამაც შექმნა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები.

გერმანიიდან გადმოსახლებას ჰქონდა კიდევ ერთი მიზეზი, ეს იყო პროტესტანტული რელიგიური დაჯგუფება, რომლებიც აღიარებდნენ "ჰილიაზმ" - ის მოძღვრებას, რომელიც გულისხმობდა მეორედ მოსვლის და მსოფლიო წარდგნის მოახლოებას, ამიტომ მათ სურდათ ამ პროცესს შეხვედროდნენ არარატის მთასთან, სადაც ბიბლიის მიხედვით გაჩერდა ნოეს კიდობანი **(კოპალეიშვილი, 2013:25)**.

გბურჭულაძე მის ნაშრომში "გერმანელთა ახალშენები ამიერკავკასიაში" აღნიშნავს: "1800 იან წლებში გამოუდმებულმა ომებმა ხალხი ძალიან გააღატაკა, უფრო მეტად კი სამხრეთ გერმანიაში... ხალხი ვეღარ ხედავდა ომის და არეულობის დასასრულს. ამ დროს ვიუტემბერგში გავრცელდა ხმა: "მოახლოვდა ქვეყნის დასასრული, მალე იქნება მეორედ მოსვლა, ეს არეულობა, ომიანობა წინამორბედი ანტიქრისტეს მოსვლისაო, რომელ ქრისტიანსაც სურს ანტიქრისტეს დევნისგან თავი იხსნას, უნდა გაიხიზნოს შორს აღმოსავლეთისკენ, სადაც იესო ქრისტე ალადგენს თავის სამეფოსო" **(ბურჭულაძე, 1911:4)**. რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I 1815-1816 წლებში იმყოფებოდა შტუტგარტში, რომელსაც სეპარატისტებმა სთხოვეს კავკასიაში არარატის მთასთან დასახლების ნებართვა, რაზეც იმპერატორმა თანხმობა განაცხადა **(მანჯგალაძე, 1974:20-22)**. საინტერესო იქნება რამდენიმე სიტყვით შევეხოთ გერმანელი შვაბების წარმომავლობის საკითხს. ისტორიული სინამდვილე მათზე, ჩვენში გასაიდუმლოებულია დღემდე. ისტორიულად ცნობილია, რომ შვაბია იყო სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის ისტორიული ოლქი, სადაც დასახლებული არი-

ან ალემანები. პეტრე ბაგრატიონმა გამოიკვლია დოკუმენტები შვაბების ისტორიის შესახებ, რომელიც მეფის რუსეთის არქივებში ჩაიკეტა, ხოლო საბჭოთა პერიოდში კი ამ საკითხს კომუნისტებმა ათმაგი ტაბუ დაადეს.

პეტრე ბაგრატიონი ევროპაში ომების დროს შვაბიაში იმყოფებოდა და შეხვდა დიდებული წარმოშობის უნიჭიერეს მევენახე ხალხს, რომლებიც შრომობდნენ მუხლჩაუსრელად და გაშენებული ჰქონდათ სხვადასხვა ჯიშის ვაზი, რომლითაც აწარმოებდნენ შესანიშნავ ღვინოს. პეტრე ბაგრატიონმა მათში შეიცნო კავკასიური ფესვები, რაც გამოიხატა მათ ენას, რწმენასა და კულტურაში. შვაბები მეტყველებდნენ გერმანულისგან განსხვავებულ დიალექტზე და მათი რელიგია არა თუ კათოლიციზმი ან ლუთერანობა იყო, არამედ იგი მართლმადიდებლობისა და ხევისბერის ინსტიტუტის ერთგვარ ნაზავს წარმოადგენდა **(სიბოშვილი,2012:3)**.

შვაბებში არსებული ლეგენდის მიხედვით, ისინი ევროპაში ჯერ კიდევ ძვ.წ VI ს - ში დამკვიდრებულან. შვაბებმა პეტრე ბაგრატიონს მოუყენენ, რომ ისინი წამოსულან კავკასიის ფერდობზე მდებარე სოფელ ბაგარიდან, რომელიც ამჟამად არის ლენტეხის რაიონი და ასევე დვალებითიდან. მათ გერმანიაში დაერქვათ ალემანები (დვალები-ალეები-ალემანები, ბაგარი-ბაგარია) **(იქვე,2012:7)**. შვაბების ქართული წამომავლობის დასასაბუთებლად იოსებ სიბოშვილს მოჰყავს ზურაბ ქაფიანიძის სიტყვა, რომელიც თვლის, რომ გერმანული "ქომ ჰირ" (მოდი აქ) სვანურად არის "ქომ გიე" ანუ სვანური "ქომ გიე" და გერმანული "ქომ ჰირ" ერთი მნიშვნელობის სიტყვებია. აქედან გამომდინარე მათ საქართველოში ჩამოსახლებას სოციალ-ეკონომიკურ და რელიგიურ მიზეზებთან ერთად, ეთნიკური მიზეზიც ჰქონდა, რადგან ოდესღაც სწორედ აქედან წავიდნენ ჯერ კიდევ დაუსახლებელ ევროპაში.

როგორც აღვნიშნეთ, კოლონისტების საქართველოში ჩამოსახლებას ხელს უწყობდა რუსეთის ხელისუფლებაც, რადგან მათ სურდათ საქართველოში ჰყოლოდათ დასაყრდენი და ამ მიზნით გერმანელების გარდა ჩამოსახლეს ბერძნები, სომხები, რუსები, მალაკნები, დუხობორები და სხვ.

რუსეთის ხელისუფლებას რომ განსაკუთრებული ინტერესი ჰქონდა ამიერკავკასიაში, ამაზე მიუთითებს ერთი გარემოება. 1810 წლიდან ცარიზმმა შეუწყვიტა თანხების მიცემა გადმოსახლების მსურველ გერმანელებს. მათ შეეძლოთ გადმოსახლება, ოღონდ საკუთარი ხარჯებით. ეს შეზღუდვა არ გავრცელებულა საქართველოსა და ამიერკავკასიაში გადმოსახლებულ კოლონისტებზე, რაც იმის დადასტურებაა, რომ ამ რეგიონში უცხოელთა კოლონიზაციას რუსეთი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა**(მანჯგალაძე,1974:9)**.

გერმანელების პირველი ჯგუფი საქართველოში ჩამოვიდა 1817 წლის 21 სექტემბერს, სულ 180 კაცი. მათ გარე კახეთში, სართიჭალის მახლობლად დააარსეს პირველი კოლონია, რომელსაც "მარიენფილდი" ეწოდა. მალევე ასევე სართიჭალის მახლობლად დააარსდა კიდევ ორი კოლონია "ფრეიდენტალი" და "პეტერსდორფი".

პირველი გერმანული კოლონიის სახელი "მარიენფილდი", გერმანელებმა უწოდეს ფრიდრიხ დიდის დისა და ალექსანდრე I ის დედის მარია ფიოდოროვნას (გერმანიაში ცნობილი როგორც სოფია მარია დოროთეა ავგუსტა ლუიზა ვიუტემბერგელი) პატივსაცემად. "პეტერსდორფი" გერმანელებმა პეტრე I ის პატივსაცემად უწოდეს, ხოლო რაც შეეხება "ფრეიდენტალს", ეს დასახლება დაუარსებიათ 1842 წელს რუსეთიდან ჩამოსულ 10 გერმანულ ოჯახს და იგი თავდაპირველად ყოფილა აბასთუმანში, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო იძულებული გახდნენ წამოსულიყვნენ აბასთუმნიდან. აბასთუმნიდან წამოსულმა გერმანელებმა თავშესაფარი ჰპოვეს "მარიენფილდის" და "პეტერსდორფის" სიახლოვეს, სადაც მათ მთავრობამ აღმოუჩინა მატერიალური დახმარება და შეიქმნა კიდევ ერთი გერმანული დასახლება "მარეიდენტალი" ანუ იგივე "ფრეიდენტალი", ეს უკანასკნელი ერქვა აბასთუმნის დასახლებას, ვიდრე იგი სართიჭალასთან გად-

მოვიდოდა და სწორედ ამ სახელით არის მოხსენიებული საარქივო მასალებში **(სობოშვილი, 2012:14)**.

აღსანიშნავი ფაქტია ის, რომ მართალია გერმანელები თანამშრომლობდნენ და კეთილგანწყობილი იყვნენ ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ, თუმცა ისინი მაინც იზოლირებულად ცხოვრობდნენ და ქართულ-გერმანული ოჯახის შექმნის პრეცედენტები არც თუ ისე ხშირი იყო. გერმანელებს ადგილობრივი მოსახლეობა მეგობრულად შეხვდა. მათ მთავრობის მიერ მიცემული ფულით აუშენეს ჩალით გადახურული 16 ქვის სახლი, რომელიც თითოეული ორი გერმანული ოჯახისთვის იყო განკუთვნილი. გერმანელებისთვის პირველი სახნავ-სათესი საშუალებები ადგილობრივმა გლეხებმა შეასრულეს მთავრობის მიერ მიცემული სათესლე მასალით. 1818 წელს ჩამოსულ გერმანელებს შორის იყვნენ თითქმის ყველა სპეციალობის ადამიანები, რაც მათ უადვილებდათ დამოუკიდებლად ყოფა-ცხოვრებას. 1818 წელს ჩამოსულ გერმანელთა შორის იყვნენ: 258 მიწის მუშა, 1 საპნის მკეთებელი, 2 მეცხვარე, 3 მექოთნე, 30 ფეიქარი, 1 მეკალათე, 42 მევენახე, 1 მეგვარჯილე, 10 მეკასრე, 2 ნემსის მკეთებელი, 26 მეჩექმე, 2 დაბალი, 9 ყასაბი, 3 მელუდე, 26 თერძი, 16 კალატოზი, 4 მეპურე და სხვ. სულ 499 სპეციალისტი **(იქვე, 2012:14)**. გერმანელებს გადმოსახლების პირველ ეტაპზე პრობლემები შეექმნათ სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობასთან დაკავშირებით, რადგან ისინი ნაკლებად იცნობდნენ ქართულ ენდემურ ვაზის ჯიშებსა და ამიერკავკასიაში გავრცელებულ კულტურებს, ამასთან ერთად მათ მიერ გერმანიიდან ჩამოტანილი იარაღები ადგილობრივ პირობებში გამოუსადეგარი აღმოჩნდა **(ბალახვაძე, 2021:19)**. მიუხედავად ამისა მათ გამოავლინეს თავიანთი მტკიცე ხასიათი და შრომისმოყვარეობა. მათ ქართველებისგან შეისწავლეს ვაზის მოვლა და სხვადასხვა ქართული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. მარიენფილდელმა გერმანელებმა XIX საუკუნის 20 იანი წლებიდანვე მიჰყვეს ხელი ვენახების გაშენებას. გერმანელებმა ძირითადად გააშენეს ქართული ვაზის ჯიშები, ესენია: საფერავი, რქაწითელი, შავგაბიტო, მწვანე და სხვ. ხოლო XIX ს - ის 50 იანი წლებიდან გააშენეს ევროპული ჯიშის ყურძენი: მუსკატი, მადერა და იზაბელა, რომელიც მეფისნაცვალ ვორონცოვის ბრძანებით იქნა ევროპიდან გამოწერილი.

“მარიენფილდელი” გერმანელები თანამშრომლობდნენ ყარაბულაღელ თავადებთან-ჩოლოყაშვილებთან. შვაბებმა ვაზის სხვადასხვა ჯიშების დამყნობით მიიღეს შესანიშნავი ყურძნის ჯიში, რომელიც ახლა ცნობილია “ხაშმის საფერავი”-ს სახელით. მათ თავიანთი შრომისმოყვარეობით იმდენად გაითქვეს სახელი, რომ ბევრი მემამულე სთავაზობდა საკუთარ მიწებზე დასახლებას. 1850-იან წლებში იყალთოელ თავადებს რევაზ და ათანასე მაყაშვილებს უთხოვიათ ხელისუფლებისთვის, რომ შვაბები დაესახლებინათ მათ მამულში, არაშენდასა და გოდლისში თელავიდან 10 კმ- ის დაშორებით. ამ ადგილს გააჩნდა კარგი სახნავ - სათესი და საძოვარი მიწები, ჰქონდა კარგი ტყე და სასმელი წყალი, თუმცა თავად შვაბებს არ მოუსურვებიათ გადასახლება.

ყურძნის დაწურვა ხდებოდა სახლის ქვეშ მოწყობილ სარდაფში. გერმანელები ღვინის დასაყენებლად იყენებდნენ ადგილობრივებისგან განსხვავებულ ჭურჭელს, ესენი იყო ხის კასრები და როფები. დიდ როფზე გერმანელები დგამდნენ უფრო მომცრო ზომის გადასატან როფს, რომელსაც ქვემოთ ჰქონდა ნახვრეტი წვეინის გამოსასვლელად.

პირველ ჯერზე ღვინოს წურავდნენ შიშველი ფეხებით, ხოლო შემდეგ კი სპეციალური -ღურსმით შემოჭედილი, მძიმე ტყავის მოწითალო ჩექმებით („უფტის” - ჰოლანდიურად ჩექმები).

გერმანელები გულმოდგინედ წურავდნენ წითელ ყურძენს შესაბამისი შეფერილობისათვის, რადგან ღვინო უფრო მეტად ფასობდა თუკი ის მუქი იყო. დიდი როფების ფსკერზე გაკეთებული ნახვრეტებიდან სითხეს სპეციალური ხის ჭურჭლით ასხამდნენ სარდაფებში მდგარ კასრებში, სადაც ღვინოს აჩერებდნენ ერთი

თვის განმავლობაში აღუდებამდე. კასრებს საცობის ნაცვლად სპეციალურად შეკერილ ქვიშით სავსე პატარა ტომრებს ადებდნენ, დუღილის დროს წარმოქმნილი გაზის გამოსაყოფად. მას შემდეგ რაც დუღილი დამთავრდებოდა კასრებს პირამდე ავსებდნენ და ხურავდნენ ჰერმეტიკულად. ამ მდგომარეობაში ღვინოს ტოვებდნენ იანვრამდე, შემდეგ კი ახალ კასრებში გადაიღებდნენ და იგი უკვე მზად იყო მოხმარებისთვის და გასაყიდად. XIX საუკუნის მეღვინე-აგრონომი პ. ძიუბენკო აღნიშნავდა, რომ გერმანელებისგან ღვინოს ყიდულობდნენ ღვინით მოვაჭრე სომხები, რომლებსაც ღვინო გაჰქონდათ ბაქოში, ელისავეტპოლსა და თბილისში გასაყიდად, სადაც ფალსიფიკაციის შემდეგ მას ყიდნენ კახური ღვინის სახელით. 19 საუკუნის ბოლოს გერმანელებმა თავად გახსნეს ღვინის სარეალიზაციო სარდაფები და თავად აკეთებდნენ საკუთარი პროდუქციის რეალიზებას.

„მარიენფილდში“, „პეტერსდორფსა“ და „ფრაიდენტალში“ გერმანელები მისდევდნენ ხეხილის ბაღების და ბოსტნების გაშენებასაც, თუმცა ხილი და ბოსტნეული გერმანელებს იშვიათად გაჰქონდათ ბაზარზე. სარეალიზაციოდ გერმანელები უმთავრესად „ჩირს“ ამზადებდნენ. შვებები დიდი რაოდენობით აშენებდნენ მხოლოდ მსხვილფეხა რქიან საქონელს (უმეტესად ძროხებს) და ცხენებს. წვრილფეხა საქონელს თითქმის არ აშენებდნენ, რადგან ერჩიათ შემოდგომაზე ხელსაყრელ ფასად ღორები შეეძინათ ქართველებისგან და სომხებისგან, რომლისგანაც ამზადებდნენ ღორს და სხვადასხვა ძეხვეულს, რომელთა ნაწილიც გაჰქონდათ ბაზარზე გასაყიდად.

„მარიენფილდის“ და „პეტერსდორფის“ მცხოვრები გერმანელი შვებების სახლები ქუჩის პირას ჩამწკრივებული და თითქმის ყველა ერთსართულიანი იყო. სახლებს წინ პატარა, უკან კი დიდი ბაღი აკრავდა. პატარა ბაღში ყვავილნარი, ვარდის ხეები და აკაციის ხეები იყო გაშენებული, ხოლო დიდ ბაღში კი ბოსტნეული და ხეხილი მოჰყავდათ.

გერმანელ შვებებს საქართველოში დიდი რაოდენობით მოჰყავდათ კარტოფილიც, რომელსაც ხორბლისა და ვენახის შემდეგ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მათ ეკონომიკაში. მათ დანერგეს საქართველოში კარტოფილის მოყვანის კულტურა (ბალახვაძე, 2021:20). საინტერესოა 1820-24 წლებში თბილისში საფრანგეთის კონსულის გამბას მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც გერმანული კოლონიების შექმნის მოწმეა: „გერმანელები ცხოვრობენ იმ სოფელში, რომელიც მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე გარეუბანს აკრავს. მათ ქალაქში შემოაქვეთ მწვანილი, ერბო, ლორი და სხვა ძეხვეული, ამ გერმანელთა მეტი ნაწილი გადმოსულია ვიუტემბერგიდან. გერმანელთა ამ ახალშენს, ასევე თბილისიდან 5 ვერსის მანძილზე მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე ახალშენს უნდა უმაღლოდეს საქართველო კარტოფილის გაშენებას“ (სიბოშვილი, 2012:16).

სამივე გერმანული დასახლების მოსახლეობას ერთი ეკლესია (კირხე) ჰქონდა, რომლის აშენების ზუსტი თარიღიც სამწუხაროდ არ მოიპოვება, თუმცა გადმოცემის მიხედვით ევანგელიურ-ლუთერული ეკლესია 19-20 საუკუნეების მიჯნაზე უნდა იყოს აშენებული. დღეს ეკლესიაში კულტურის სახლი ფუნქციონირებს და სცენა საკურთხეველშია განლაგებული.

გერმანელები საქართველოში ჩამოსვლის დღიდან თავს კომფორტულად გრძობდნენ და მეგობრულად თანაცხოვრობდნენ ქართველებთან, თუმცა მდგომარეობა რადიკალურად იცვლება 1921 წლის საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ.

საბჭოთა პერიოდში გერმანელებს მტრის იარაღი მიაწვდეს. მათ ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და მეთვალყურეებიც ყავდათ მიჩენილი. მათ წინააღმდეგ გადამწყვეტი ზომები მიღებული იქნა 1941 წელს. საბჭოთა კავშირს და გერმანიას შორის ომის დაწყებისთანავე მოხდა გერმანელების დეპორტაცია. სხვადასხვა მონაცემებით 1941 წელს საქართველოდან შუა აზიაში გაასახლეს 24 ათასი გერმანელი (ბალახვაძე, 2021:33). გასახლებას გადაურჩნენ მხოლოდ ის გერმანელი ქალბატონები, რომლებიც გათხოვილი იყვნენ ქართველებზე ან სხვა

ეროვნების მამაკაცებზე. 1955 წელს სსრკ ს უმაღლესი პრეზდიუმის ბრძანებით გაუქმდა საგანგებო გადასახლებათა რეჟიმი და გერმანელებს უფლება დართეს დაბრუნებულიყვნენ იმ ადგილას, საიდანაც მოხდა მათი გადასახლება. 1979 წლამდე 2 ათასი დეპორტირებული გერმანელი დაბრუნდა საქართველოში.

ამრიგად, ცარიზმის კოლონიურმა პოლიტიკამ, რაც გულისხმობდა სამხრეთ კავკასიაში პლაცდარმის შექმნის მიზნით უცხო ეთნიკური ჯგუფების გადმოსახლებას, რუსეთისთვის სასურველი შედეგი ვერ მოიტანა, რადგან გერმანელი და ქართველი მოსახლეობა კეთილმეზობლურად თანაცხოვრობდნენ და მათ შორის რაიმე სერიოზული დაპირისპირების ფაქტები არ ყოფილა. გერმანელებმა მრავალი სამეურნეო თუ საყოფაცხოვრებო ელემენტები ისწავლეს ქართველებისგან და თავის მხრივ მათაც გაუზიარეს ევროპული გამოცდილება მთელ რიგ საკითხებში. გერმანელებმა საქართველოში ჩამოიტანეს და ქართველებს გააცნეს კარტოფილის მოყვანის კულტურა, ასევე ღორის დამზადების ტრადიცია და სხვა მრავალი მნიშვნელოვანი რამ. სართიჭალაში გერმანული კვალი დღემდეა შემორჩენილი და ის მოიცავს საცხოვრებელ სახლებს, ლუთერანული ეკლესიის შენობას და გერმანულ სასაფლაოს. ეს უკანასკნელი დროთა განმავლობაში ზიანდებოდა, რადგან ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან ხდებოდა გერმანელთა საფლავების ადგილას სხვათა დაკრძალვა, თუმცა 2009 წელს გერმანიის საელჩოს და ქართული მხარის ერთიანი ძალისხმევით მოხერხდა ამ პრობლემის მოგვარება და სასაფლაოზე გერმანელთა მემორიალის გახსნა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბალახვაძე მ., “საქართველო გერმანიის ურთიერთობები”, თბილისი 2021;
2. ბურჭულაძე გ., “გერმანელთა ახალშენები ამიერკავკასიაში”, ტიფლისი 1911;
3. თათარაშვილი ნ., “გერმანული დასახლებები და არქიტექტურული მემკვიდრეობა საქართველოში”, გამომცემელი “სეზანი”, თბილისი 2018;
4. კოპალეიშვილი ტ., “პროტესტანტული ეკლესიები საქართველოში XIX საუკუნის 10 - იანი წლებიდან, XX საუკუნის 10 - იან წლებამდე”, ბათუმი 2013;
5. მანჯგალაძე გ., “გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში”, გამომცემელი “მეცნიერება”, თბილისი 1974 ;
6. სიბოშვილი ი., “გერმანელი შვაბები სართიჭალაში”, თბილისი 2012.

ინტერნეტრესურსები:

7. სართიჭალა: სამხრეთ კავკასიის პირველი გერმანული დასახლების ამბავი <https://netgazeti.ge/life/592099/>;
8. გერმანული სოფლების ისტორია საქართველოში - სად იყო პირველი გერმანული დასახლებები და ვინ იყვნენ შვაბები. <https://www.ambebi.ge/article/232879-germanuli-soplebis-istoria-sakartveloshi-sad-iqo-pirveli-germanuli-dasaxlebebi-da-vin-iqvnenshvabebi/>;
9. პირველი გერმანელები საქართველოში. <https://www.radiotavisupleba.ge/a/pirveli-germanebi-sakartveloshi/28457086.html>;
10. 1817 დან 2017 მდე. გერმანელები საქართველოში - 200 წლიანი მოგზაურობა. <https://www.radiotavisupleba.ge/a/saubari-gari-augsttan/28455361.html>.

მაია რურუა
ელგუჯა მექმარიაშვილი

**ცნობილი ქართველი მეცნიერი, გენერალ-მაიორი, პირველი ქართული
კოსმოსური ობიექტის გენერალური კონსტრუქტორი**
(პირად ფონდში (ფ.N რ-723) დაცული დოკუმენტების მიხედვით)

არქივი - ერის დოკუმენტური მემკვიდრეობაა. ეს ფორმულირება ზუსტად და ლა-
კონურად ასახავს არქივის როლსა და მნიშვნელობას კაცობრიობის განვითარების
ყველა ეტაპზე. ამიტომაც არავისთვის არ არის უცხო, რომ რაც უფრო მეტი და
ღირებულ დოკუმენტი დაიდებს ბინას არქივსაცავში, მით უფრო მდიდარი იქნება
არქივი და მით უფრო მეტი დაინტერესება მოჰყვება ისტორიკოს-მკვლევართა და
საზოგადოების მხრიდან.

არქივებში დაცული დოკუმენტების ნაირსახეობიდან, იქნება ეს მმართველობი-
თი, სამეცნიერო-ტექნიკური, პირადი წარმოშობის თუ პირადი შემადგენლობის, ან
თუნდაც კინო-ვიდეო-ფოტო-ფონო მასალა, ყველას თავისი მნიშვნელობა და შე-
უცვლელი დანიშნულება აქვს, მაგრამ განსაკუთრებულად საინტერესო პირადი
ფონდია, რომელშიც არა თუ განზოგადოებული, არამედ უმეტესად პირადი სახის
დოკუმენტებია თავმოყრილი და მისი მესაკუთრის შესახებ საინტერესო ინფორმა-
ციას იძლევიან. პირადი ფონდის განსაკუთრებულება იმაშიც მდგომარეობს, რომ
ხშირად ფონდშემქმნელის მიერ გაკეთებულმა, ერთი შეხედვით უბრალო და არაფ-
რისმთქმელმა ჩანაწერმა ან მინაწერმა, შეიძლება ბევრი რამ შეცვალოს არა მარტო
პიროვნების, არამედ იმ პერიოდის პოლიტიკურ-სოციალურ-კულტურული მოვლენე-
ბის შესახებ და ახალი კვლევების საწინდარი გახდეს.

ადამიანები, რომელთა დოკუმენტები არქივს სახელმწიფო შენახვაზე გადმოე-
ცემა, ფონდშემქმნელები, ანუ ფონდის მფლობელები ხდებიან, ხოლო მათი დოკუმენ-
ტები ეროვნული საარქივო ფონდის კუთვნილება.

2024 წლისათვის აჭარის არ საარქივო სამმართველოს ცენტრალურ და რაიონ-
ულ არქივებში 66 ფონდის და კოლექციის 3 329 შეერთებულია დაცული, აქედან
უმეტესი წილი რა თქმა უნდა ცენტრალურ არქივზე მოდის, სადაც არსებული პი-
რადი ფონდის მოცულობა შეადგენს 48 ფონდის 3 019 შეერთებულს.

აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში პირადი ფონდის პირველი შემოტა-
ნა დაფიქსირებულია 1966 წელს. მას შემდეგ კი აჭარის არქივისტების მიერ ცნო-
ბილ პიროვნებებთან და საზოგადო მოღვაწეებთან სისტემიური და აქტიური მუშაო-
ბის შედეგად გაიზარდა ინტერესი და პირადი ფონდის მფლობელთა რიცხვმაც იმა-
ტა.

ჩვენთან დაცული პირადი ფონდების მფლობელები საქართველოს და აჭარის
დამსახურებული არტისტები, ექიმები, პარტიული და ხელმძღვანელი ნომენკლატურ-
ული პირები, სოციალისტური შრომისა და ომის გმირები, მწერლები, საზოგადო
მოღვაწეები არიან, რომელთა პირად ფონდებში მიმოხეულია მეტად საინტერესო
ქალაქის ფუძიანი თუ ფოტომასალა, მათი ცხოვრების, შემოქმედებისა და მოღვა-
წეობის შესახებ.

ნებისმიერი ქვეყნის არქივს დაამშვენებდა და ღირებულებას შემატებდა პირა-
დი ფონდი, რომლის მფლობელიც კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენ-
ტრის მიერ 100 საუკეთესო მეცნიერთა შორისაა დასახელებული და რომლის სა-
მეცნიერო მოღვაწეობა - ბიოგრაფია შეტანილია მსოფლიოს უმთავრესს ბიბლიოგ-
რაფიულ გამოცემაში.

2017 წელს, სწორედ ასეთი მნიშვნელოვანი ფაქტის წინაშე დადგა აჭარის სა-
არქივო სამმართველო. აჭარის ცენტრალურ არქივში ბინა დაიდო და ეროვნულ სა-
არქივო ფონდს შეუერთდა მსოფლიოში აღიარებული ქართველი მეცნიერის, ქართუ-
ლი კოსმოსური ობიექტის „რეფლექტორი“-ს გენერალური კონსტრუქტორის, გენე-
რალ-მაიორ ელგუჯა მექმარიაშვილის პირადი ფონდი. ეს მხოლოდ მოკლე რეგალი-

ებია. გარდა ამისა ელგუჯა მექმარიაშვილი არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ჩვენთვის ეს ორმაგად სასიამოვნო და საამაყოა. ბატონი ელგუჯა ხომ ჩვენი თანაქალაქელია. 1946 წლის 17 აგვისტოს ბათუმში დაიბადა. აქ აიღვა ფეხი და მას შემდეგ მტკიცე და წარმატებული ნაბიჯებით მიაბიჯებს ცხოვრებაში, პროფესიულ საქმიანობაში, მეცნიერებაში. ზღვისპირა ქალაქში გაზრდილი, ზღვაზე შეყვარებული ყმაწვილის, ნური-გელის ტბაში მცურავი გემ „პიონერი“-ს ნორჩი კაპიტანის მომავალს, ახლობლები ალბათ დიდი საოკეანო ლაინერისა და ტანკერის კაპიტნობაში ხედავდნენ, მან კი ცას მიაპყრო მხერა და საქართველოს სახელი, არა თუ მსოფლიოში, არამედ კოსმოსში გაიტანა!



1964 წელს, ოქროს მედალზე დაამთავრა ბათუმის N1 საშუალო სკოლა და მას შემდეგ „პირველი“ მისი ცხოვრების თანამდევია. ელგუჯა მექმარიაშვილი, არის საქართველოში პირველი საქართველოს სამხედრო - საინჟინრო აკადემიის დამაარსებელი, სადაც 2004 წელს, მისივე შექმნილი პროგრამით განხორციელდა უფროსი და უმაღლესი წოდების ოფიცერთა სწავლება და კურსდამთავრებულთა გამოშვება. მას, პირველს საქართველოში, მიენიჭა სამხედრო მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. მისი ხელმძღვანელობით იქმნება პირველი ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი და რაც მთავარია, ელგუჯა მექმარიაშვილი არის გენერალური კონსტრუქტორი პირველი ქართული კოსმოსური ობიექტისა, რომელიც ღია კოსმოსში წარმატებული გამოცდის შემდეგ, 1999 წლის 23 ივლისს გავიდა დამოუკიდებელ ორბიტაზე და ეს გასვლა აღიარებული იქნა მსოფლიო კოსმოსურ ტექნიკაში ახალი პრიორიტეტული მიმართულების დასაწყისად. მის სახელთან ასოცირდება საქართველოში „პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის დღის“- დაწესებაც, რომელიც ყოველწლიურად 23 ივლისს აღინიშნება.

მანამდე კი იყო სწავლით და შრომით დატვირთული დღეები და წლები. სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც 1969 წელს დაასრულა სპეციალობით „სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა“. წარმატებული კურსდამთავრებული სამშენებლო კონსტრუქციების კათედრაზე დატოვეს ასისტენტად. იმავე წელს კი სივრცითი სისტემების სპეციალობით ჩაირიცხა ასპირანტურაში. სხვადასხვა დროს იყო ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე, ლითონის კონსტრუქციების კათედრის დოცენტი, სამშენებლო კონსტრუქციების კათედრის გამგე, ასევე მის მი-

ერ ჩამოყალიბებული ჯერ სპეციალური კონსტრუქციების, შემდგომში კი სამხედრო - საინჟინრო შენობების, ნაგებობისა და სპეციალური კონსტრუქციების კათედრის გაშენება.

1982-1989 წლებში სსრკ თავდაცვის სამინისტროს სპეციალური დავალების შესაბამისად, ე. მექმარიაშვილმა მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო სამხედრო პროგრამების შესრულებაში, რომლის დროსაც სწორედ მისი უშუალო მონაწილეობით შეიქმნა მიწისზედა სამხედრო-საინჟინრო რაკეტაწინააღმდეგო კომპლექსი.

სსრკ-ის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საქართველოს მთავრობის 1992 წლის 19 ოქტომბრის N1001 დადგენილებით, ე. მექმარიაშვილი ინიშნება კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის გენერალურ დირექტორად და გენერალურ - კონსტრუქტორად, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 11 ოქტომბრის N587 ბრძანებულებით, საქართველოს სპეციალური სახელმწიფო ცენტრის გენერალურ დირექტორად და გენერალურ კონსტრუქტორად.

1995 წლიდან, როგორც სამუშაოთა მეცნიერ-ხელმძღვანელი და უშუალო მონაწილე, იგი ასრულებს გერმანული „Diamler-Benz Aerospace“-Dornier-Satellitensysteme” და იტალიური „Alenia Aerospazio” კომპანიების, მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის მსუბუქი კონსტრუქციების ინსტიტუტის - LLB, Technische Universitar Munchen და ევროპული კოსმოსური სააგენტო „ESA“-ს შეკვეთებს.

1995 წლიდან ელგუჯა მექმარიაშვილი უბრუნდება სამხედრო სამსახურს, როგორც საქართველოს თავდაცვის მინისტრის მრჩეველი ჯარების საინჟინრო უზრუნველყოფაში და თანმიმდევრულად აყალიბებს ჯერ საქართველოს შეიარაღებული ძალების საინჟინრო ცენტრს, შემდეგ საქართველოს სპეციალურ საინჟინრო სახელმწიფო ცენტრს და ბოლოს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო - საინჟინრო აკადემიას. სწორედ ამ დროიდან სპეციალური ბრძანებულების, განკარგულებისა და დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად იწყებს სამხედრო - საინჟინრო ტექნიკის შექმნას და მის გადაცემას შეიარაღებაში.

საქართველოში კოსმოსური ტექნოლოგიების დანერგვისა და ახალი თაობის სამხედრო-საინჟინრო ტექნიკის საქმეში შეტანილი წვლილისა და ქვეყნის წინაშე დიდი დამსახურებისათვის, ელგუჯა მექმარიაშვილს საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 11 ოქტომბრის N1245 განკარგულებით, მიენიჭა გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება.

საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 7 ნოემბრის N478 ბრძანებულებით, იგი ინიშნება საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტად და საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის გენერალ- კონსტრუქტორად. ასეთი დატვირთული პროფესიული საქმიანობის პარალელურად 1999-2004 წლებში იგი იყო საქართველოს პარლამენტის წევრი და სამხედრო მრეწველობის ქვეკომიტეტისა და საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე.

2005 წელს ე. მექმარიაშვილი ინიშნება სამხედრო-საინჟინრო აკადემიის მთავარ მეცნიერ - ხელმძღვანელად, ხოლო 2009 წელს, შესაბამისი ბრძანებით იკავებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორის თანამდებობას.

მაღალპროფესიული და მეცნიერული ღვაწლისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, იგი დაჯილდოებულია მედლებითა და ორდენებით, მინიჭებული აქვს აკადემიური წოდებები და სამეცნიერო ხარისხები.

თვალი გადავაგვლე არქივში შემოტანილ მასალას, რომელიც აჭარის არ საარქივო სამმართველოს დაკომპლექტებისა და დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების სამსახურის უფროსის ნ. შარაშიძის მიერ საოცარი სიფაქიზითაა დალაგებული და საარქივო წესებთან შესაბამისობაშია მოყვანილი. აქ არის ყველა საჭირო ინფორმაცია ფონდშემქნელის ცხოვრებისა და საქმიანობის, სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ, რომელიც თავის მხრივ მოიცავს სამხედრო- ტექნიკურ, სამხედრო- საინჟინრო და კოსმოსური მექანიკის დარგებს. დაინტერესებული პირები

გაეცნობიან, თუ როგორი გზა გაიარა ელგუჯა მექმარიაშვილმა სამოქალაქო ინჟინერიიდან სამხედრო ინჟინერიამდე, რასაც მოჰყვა არაერთი საერთაშორისო აღიარება და საერთაშორისო საინჟინრო საზოგადოების პრესტიჟული ჯილდოები, სერთიფიკატები, მათ შორის საერთაშორისო ინჟინრის წოდების მინიჭების შესახებ; მასალებში წარმოდგენილია მილოცვები და მისასალმებელი სიტყვები, მსოფლიო დონის მეცნიერთა შეფასებები ქართველი მეცნიერის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ. საქართველოს პრეზიდენტ ე. შევარდნაძის მოხსენება საქართველოს სამხედრო უსაფრთხოების შესახებ- მომზადებული ე. მექმარიაშვილის მიერ, რუკა - „აფხაზეთის ქალაქები ფართობისა და მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით“, აქტები ე. მექმარიაშვილის სადოქტორო დისერტაციის მეცნიერული შედეგების დანერგვის შესახებ, სტატიები, მონოგრაფიები, ტექნიკური დავალებები და სხვა. ფონდში დაცულია ელექტრონული ვერსიები და ვიდეოფილმები.

ამ ზღვა მასალაში ჩემი, როგორც რიგითი ქართველის და უბრალოდ ადამიანის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო საქართველოს საპატრიარქოს საპატო სიგელმა - „**წმ. სამების ტაძრის მშენებლობაში შეტანილი წვლილისთვის,**“ რომელიც უფრო მეტია, ვიდრე სამეცნიერო აღიარება, რადგან ის ადამიანური და მოქალაქეობრივი ღვაწლის აღიარებაა...

...და ყოველივე ამის შემდეგ, როგორ შეიძლება არ იყო ამაყი და არ გახარებდეს ბატონ ელგუჯა მექმარიაშვილის თანაქალაქელობა, მისი ბათუმელობა, თუმცა გულიც დამწყდა, როცა ელგუჯა მექმარიაშვილის უამრავ სამეცნიერო და საზოგადოებრივ რეგალიებსა და ჯილდოებს შორის ვერ ვიპოვე „საპატო ბათუმელის“ წოდება, მაშინ როცა ბატონი ელგუჯა ქ. მცხეთის საპატო მოქალაქე ყოფილა (ეს ისე ინიციატივისთვის)

ფონდშემქმნელთან კი ერთი მორიდებული, თუმცა პროფესიული თხოვნა მაქვს...საარქივო წესების მიხედვით პირადი ფონდის შექმნის ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაა, ფონდში ბეჭდურ მასალებთან ერთად ხელნაწერი და დედანი დოკუმენტების არსებობა, იქნება ეს მიმოწერა, წერილები თუ საგაზეთო სტატიები, სხვადასხვა ჩანაწერები, ე.წ. უბის წიგნაკები, ტექნიკური გამოთვლები, გაანგარიშებები, რა თქმა უნდა ფოტოები და სხვა. ასეთი მასალების დამატებით ფონდი უფრო მეტ მიმზიდველობას შეიძენს და საინტერესო გახდება მკვლევართათვის.

არქივში, სახელმწიფო შენახვაზე ყველა ფონდი თავისი სახელწოდებით შემოდის და საარქივო ნომერს იღებს. რატომღაც მინდოდა ფონდის ეს ნომერი სიმბოლური დატვირთვის ყოფილიყო, მაგ. დაბადების, დისერტაციის დაცვის, ან სხვა ფონდშემქმნელისთვის მნიშვნელოვანი თარიღის აღმნიშვნელი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ოთხნიშნა ციფრებით შედგენილი ასეთი ნომრები უკვე დაკავებულია, თუმცა თავისფალ ნომრებს შორის მაინც გამოვინახე ნომერი N 723, რომელსაც ასეთი სიმბოლური ახსნა მივეცი **7- ანუ მეშვიდე თვე და რიცხვი 23 - კოსმოსურ სივრცეში პირველი ქართული ობიექტის გასვლის დღე**, რომელიც უშუალოდ ელგუჯა მექმარიაშვილის სახელს უკავშირდება.

მაშ, ფეხბედნიერი ყოფილიყოს კოსმოსში ობიექტ „რეფლექტორი“-ს გასვლა და აჭარის საარქივო სამმართველოში ფონდ N რ-723-ის შემოსვლა სახელწოდებით: **„ცნობილი ქართველი მეცნიერი, გენერალ-მაიორი. პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გენერალური კონსტრუქტორი“.**

მადლობა ნდობისთვის!

მადლობა საქართველოს სამსახურისთვის, მისი სახელის დიდებაში შეტანილი წვლილისთვის!

გამოყენებული წყაროები:

1. აჭარის არ საარქივო სამმართველო; ცსა; ფონდი რ-723 (ე. მექმარიაშვილის პირადი ფონდი)

ბასსენება

დღღო შუშანიძე

ღვანღმოსილი არქივისტი

(არქივისტ ეთერ ნათელაძის გახსენება)

აჭარის საარქივო სამმართველოს თანამშრომლებთა რიგებს გამოაკლდა დარგის წამყვანი მუშაკი, საარქივო სამმართველოს ეროვნული საარქივო ფონდის დაცვის, ინფორმაციისა და გამოყენების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ეთერი ნათელაძე. მისი სახელი სამუდამოდ ამოიტვიფრა აჭარის საარქივო სამმართველოს ისტორიაში. ეთერ ნათელაძე მთელი არქივის სიმბოლოდ იქცა თავისი პასუხისმგებლობის, მრავალმხრივი ნიჭის, მაღალი პროფესიონალიზმისა და საარქივო სამმართველოში შემოტანილი ახალი და უნიკალური ატმოსფეროს წყალობით. მის მიერ ორიგინალურად შექმნილი სამუშაო გარემო და ურთიერთთანამშრომლობის ატმოსფერო განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს საარქივო სამმართველოს რამდენიმე თაობის წარმომადგენელთა გულებში ე. ნათელაძე დაიბადა 1955 წელს შუახევის რაიონის სოფელ მოფრინეთში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ქ. თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1980 წელს.

სწავლის დასრულებისთანავე იწყება მისი შრომითი ბიოგრაფია. სხვადასხვა წლებში მუშაობდა: საქართველოს კპ შუახევის რაიონულ კომიტეტში ინსტრუქტორად, სოფლის მეურნეობის განყოფილების ინსტრუქტორად, აჭარის ასსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტში ინჟინრად.

1999 წლიდან ეთერი ნათელაძე აჭარის საარქივო სისტემის სამსახურშია: იყო აჭარის ცენტრალურ არქივში დოკუმენტების დაცვის, გამოყენებისა და პუბლიკაციის განყოფილების გამგე, საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის ეროვნული საარქივო ფონდის დაცვის უზრუნველყოფის, ინფორმაციისა და საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების გამგე, 2005 წლიდან გადაყვანილი იქნა საარქივო ფონდების ფორმირების, დაცვისა და დოკუმენტების მართვის განყოფილების გამგედ. 2010 წლის 6 ივლისიდან კი ეთერი ნათელაძე დაინიშნა ცენტრალური არქივის სამსახურის საცნობარო-საინფორმაციო განყოფილების უფროსად, ხოლო 2012 წლის 23 აპრილიდან საარქივო სამმართველოს ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვის, ინფორმაციისა და გამოყენების განყოფილების უფროსად, 2015 წლის 29 იანვრიდან ე. ნათელაძე ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვის, ინფორმაციისა და გამოყენების განყოფილების მთავარი სპეციალისტია და ამ მოვალეობას ასრულებდა გარდაცვალებამდე.

საარქივო სამსახურში ყოფნისას ე. ნათელაძემ თავი გამოიჩინა როგორც მაღალკვალიფიკაციურმა მუშაკმა, უნარიანმა ორგანიზატორმა და ხელმძღვანელმა. მას მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი საარქივო საქმის განვითარებაში, ახალგაზრდა არქივისტების აღზრდა-დაოსტატებაში.

ე. ნათელაძე მრავალი წლის მანძილზე იყო საარქივო სამმართველოს საექსპერტო შემოწმებელი კომისიისა და სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს წევრი. აქტიურად მონაწილეობდა სამმართველოს მიერ განხორციელებულ ღონისძიებებ-



ში, სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში, საარქივო დოკუმენტების გამოფენაში, საპუბლიკაციო საქმიანობაში. დაჯილდოებული იყო საარქივო სამმართველოს არაერთი საპატიო სიგელით.

2023 წელს აჭარაში საარქივო დარგის დაარსების 100 წლისთავთან დაკავშირებით საარქივო დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის ეთერი ნათელაძე დაჯილდოვდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საპატიო სიგელით.

საკუთარი თავისადმი მკაცრი და მომთხოვნის, პრინციპული, კოლეგებისადმი ყურადღებიანი და გულისხმიერი, დაკისრებული მოვალეობის ერთგული ადამიანი, რომელიც მეოთხედი საუკუნე ემსახურა ერის სულიერი საუნჯის მოვლა-პატრონობის, დაცვისა და გამოყენების კეთილშობილურ საქმეს.

ე. ნათელაძეს ოჯახიც შესანიშნავი ჰყავდა, სამი ქალიშვილის დედამ და ოთხი შვილიშვილის ბებია მამაში მოგონებები დაუტოვა მათ.

ასეთი იყო ეთერი ნათელაძე და ასეთად დარჩება იგი აჭარის არქივისტთა დიდი ოჯახის ხსოვნაშიც.



უსამართლოა სამყარო. როგორ უნდა მიიბაროს მიწამ ასეთი კეთილშობილი და ზნეკეთილი ადამიანი. ძლიერი იყავი, მაგრამ ცხოვრების სისასტიკემ არც შენ დაგტოვა ხელშეუხებელი. ნაადრევად დატოვე ეს წუთისოფელი და ბინა დაიდე უფლის სამკვიდროში.

ტკივილებით დაღლილ მგობარო, შენ იყავი სიკეთის და სიყვარულის მასივოსნებელი ადამიანი, სამტროდ მტერსაც რომ ვერ გაიმეტებდი!

მშვიდობით! შენი ხსოვნა მარად დარჩება საარქივო სამმართველოს თანამშრომელთა გუყულებში.

რუბრიკა

(რუბრიკების ავტორები: ფრიდონ ქარდავა,
ნინო გოგიტიძე და მზია სურმანიძე)


„ქალღმერთი არ იწვიან“


(მოგვაწოდა არქივისტმა მაია რურუამ)

„ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების სტატისტიკის სამმართველოების უფროსებს“ - ზარივით რეკავს დასაწყისიდანვე მშრალი და მსუსხავი ხმა, თითქოს ის პეიზაჟი წამოგიტივტივდება თვალწინ: სოფლის მოედანზე შეკრებილი ხალხი გაშეშებული სახეებით შეჰყურებს ეულად წამოჭიმულ ბოძზე გამოკრულ რადიოს. ხმა კი აგრძელებს:

„ცენზურის ორგანოების მითითებით, გთხოვთ ყველაფერი იდონოთ რათა ამოიღოთ ლ. პ. ბერიას ყველა ბეჭდური ნაწარმოები და პორტრეტი ბიბლიოთეკისა და სხვა წიგნის ფონდებიდან.“

რამდენჯერ გვსმენია და წაგვიკითხავს, - ბერიას (შემდეგ სტალინის, მანამდე ტროცკისა და ათასების) სურათები ამოჭრილია ამოფხეკილია, ამოძირკვეულია დოკუმენტებიდან. ყველამ ვიცით, მაგრამ ასე პირდაპირ პირველწყაროს რომ წააწყდები, სათავეს, საიდანაც მოდიოდა ამ „ამოფხიკების“ სუსხიანი მითითებები მაინც შეგაურჟოლებს ადამიანს. დედამიწას, მის ერთ, მეექვსედს მაინც ატრიალებდა ბერია საკუთარ ნებაზე, წარბის ერთი წამისყოფით... უცებ კი აღმოჩნდა რომ ერთი-ოდე მითითება, ფარატინა ქალღმერთზე, საკმარისი აღმოჩნდა სახსენებელიც კი ამოძირკვათ მისი ფოლიანტებიდან.






საინიციატივო წერილები

საჭილოს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია

მკითხველს ვთავაზობთ საინტერესო დოკუმენტს, რომელიც ჯვრისწერისათვის გაცემულ მოწმობას ეხება. დოკუმენტი - „საჭილო-ილორის“ (აბაშის ისტორიული სოფელი, რომელიც 1898 წელს ამ სახელით იხსენიებოდა) წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიიდან ჯვრისწერისთვის გაცემული მოწმობაა. მღვდელი გახლდათ **იოანე გრიგოლია**, მღვდელთნე კი დიაკონი **ბესარიონ კაჭარავა**. დოკუმენტში იხსენიება მეორე (შტატის) მღვდელი **მელიტონ გრიგოლია**. გამოკვეთილად ვაქვეყნებთ ეკლესიის საინტერესო ბეჭედს.





ოზურგეთის მაზრის სოფელ ვაკიჯვრის წმინდა მოწამეთა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესიიდან გაცემული მოწმობა

ფოლიანტი თარიღდება 1902 წლით. მასში წარმოდგენილია გურია-სამეგრელოს ეპარქიის ოზურგეთის მაზრის სოფელ ვაკიჯვრის წმინდა მოწამეთა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესიიდან გაცემული მოწმობა. 1902 წელს მღვდელი ყოფილა ნიკიფორე თხილაიშვილი.

აქვე გთავაზობთ აღდგენილი ეკლესიის სურათს. [FAQ](#)



მიურატუბი ბათუმში

საინიციატივო წერილის სახით წარმოგიდგენთ საარქივო მასალებს, რომლებშიც წარმოჩენილი არიან ჩვენი ისტორიისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი პირები: მიურატები- აშილ მიურატის მეუღლე სადომე დავითის ასული დადიანი და მათი შვილები: ღუსიენი, ნაპოლეონი და ანტუანეტა



იმედი გვაქვს, ფოლიანტები საინტერესო აღმოჩნდება, როგორც მკვლევარებისთვის, ასევე დადიანების სახლ-მუზეუმისა და ფართო საზოგადოებისათვის.

1906 წლის დოკუმენტი: ბათუმის კათოლიკურ ეკლესიაში ინათლება ზუგდიდში დაბადებული **სტანისლავ-აშილ სოგოროვი**, რომლის ნათლიები არიან: უფლისწული **ლუსიენ მიურატი** და **პრინცესა ანტაუნეტა მიურატი**. ნათლობას ესწრებოდნენ სალომე მიურატი, იოსებ ხაძინსკი, დავით სოგოროვი, იოსებ სტანისლავის ძე სოგოლოვი და მისი მეუღლე ცელინა მიხაილის ასული ურბანოვიჩი.

Часть первая о крещенных

Прозвание прихода.	№	Число.		Когда, где, кто и каким; однократно водою или со всеми обрядами таинства окрещенъ.	Какимъ родителей, когда и где, т. е., въ какомъ приходѣ родился крещаемый.	Кто были по имени и прозванію крестныи отцы и матери при сн. крещеніи.
		Рожденіи.	Крещеніи.			
Св. Миколая	7	13 апр. 1906.	20 апр. 1906.	1906 г., апр. 13 числа в Батумском Римско-Католическом храме, окрещенъ именемъ Янъ ; настоятелемъ С. Юсановича съ совершениемъ всехъ обрядовъ.	Капитанъ Иванъ Стефановичъ и Евдокия его жена; родители Миколая и Евдокии Стефановича и Евдокии Стефановича родившійся 1906 г. в г. Батуми.	Восприимчивыми были: Крестный отецъ Миколай Стефановичъ и Матеръ Евдокия Стефановича .
		20 апр. 1906.	30 апр. 1906.	1906 г., апр. 20 числа в Батумском Римско-Католическом храме, окрещенъ именемъ Станиславъ Андреевичъ ; настоятелемъ С. Юсановича съ совершениемъ всехъ обрядовъ.	Капитанъ Иванъ Стефановичъ и Евдокия его жена; родители Миколая и Евдокии Стефановича и Евдокии Стефановича родившійся 1906 г. в г. Батуми.	Восприимчивыми были: Крестный отецъ Миколай Стефановичъ и Матеръ Евдокия Стефановича .
Св. Николая-Амурского	8	20 апр. 1906.	30 апр. 1906.	1906 г., апр. 20 числа в Батумском Римско-Католическом храме, окрещенъ именемъ Станиславъ Андреевичъ ; настоятелемъ С. Юсановича съ совершениемъ всехъ обрядовъ.	Капитанъ Иванъ Стефановичъ и Евдокия его жена; родители Миколая и Евдокии Стефановича и Евдокии Стефановича родившійся 1906 г. в г. Батуми.	Восприимчивыми были: Крестный отецъ Миколай Стефановичъ и Матеръ Евдокия Стефановича .

1907 წლის დოკუმენტი: ფედერიკო-ლუსიანო ორანცოვიჩ დე ბლაზისა და მისი მეუღლის სუსანა გიორგის ასული ტერ-ნერსესოვის შვილს ორანცო-ჯორჯიო დე ბლაზს ნათლავენ: პრინცესა სალომე დავითის ასული მიურატი და უფლისწული ნაპოლეონ აშილის ძე მიურატი. ესწრებოდნენ: პრინცესა ანტაუნეტა მიურატი, თავადი ლევან დგებუაძე და სოფია ივანეს ასული რიბო.

Часть первая о крещенных

Примечание	Число		Когда, где, кто и как крестился: однополом водою и или со всеми обрядами таинства окрещенья.	Казных родителей, когда и где, т. е., в какомъ приходѣ родился крещаемый.	Кто были по имени призваніи восприемники при св. крещеніи и присутствовали.
	Рождения.	Крещенія.			
13	21	8	Тысяча девятъ- сотъ седьмого года Май восьмого дня в Етупин- ской Р.-К. церкви окрещенъ мно- женецъ по име- ни Степанъ - Архиповъ Настоятелемъ Патеромъ Иоан- номъ Исано- вцомъ, съ совер- шеніемъ всѣхъ обрядовъ таин- ства	Аристархъ - Степановича Кара - Мурза и жены его Мадии Нико- лаевны, урожден- ной Чайковской законникомъ супруговъ своихъ, родившимся двадцать перваго декабря тысяча девятъ- сотъ шестого года в г. Сухумъ	Восприемни- ками и бапти- стами: Назаровъ и Виталий Петръ Александровичъ Липинский и дочь провизора Авдеева Фран- цова Религия- ны. Присутство- вали: Кнѣзь Михаилъ Авд- еевичъ Тумановъ, Назаръ Антоновичъ Религиони и Викторъ Дмитриевъ
			1906	1907	20
14	13	20	Тысяча девятъ- сотъ двадцать второго дня в Кайу- ской Р. К. Цр. Фро- новъ окрещенъ мно- женецъ по имени Фроно-Дифордѣи Настоятелемъ Па- ромъ Иоанномъ Исановичемъ съ совершеніемъ всѣхъ обрядовъ таин- ства	Федерико-Лу- чиано-Оронцо Белль Де Блази италийскаго поддани и жена его Эсаниа Тар- дівны, урожден- ная Таре Тарсе- совъ законника супруговъ своихъ родившимся тринадцатого Апрѣля 1906 года тысяча девятъ- сотъ шестого года в гор. Кур- танскъ.	Восприемни- ками были: Фри- цесса (Алоизъ) Давидовна Мо- рава и Принцъ Наполеонъ Алек- сандровичъ Трисцусель- ова Антуанетъ Андрѣя и Мар- тина Левакъ Ивановичъ Де- бурге и Серіа Ивановна Руб-

1907 წლის დოკუმენტი: რენე-ლუსიენ რიბოს ნათლავენ: უფლისწული ლუსიენ მიურატი და პრინცესა. ესწრებოდნენ: იოაკიმ მიხეილის ძე ალოიზი, ელჟარდ ავგუსტო ტოლდე. მშობლები არიან კლოდ ავგუსტის ძე რიო და მეუღლე მარსელი მარსელინოს ასული მეისონი.

Часть первая о крещенных

Прозвание крещенный	№	Число Рождения Крещения	Когда, где, кто и язы; одно-ли водою или со всеми обрядами таинства окрещень.	Каких родителей, когда и где, т. е., в какомъ приходѣ родился крещаемый.	Кто были по имени, прозваніа, дозвѣнія, при сн. крещеніи присутствовали.
Марсели Шарто	23.	28 1.	Мелла девяти сотъ седьмого года сввцетѣ перваго днѣ въ Батумской Р.К. церкви окрещенъ иначе на имени Малши Настоятелемъ Патромъ Тоан номъ Исакан- овымъ, съ совер- шеніемъ вѣнъ свѣдѣль Маин ства	Родовъ Бланши Шарта сына, разившійся двадцать воет того свѣдѣль тотѣмъ девяти сотъ шестого года въ гор Батумиѣ.	Восприемни наши ботини: Андрей Курковъ и Луїса Рудовъ Фрѣва Шарта Присутство валъ Сте панъ Клард оревъ
	24.	19	тотѣмъ девяти сотъ седьмого года сввцетѣ дванадцатѣ по днѣ въ Батури- ской Р.К. церкви окрещенъ иначе ице по имени Рене-Луїсена, Настоятелемъ Патромъ Тоан номъ Исакан- овымъ, съ совер- шеніемъ вѣнъ свѣдѣль Маин ства	Клода Аву- стовна Рубо и меног епо Марселли Марселлинов на, урожденног Мессонъ за комисаръ суру- говъ сына, ро- дившійся двадцать пуба го Марта того же года въ гор. Батумиѣ	Восприемни наши ботини: Принцъ Лю- сьенъ Моравъ и Принцесса Луїсена Мю- ранъ. Присут- ствовали Ми- хаиловна Алоїска и Эдуардъ Аву- стовна Моравъ

1908 წლის დოკუმენტი: ბათუმის ეკლესიაში უფლისწული ლუსიენ მიურატი და პრინცესა ანტუანეტა მიურატი ნათლავენ ანტონ იგიტსანოვს, რომელიც მარტვილშია დაბადებული.

Часть первая о крещенных

Прозвание крещаемых.	Число.		Когда, где, кто и кѣмъ: одною-ли водою или со всеми обрядами таинства окрестить.	Какихъ родителей, когда и где, т. е., въ какомъ приходѣ родился крещаемый.	Кто были по имени, прозванію или при свѣдѣнствѣ присутствовать.
	№	Рожденія:			
Прозвание крещаемых: Антонъ Шумановъ	17.	20. 21.	Пятисла девятисотъ восьмого года Свѣтлѣрѣ двадцать первого дня въ мѣстечкѣ Мартвиль, Венгскаго уѣзда окрестить и миро помазанъ имя дитя по имени Антонъ, и. д. На стоящей Батуи скѣи Русско-Католической церкви, Свѣтленской, Сошного Цитка новилъ, съ совершеніемъ великаго орденовъ таинствъ	Трапоручика запаса, Март виленаго Угасковало Пристова Луки Антоновича Шитканова и жены его Фредронии Григорьевны, урожденной Наивандовой законнаго супруга сына, родившагося двадцатаго Мая того-же года въ м. Мартвилѣ	Воспріемши камни божіи: Принцъ Любенъ Муратъ и Принцеса Антуанета Муратъ
	Прозвание крещаемых: Павелъ Каримскій	18.	26.	5. Пятисла девятисотъ восьмого года Свѣтлѣрѣ пятнадцатого дня въ Батуи скѣи Католической церкви, Свѣтленской, Сошного Цитка новилъ, съ совершеніемъ великаго орденовъ таинствъ	Погторучика 260 ^{го} года Павла Федер. Ардатовскаго сына (Станислава Мартиновича) и Станислава Французскаго сына (Михайловича), законнаго супруга сына, родившагося въ м. Мартвилѣ


ფოტომატიანა

სახალხო ზეიმი „კოლხობა“ 1980 წელი (ფოტოფონდი)



აფიშები

ქართულ კალატბურთთან დაკავშირებულ აფიშა (დოკუმენტის ციფრული ვერსიის ავტორი მარიამ რუსაია)



ამ რუბრიკით გთავაზობთ 70 წლის წინანდელ საინტერესო ავიშას.
(ლოკუმენტის ციფრული ვერსიის ავტორი მარიამ რუხაია)

14-15 თებერვალი **14-15**
ФЕВРАЛЯ **ФЕВРАЛЯ**

საბჭოთავი **ГОСЦИРК**

აჭაზის ასსრ 1953 წლის
პირად-გუნდური პირველობა

პირველი **БОКСУ**

მონაწილეობენ „დინამო“-ს, „სპარტაკ“-ს, პროფკავშირების, ფაბრიკის სსხ. კლუბის და „შრომითი რეზერვის“ ნაკრები გუნდები მონაწილეთა შორის არიან საქ. სსრ უკლირისი მოქმედი. სპორტის ომანი. შ. შიქალიანი, აგაძევა შ. ლარსიანი. შ. გუჯაბია. შ. ხალოანი. ა. ბარბია. შ. კვაჭანია. ა. კაკოანი. შ. გომიზია და სხვები

Участвуют сборные команды: „ДИНАМО“, „СПАРТАК“, „ТРУДОВЫХ РЕЗЕРВОВ“, КЛУБА ИМЕНИ ФАБРИКИ И СБОРНАЯ КОМАНДА ПРОФСОЮЗОВ

Среди участников: мастер спорта Микаели Т. и сильнейшие боксеры Грузинской ССР Дарбаиши Г., Микаели Г., Гуджабиа Т., Худяи Ш., Георков Г., Гогибридзе Т., Какови А., Барамидзе Е., Квачантирадзе Г. и другие.

შპრის საბჭოთავი

შპრის საბჭოთავი 7 საათზე

Начало соревнований в 7 ч.

ფოტოატალია „ხალონება“ ხათუმში 1909 წელს
(დედებანდელი ვაჟ-ფშველასა და ჯინჯარაბის კეთაზე,
საგარაუდოდ ბაგრატ საბაშვილის სახლში)

ДЕШЕВАЯ ФОТОГРАФИЯ

„ИСКУССТВО“

Шепелевская ул., домъ Сабаева,

Открыта ежедневно съ 8 ч. утра до 6 ч. вечера, а въ праздники съ 12 ч. дня до 6 ч. вечера. Заказы выполняются немедленно на самой дорогой бумагѣ премированнымъ ретушеромъ. По приглашению производится снимки на домахъ, дачахъ по желанию ночью.

ЦѢНЫ — ВЪ КОНКУРЕНЦІИ.

Декорация последней парижской моды.

შპრის საბჭოთავი
საბჭოთავი

**თბილისის აზერბაიჯანული თეატრის მსახიობის
მირზა ალი აზასოვის საიუბილეო საღამოს მოსაწვევი**

დაიბადა 1874 წელს ტიფლისში, აზერბაიჯანულ ოჯახში. სასცენო კარიერა 1898 წელს დაიწყო. ფარაშის როლი თამაშა მირზა ფათალი ახუნდოვის „ლანკარანის სახანოს ვეზირის თავგადასავალში“. თბილისის აზერბაიჯანული თეატრის დასში 1916 წლიდან იყო წამყვანი მსახიობი და რეჟისორი. ძირითადად თამაშობდა ტრაგიკულ როლებს: ოტელო (შექსპირის „ოტელო“), ფრანცი (შილერის „ეჩაღლები“ და სხვა). თავადაც იყო რამდენიმე პიესის ავტორი.

გარდაიცვალა თბილისში 1943 წელს. დაკრძალულია თბილისში, მუსუღმანურ სასაფლაოზე.




**„ფოლიანტაჰი რუსეთის მიერ
ოკუპირებულ მაგულაზგა“ ოჩამჩირაღი
ლევან აზაძის მამული**

წარმოგიდგენთ დოკუმენტს, რომლითაც ირკვევა, რომ ოჩამჩირის მკვიდრს **ლევან აზაძეს** სოფელ აბიუბუაში, 1909 წელს ეკუთვნოდა 100 დესეტინა მიწა (1 დესეტინა - 1.09 ჰექტარს). მიწა გაიყიდა საჯაროდ და ის 444 რუბლად და 80 კაპიკად იყიდა დაურ საბეჭიამ.


ამ დროს ოჩამჩირის სასამართლოს ბოქაული იყო ჩერქეზია.

ვაგრძელებთ რუბრიკას. ვეცდებით კიდევ ერთი ფურცლით შევავსოთ სოხუმის გადამწვარი და რუსებისგან მიტაცებული არქივი:



აფხაზეთის მხარის (დედანშია „ოკრუგ“), გუდაუთის განყოფილების (დედანშია „უჩასტკა“) მემამულის, მილიციის ლეიტენანტ ანტონ დავითის ძე ლაკერბაიასა და მისი კანონიერი ცოლის, ნინა დავითის ასულის ვაჟი, კონსტანტინე, მონათლა ბათუმის მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიაში ქრისტეს აქეთ 1898 წლის წლის 10 სექტემბერს .

ნათლებია არიან ივანე ალექსანდრეს ძე ივანოვი, თავადის ასული მარიამ ვახტანგის ასული ორბელიანი და ვევენია კირილეს ასული სტოიანოვა, მეფსალმუნე, გერასიმე ლორია; მღვდელი ალექსეი სოკოლოვი/



აფხაზეთში ქართველთა რაოდენობის შესახებ

წარმოგიდგენთ დოკუმენტებს აფხაზეთის შესახებ. კერძოდ, ფოლიანტებში კარგად ჩანს რამდენად ძლიერი იყო ქართული მოსახლეობა სოხუმში და საერთოდ აფხაზეთში, და რაოდენ გაბუქებულია ოკუპანტთა „მოსაზრება“ აფხაზეთში ქართველების ბერიას შემდეგლა მოძალების თაობაზე.

ბუნებრივია, ფართო საზოგადოებისთვის ასევე მნიშვნელოვანი გვეგონია ქართველების და მათ მფლობელობაში არსებული საკუთრების ჩამონათვალიც, რომლისგანაც მკვლევარი, უამრავ საჭირო ინფორმაციას გამოიტანს.



ПРАВЛЕНІЕ Тифлискаго Дворянскаго Земельнаго Банка

Слѣдъ объявляеть, что на основаніи § 14 устава банка въ іюль мѣсяцѣ 1906 года, въ помѣщеніи банка, въ гор. Тифлисѣ, на Фрейлинской улицѣ, въ домѣ Грузинскаго Дворянства, будетъ произведена публичная продажа недвижимыхъ имѣній нижепоименованныхъ лицъ, за не имѣвшихъ ими по займамъ изъ сего банка платежей, установленныхъ §§ 12, 17, 27, 28 и 36 устава банка, за время съ 1 января по 1 іюль 1906 года.

Торги будутъ произведены: 1) по городскимъ имѣніямъ **24-го іюля** и 2) по сельскимъ имѣніямъ **28-го іюля**.

При неуспѣшности первыхъ торговъ, назначенныхъ въ вышеуказанные дни, вторичная и окончательная продажа, согласно § 20 устава банка, будетъ произведена въ томъ-же Правленіи **14-го августа 1906 года**.

Торги, согласно § 17 устава банка, начнутся съ суммы нижепоказанныхъ остатковъ капитальнаго долга, съ приисчисленнымъ къ нимъ послѣдующимъ здѣсь же недвижимымъ въ платежей банку, а равно недвижимымъ въ податкахъ и земскихъ или городскихъ повинностяхъ.

Для вступленія въ торги желающимъ торговаться обязанъ представить наличными деньгами залогъ, равный суммѣ недвижимымъ платежей банку и тѣмъ недвижимымъ въ податкахъ и земскихъ или городскихъ повинностяхъ, которыя окажутся на имѣніи ко дню торга.

Крѣпостнымъ должнымъ и все недвижимымъ на торгахъ сумму покупщикъ обязанъ представить въ теченіи 14 дней по заключеніи торговъ.

Капитальный долгъ можетъ быть переведенъ покупщикомъ на себя со всеми обязательствами прежняго владельца.

Согласно § 15 устава банка, желающіе могутъ внести желаемымъ до дня торга и тѣмъ освободить имѣніе отъ продажи.

Желающимъ участвовать въ торгахъ могутъ рассмотреть дѣла, относящіяся до продаваемыхъ имѣній, въ кассирской банка въ присутствіе дня и часа.

При этомъ Правленіе предвѣщаетъ, что банка за несоотвѣстныя первоначальнымъ описемъ продаваемыхъ имѣній съ настоящимъ ихъ положеніемъ отвѣстности на себя не принимаетъ.

საქმოსნა საბახტარიშვილის სავაჭრო ბლანკი

გთავაზობთ ცნობილი საქმოსნის საბახტარიშვილის სავაჭრო ბლანკს, სადაც აღნიშნულია რომ მას 3 „ორთქლის სახერხი ქარხანა“ (ორთქლის ძრავზე მომუშავე) ჰქონია: ერთი ფოთში, ორი კი გაგიდაში, სოხუმის ოლქში. გაგიდა დღეს, ოკუპირებულია. ის მდებარეობს სამურზაყანოში, დღევანდელ გაღში მდინარე გაგიდის მარცხენა სანაპიროზე.

№ 29 224 (22)
 Батумь, „5“, Декабря дня 1906 г.

ПАРОВЫЕ ДЕСОПИЛЬНЫЕ ЗАВОДЫ

№ 1 въ гор. Поті, № 2 и 3 въ м. Гагиды, Сухум, округа.

ТОРГОВЛЯ
РАЗНЫМИ ЛѢСНЫМИ
Строительными
МАТЕРИАЛАМИ И ДРОВАМИ,
А ТАКЖЕ
ЦЕМЕНТОМЪ
и
ЦЕМЕНТНЫМИ ПЛИТКАМИ
въ г. Поті.
Отдѣленіе лѣсного склада
въ Батумѣ,
на углу Тиф. и Георгіев-
ской ул.

Сметъ

ОТЪ ЛѢСОПРО МЫШЛЕННИКА

БЕЖАНА РОСТОМОВИЧА САБАХТАРИШВИЛИ

Господинъ спекулянтъ Седокъ Карповичъ, въ второму лицу
 Карцисвадъ.

საქმოსნის საბახტარიშვილი
 ტიფ. საბახტარიშვილი

ქველი პრესის ფურცლებიდან

ივერია

ბათუმი დღეს. ბათუმის მუშების ლაპარაკს რომ ყური დაუგდოს კაცმა, სულ იმაზე აქვს ბაასი, რომ ბათუმის ნავთის ქარხანა ბ. პალაშკოვსკისა უყიდნია გამოჩენილს ევროპიელს მდიდარს როტშილდსაო. უსაფუძვლოდაც არ ლაპარაკობენ: ახალი მმართველი ამ დიდის ქარხნისა, რომელიც ერთსა და ორს კი არ ჰკვებავს, ახალ წესებს შემოიღებს საქმის წარმოებისას, ახალს მმართველებს დანიშნავს ყველა განსაკუთრებულს განყოფილებას ამ ქარხანაში დღეს თავისი ცალკე გამგე ჰყავს, რომელსაც ასე თუ ისე შეკთვისებიან მუშა და სხვა მოხელენი „შეჩვეული ჭირი სჯობია შეუჩვეველს ღხინსაო“, ხომ მოგეხსენებათ. დიად, დიდ ცვლილებებს მოელიან ნავთის ქარხნის წარმოებაში. ვნახოთ რა იქნება, ჩვენის საქართველოს ყველა ქალაქებში, როგორც საზოგადო ხმა ღაღადებს, საშინლად თურმეა დაცემული ადებ-მიცემობა. ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ ბათუმი აივსო განსაკუთრებით თფილისის ქალაქის წვრილმან ვაჭრებით, ხელოსნებით, მაღაქნებით. საქმის დროს ეს ამოტვლია ხალხი სულ საქმეზეა დაფანტული, მაგრამ უნდა გენახათ ამ დღესასწაულებში! ბათუმის გარშემო ამწვანებული ველები სავსე იყო ამ ხალხით. აქ ზურნა, იქ თარი, ჭიანჭური. ისე, რომ დღესასწაულებს უფრო „ჩვენებური“ ხასიათი ჰქონდა. კვირა-ცხოვლობას ისეთი ბურთის თამაშობა იყო, რომელსაც მთელი ბათუმის მცხოვრებნი სიამოვნებით უყურებდნენ. ბურთის თამაშობა გათავდა ღამის 10 საათზე. ღელო იმერლებს და გურულებს დარჩათ. მოპირდაპირეთ, ამათ ჰყავდათ მეგრელები და აფხაზები.

შინაურს დროს გატარებაც დაეტყო „ჩვენებური“ ხასიათი. ლოტი, „კვენერაები“ ამავე რიგსა და კვალზე იმართებიან აქა, როგორც გორში. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ამ ბოლო დროს ბათუმსაც, ამ ჩვენის ქვეყნის დროებითს კალიფორნიასაც ნელ-ნელა უჩივიან. აქაც დეტყო ყველაფერს საზოგადო მეყდრეობა და ქესატლობაო.

უყურადღებოთ ვერ დავსტოვებთ ერთს გარემობას, რომელზედაც დღეს არამც თუ ბათუმელები, მთელი გურია ლაპარაკობს. ეს გარემოება გამოჩენილის ყანაღის ღომჯარიას მოკვლამ გამოიწვია... ამ საქმეზედ ფიცხელი გამოძიება სწარმოებს. ადმინისტრაციამ რიგისამებრ საქმე გარდასცა ბათუმის ადგილობრივს გამოძიებელს, ბატონს მიქელაძეს. გულით და სულით ვინატრებთ, რომ ეს საქმე ტყუილი გამომდგარიყოს, რომ გამოძიებლის იქით აღარ წასულიყოს, რითაც ბოდიში მოეხდებათ საზოგადოების და მთავრობის წინაშე იმ საპატიო პირთ, რომელთაც ის ბარბაროსობა ჰბრალდებათ.

ერთი ამბავიც და კმარა: ამას წინათ ერთი ნაცნობი აჭარელი მაჰმადიანი ქართველი შემხვდა, რომელმაც ტირილით შემომჩივლა, რომ საბაჟოს საყარაულოზე სალდათებმა ცხენის უნაგირის ქვეშ მინახეს რამდენიმე „ალაბი“ ჩითიო, რომელიც კონტრაბანდათ იცნესო. საბაჟომ ჩითი ჩამომართვაო, ბაჟი ერთი ხუთად გადამახდევინაო, მაგრამ შვიდთუმნიანი ცხენიც გამოიყიდაო... ამ გარემობას თურმე ყურადღება მიაქცია საბაჟოს გამგეობამ, რომელსაც უკვე უცნობებია ეს გარემოება დეპარტამენტისათვის. ველით განკარგულებას.

ხუმარა

გაზ. „ივერია“, 1886 წ. 1 მაისი, N 94, ხუთშაბათი

ბათუმი, 16 მაისს. ამ დღეებში მობრძანდა აქ გურია-სამეგრელოს ახალი ეპარქიის მმართველი, ყოვლად უსამღვდელო ეპისკოპოსი გრიგორი. მეორე დღესვე, მოსვლისთანავე ყოვლად უსამღვდელო გრიგორმა დაათვალიერა ბათუმის სასწავლებლები. როცა ეპისკოპოსი შებრძანებულა ქართველა შორის წერა-კითხვის გა-

მავრცელებელი საზოგადოების სკოლაში, შემდეგი სიტყვით მიუმართავს მაჰმადიან ქართველთა მოსწავლეთათვის: „ თქვენ შვილებო ჩვენი ძველებური ძმები ხართ. ეს მხარე ძველადვე ძალდატანებით მოაშორეს საქრისტიანო მხარეს, საქართველოს და გაამაჰმადიანეს: ამას თქვენც გაიგებთ, თუ ისწავლით გულს მოდგინედ, მხოლოდ სწავლა შეგვაერთებს ორს დიდი ხნით დაკარგულ ძმებსაო“. ქრისტიან მოსწავლეთ ჰკითხა თურმე ეპიხოპოსმა განმარტებით ლოცვა უფლისა და შემდეგი სიტყვებით გამოეთხოვა: „ისწავლეთ შვილნო ბეჯითადა, რომ სასარგებლონი გამოხვიდეთ მეფისა და მამულისათვის“. კვლავ მაჰმადიანებს მიმართა ყოვლად უსამღვდელო გრიგორმა, წააკითხა „ყორანი“. მაჰმადის სჯულის ხოჯას სთხოვა გადაეთარგმნა ის ადგილი „ყორანისა“, რომელიც ყმაწვილებმა წაილითხეს, მაგრამ ხოჯამ ვერ გადათარგმნა, რადგანაც არაბულად არის დაწერილი „ყორანი“. რაც კი სიტყვამ მოიტანა, ბათუმელ მაჰმადიან ქართველებზე ლაპარაკი „ივერიის“ მკითხველებს გავუზიარებ რამდენიმე ცნობას აქაურობაზე.

უნდა მოგახსენოთ, ისლამი საშინელი მტერი ყოფილა ეროვნებისა. ისლამის დროშის ქვეშ მხოლოდ ერთი საზოგადო ერთი, სხვა-და-სხვა ეროვნებისაგან შემდგარი, სდგას - თათრობა. აქ ადგილი არ აქვს არც სომეხს, არც ქართველს და არც სხვას. ამ აზრით, ოსმალეთში რომ იტყვიან „გურჯი“ თათარიო, ის კი არ გამოდის, ქართველი თათარიო. აქ ისეთივე აზრია, როგორც მაგალითებს ანატოლიის თათარი, სტამბოლელი თათარი, მისირის თათარი და სხვა. აქ მხოლოდ ადგილის სახელწოდებაა და არა ეროვნებისა. ბათუმის მაზრაში გაუნათლებელი ხალხი თავის თავს „გურჯს“ თამამად და თავმოწონებით ეძახის, მაგრამ სახელწოდება „ქართველი“ კი ენთითრება. შეგნებულნი და განვითარებულნი (რასაკვირველია შედარებით) მაჰმადიანნი ქართველნი, რომელთაც იციან, რომ სარწმუნოება სხვაა და გვაროტომობა, ჩამომავლობა, ეროვნება სხვა, „გურჯს“ უწოდებს თავის თავსა იმ აზრით, როგორც საზოგადოდ ქართველნი თავიანთ თავს ქართველს ეძახის. ამას წინათ ერთს სასიამოვნო მასლაათს შევესწარი აქაურს მაჰმადიანთ შორის. ერთი ფრიად პატივცემული ქართველი მაჰმადიანი კაცი ეფენდი, განათლებული, თავის თანამოძმეთ - მაჰმადიანებს აი რას ეუბნებოდა: „ქრისტიანები მთელს დუნიაზე სცხოვრობენ. მათში ყველა ერთი ჩამომავლობისა კი არ არის - ქართველიც ქრისტიანი არის, რუსიც, ფრანციც, ბერძენიც. ქრისტიანი ქართველი თავის თავს არც რუსს ეძახის, არც ბერძენს, არც ფრანგს. იგი ქართველი ქრისტიანია, როგორიც ქრისტიანი რუსი, ქრისტიანი ბერძენი, ქრისტიანი ფრანგი. სარწმუნოება რა შუაშია? ჩვენ თათრები ვართ სარწმუნოებით, მაგრამ ჩამომავლობით კი ქართველები, ისეთივე ქართველები, როგორც ქრისტიანი ქართველები არიან“. ჩვენდა სასიამოვნოდ, „გურჯი“ - ტერიტორიული ცნება, მალე შეიცვლება ეროვნულს ცნებად, ე.ი. გურჯი იმავე ქართველს აღნიშნავს, როგორც მიღებულია საზოგადოდ. ერთს ხალხურ გადმოცემას მოგვარ ყური, რომელიც უნდა გარდავსცე უსათუოდ „ივერიას“: როდესაც სულტან სელიმი შევიდა თურმე გონიოს ციხეში (ახლაც არის ეს ციხე მოსადიდის ხეობაში) და აქედან თავზარი დასცა მესხებს, რომელსაც ძალათი ამაჰმადიანებდა, ამ ხანებში ცაგველები (ქობულეთის ნაწილია) შეიკრიბენ ერთად, მივიდნენ სელიმთან და უთხრეს, რომ მათუ ნებით სურთ მიიღონ მაჰმადიანობა. ეს ამბავი ისე ესიამოვნა მძვინვარე „დესპოტს“ აღმოსავლეთისას, რომ მაშინვე განსაკუთრებითი ფორმანით გაანთავისუფლა ჩაგველები ყოველგვარის გადასახადებისაგან.

რამდენად მართალია ეს ზეპირსიტყვაობით დაცული ამბავი, რა მოგახსენოთ, მხოლოდ საფიქრებელი კია, რომ ამ გარდმოცემასთან უთუოდ რაიმე კავშირი უნდა ჰქონდეს იმ გარემოებას, რომ დღესაც ოსმალეთის მთავრობისგან არავითარიმე „თაფები“ არა აქვთ ჩაგველებს მიწა-წყალზე, მთა და ბარზე. „თაფმა“, როგორც აღრევაც ვამბობდი „დროებაში“, ბათუმის მაზრა ოსმალეთის პოლიტიკურ ურთიერთობას, წყობილებას შეახორცა. თაფით მიწა არავისი საკუთრება არ არის, მხოლოდ იგი მიწა არის ალაჰის და სულტანისა. ეს გარემოება მით უფრო საინტერეს-

სოა, რომ ჩაგველებს თუ თავი არ მისცეს, მაშ იმათ ისევ საქართველოს მეფეების სიგელით უნდა სწეროდათ ეს მიწები.

ბათუმი დიდს შემწეობას აძლევდა ამ სამის წლის განმავლობაში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“. წელს კი აღარაფერი ამგვარი არ ისმის ბათუმში. თითქოს საქართველოს სხვა ქალაქები ბათუმს უყურებენო, არც იგიდგან ისმის რამე. ბათუმს ის გარემოება აბრკოლებს ჯერ, რომ ერთ ერთი თვატრი ანანიევისა მთელის ზაფხულის განმავლობაში იქირავეს მოსკოველმა არტისტებმა, რომელნიც ყოველ სამ დღეში ჰმართავენ წარმოდგენას. მეორედ კიდევ ის აბრკოლებს ბათუმს, რომ იქაური ინტელიგენცია, რომლის ვალიც არის ამგვარ საქმეების თაოსნობა და მეთაურობა, დაზანტდა, „გაქართველდა“, ე.ი. არა სჯობიან, რომ ჩვენისვე ხელით გაუთხაროთ სამარე ჩვენისავე თაოსნობით დაბადებულს საქმეს, რომლის მსგავსი ჩვენს ცხოვრებას ჯერ არ მოუგონია რა. ესლა გვაკლდა?!

ხუმარა

გაზ. „ივერია“, 1886 წ. N 105. 20 მაისი, სამშაბათი

დაბა და სოფელი
(მოწერილი ამბავი)

ბათუმი, 26 ივნისს საბაჟო საყარაულობებზე ბათუმში ისეთს შევიწროებაში არიან სოფელნი, რომ ერთ არ ითქმის და კალმით ვერ აიწერება. მართალია საბაჟოს მხედველნი იქცევიან ძალითა „ინსტრუქციისათა“, მაგრამ მაკვირვებს, ეს ამოდენა მაზრა ბათუმისა რატომ არ აცნობებს თავის შევიწროებას პორტო-ფრანკოთი უმაღლესს მთავრობას. ერთხელ კი მიართვეს არზა უმაღლესს მთავრობას, მაგრამ კიდევ რომ სთხოვონ და აუწერონ თავისი გაჭირვებული მდგომარეობა, ვითომ რა მომაკვდინებელი ცოდვა იქნება! ტანისამოსი რომ გეცვას ახალი, არ გიშვებენ, ძველის ტანისამოსით გადი პორტო-ფრანკოდანაო. ამ დღეებში, მე ამ სტრიქონების დამწერი დავესწარ ერთ საბაჟო-საყარაულო რევიზიას კავკასიის საბაჟო ოლქის სამმართველოს თანამშემწის მიერ. აი სხვათაშორის რა უთხრა საყარაულოს მოხელის უფროსმა რევიზორმა: რითი იციო, რომ ამ საყარაულოზე მოტანილი ხილი ბათუმის მაზრიდგან ადგილობრივი ნაწარმოებიაო? - იმითაო, უპასუხა მოხელემ, რომ პორტო-ფრანკოში ხილი აჭართგან შემოდისო, ადვილი საფიქრებელია, რომ აჭარის ნაწარმოები იქნებაო. - იქნება შემოაპარეს აჭარაში ოსმალეთიდგანო, განაგრძო რევიზორმა: და ასე მოაქეთო - ხილს ზედ არ ეტყობა არაფერი ნიშნებიო, ულასუხა მოხელემ: - და მე არ შემიძლიან საყარაულოზე მივხვდეო, აჭარული ხილია თუ ოსმალეთისაო. ჩემს თვალწინ არაერთხელ დაუბრუნებიათ უკან საბაჟო საყარაულოთგან პორტო-ფრანკოში მგზავრი მხოლოდ იმიტომ, რომ ახალი ყაბაღაზი ჰქონია მოხვეული. საბაჟო მოხელენი ბათუმის პორტო-ფრანკოსი რომ უზრდელად ექცევიან მგზავრებს, ეს ყველამ იცის და ნამეტნავად იმათ, ვისაც სამხედრო ტანისამოსი არ აცვიათ. ეს რომ „ივერიაში“ დაბეჭდოს, ნუთუ ამით „ერთად ერთს ქართულ გახეთს დაეკარგება თავისი მნიშვნელობა მკითხველის თვალში“, როგორც ბრძანებს ბ. ლოპატოვი თავის მედიდურს შენიშვნაში?!

მაჰმადიან ქართველებს რამაზანი გაუთავდათ. ბაირამი წვიმების გამო ჩვეულებრივად ვერ იდღესასწაულეს. რამდენთამე გამოჩენილს ოჯახის შვილთ მაჰმადიან ქართველთა გულნატკენად შემომჩვილეს, რომ ჩვენ ქრისტიანებს ყოველ დიდს დღესასწაულებს მიულოცავთ ხოლმე და ქრისტიანებმა წელს ეს ზრდილობა, მოქალაქეობრივი ქცევა ჩვენი არ გარდაგვიხადესო, არ გვახსენეს, არ მოგვილოცესო.

რამაზანიმა დამარწმუნა, რომ ყოველი წესები ისლამისა ხალხში მხოლოდ ძალაზე და შიშზე ყოფილა აგებული. მომეტებული ნაწილი ბათუმის მცხოვრებლები-სა არ ინახავდა რამაზანს, როგორც ჩვენ არ ვინახავთ მარხვას. ამის გამო უფრო

ფანატიკოსებმა თავს იდეს და მთავრობას მოახსენეს ეს გარემოება. მთავრობამ პასუხად ის უთხრა, რომ ეს საქმე თქვენმა ყაღმა უნდა განსაჯოსო. ეს გარემოება გვაგონებს იმ წესს ოსმალეთში, რომ მთავრობა სჯის, სდევნის ყველა იმ პირთ, ვინც რომელსაჲმ წესს ღვთის მსახურებისას დაარღვევს.

ის საზარელი, ყოვლად უმსგავსი და შემადრწუნებელი ჩვეულება, რომელიც ასე მძვინვარებს ოსმალეთში-ადამიანის ყიდვა - ბათუმის ზოგიერთა მიერ უბუნებს ადგილებშიაც არსებობს. აი ამის მაგალითი. ერთს ბეგს ჩაგვში უყიდნია ერთი ზანგი... (ფურცელი მოხეულია და შემდეგი წინადადება არ იკითხება)

გაზ. „ივერია“, 1886 წ. 1 ივლისი, სამშაბათი. N 1

ოსმალეთი. ბოლგარიის თავადს მიუწერია ოსმალეთისათვის, მე რომ სიტყვა ვსთქვი, იმით მინდოდა მხოლოდ ოპოზიცია ჩამეჩუმებინაო. ჩემს მოქმედებაში არაფერი გასაკიცხი არააო და ტყუილად მდებენ ბრალს, ვითომ მე სახეში ვისიმე შეურაცხყოფა მსურვებოდეს. გაუქმდა თუ არა კრებაო, დელაგატებს დავნიშნავ, რომ რუმელების ორგანებული სტატუსი გადასინჯოსო.

-რუსეთის რწმუნებულმა პირმა ონუმ, როცა გამოუცხადა ოსმალეთს ბათუმის პორტო ფრანკოს ამბავი, აუხსნა, რომ ეს იმიტომ უფრო მოხდაო, რომ ხალხი დიდ მწუხარებასა და გაჭირვებაში იყო, ბათუმი დღეის შემდეგ სავაჭრო ნავსადგური იქნებაო.

- ბოლგარიისა და სერბიის საზღვრებზე ოსმალეთის ჯარი კიდევ იგზავნება. აქანობამდე გაგზავნილია სულ 20.000 ჯარისკაცი. ელიან სულთანის ბრძანებას, რომ შწუკვეთონ ერთი კრეისერი და ცხრა მინონოსკა.

გაზ. „ივერია“, 1886 წელი, N 149, 11 ივლისი, პარასკევი

ბათუმი. 11 ივლისს, დღეს, რომ ბათუმი თითქმის მთელ ევროპის სალაპარაკო საგნად გახდა, რასაკვირველია ყველას მოგეხსენებათ. არის ერთი სჯა და ბაასი პორტო-ფრანკოს მოშლაზედ, ბერლინის ხელშეკრულების დარღვევაზედ, აგრეთვე იმაზედ, თუ რა შედეგი მოჰყვება ამ ამბავს და კიდევ ბევრ ამისთანა რამეზე. დეკ. დიდებმა დიდზე დიდი სჯა იქონიონ, ჩვენ კი მცირედს დავსჯერდეთ, ცოტა თვალი გადავაგვლოთ ბათუმს და შევიტყოთ, რა ხდება ეხლა ბათუმელთ შორის.

პირველად, რასაკვირველია გულითადი მწუხარება უნდა განვუცხადოთ იმ ჩვენ მოყვარეთა, რომელთ ასე მოწონდათ ჩვენთან ხშირად სტუმრობა და ამას იქით ჩვენი ნახვა მოესპობათ. მხოლოდ ერთი კი დაჰრჩებათ მათ ნუგეშად: - ჩვენს ვაჭრებთან საქმე აღარ ექნებათ და ეს ხომ დიდს ბედნიერებად უნდა ჩაითვალოს იმათთვის.

მართლა თუ ჩვენი ვაჭრები ვერაფერ პატიოსნების კაცები ყოფილან. გაუქმდა თუ არა პორტო-ფრანკო, ამ ვაჭბატონებმა ისეთი გაუმაძღრობა და ცუდ-ზნეობა გამოიციენეს, რომ კაცის პატიოსნებას სრულად არ შეეფერება, მაგრამ შეიძლება კაცი სხვა იყოს, ვაჭარი სხვა.

მართებლობამ ნება მისცა აქაურს ვაჭრებს ერთის თთვის განმავლობაში ბეჭედი დაასვან თავიანთ საქონელს და ბაჟადაუხდელად ივაჭრონ. ვაჭრებმა ეს ამბავი ისე განმარტეს, რომ ვითომ მართებლობამ ნება მოგვცაო, ამ გარემოებით ვისარგებლოთ და განუხჯელად მყიდველებს ჯიბიდან ამოვაცალოთო.

იმ ნივთს, რომელსაც 4 ივლისს სამ მანეთადა ვყიდულობდით, ხუთ ივლისს ექვს მანეთად იშოვიდით, ისიც კარგი იყო. რაშიაც წინა დღეს ოც მანეთს გახდევინებდნენ, იმავე ნივთში დღეს ორმოც მანეთ დაბლა არავინ გაძღვეს. რისგან მოხდაო ეს? ეკითხები ვაჭარს. - პორტო-ფრანკო მოშალეს, ხომ მოგეხსენებათო, დიმილით გიპასუხებს ბედის მლოცველი ვაჭარი. და მართლაც, ბედის მლოცავი უნდა იყვეს: გუშინ დახლში მანეთი არა ჰქონდა, დღეს ადვილად თუმნებს ჯიბეში იღავენ. ერთმა ურიამ დაკეტა თავისი დუქანი უბაჟო საქონლით გავსებული და ეხლა

ქუთაისში გადააქვს, სადაც მისი გამოანგარიშებით ორმოცდაათი ათასი უნდა მოიგოს მოკლე ხანში.

ერთი მაგალითი კიდევ. მაღაზიაში პყიდულობს ნივთს, რომელიც წინად აქ ხუთი მანეთი ღირდა. ახლა ვაჭარი თხოულობს თუმანს. მყიდველი კეთხება ვაჭარს - ასე ერთბაშად რამ გააძვირაო? - ესლა ჩვენ ყოველისფერს ისე ვყიდით, როგორც ბაჟგადაუხდელსაო. - კეთილი, მაგრამ ბაჟი გადაჰხდება ამ ნივთს? ჩააცივდებით ვაჭარს. არ ვიცო! გულ-უბრყვილოდ გიპასუხებს ვაჭარი, ჩვენ კი ყველანი ასე ვყიდითო.

ესეც კი უნდა ვსთქვათ, ვინ მოსთხოვს ჩვენს ვაჭრებს იმის ცოდნას, თუ რა მნიშვნელობა აქვს ვაჭრობას და რა წესზედ უნდა სწარმოებდეს იგი. სცარცვე, ჰგლიჯე, მოურიდებლად ამოაცალე ჯიბიდან ყველას ფული, ოღონდ კი მალე და აუცილებლად გამდიდრდი. პატიოსნების, სიმართლის და კადნიერების სახელი კი ჯერ მათ დაეთრებში არ ჩაუწერიათ.

გაზ. „ივერია, 1886, N 154, ხუთშაბათი, 17 ივლისი

ბათუმი, 11 მკათათვეს. პორტო-ფრანკო მოისპო. ამ გარემოებას აღტაცებით მიეგება ბათუმის მაზრის მაჰმადიანი ქართველობა. დიად, სასიამოვნოდ დარჩა პორტო-ფრანკოს მოსპობა ამ მაჰმადიან ქართველებს. ესენი დღეის იქით თავისუფლად და უშიშრად იყიდიან, რაც უნდათ იმ ფულით, რომელიც აიღეს გაყიდულის თვისის შინაურის ნაწარმოებით. სასიამოვნო დარჩათ ეს ამბავი სხვა მცხოვრებლებსაც. არ ესიამოვნათ ეს გარემოება „კუკულაებს“ და სხვა უცხოელთ ვაჭართა, რომელთაც ცარიელი ჯიბით მოსულებმა ისეთი დახლი დაისვეს, რომ სავესე ჯიბით წავლენ აქედგან, თუ წასვლა მოუხდათ. აქაურმა ვაჭრებმა, რომელნიც უცხოელთა საქონლით ვაჭრობდნენ, ესლავე მოუმატეს ყველაფერს ფასები. ეს ჩვენის აზრით უკანონო და უსამართლო საქციელი არის ვაჭრების მხრით. მთავრობამ ამ ვაჭრებს ის შედავათი და თავაზა უყო, რომ ვეროპიდგან მოტანილს საქონელს მხოლოდ რუსეთის ბეჭედს ასვამს და არაფერს გადასახადს არა სთხოვს. ეს მხოლოდ ვაჭრულის სიხარბის და თვალ-ვიწროობის ბრალია. აქ შუაში იტყლიტება ძალაუნებურად მსყიდველი, რომელიც არაფერში არ არის დამნაშავე, რომ ვაჭრებს „ლილიხანა“ წაუხდათ. იმედია ახლა მაინც დაიაფდება სახლები, რომელნიც დღეს აქ მამასისხლადაა.

ბათუმის ნაწილი „ნურია“ თანდათან იწვეს დასავლეთისაკენ, ჭოროხის მხრივ. ცარიელი მინდერები რომელიც ძველს, მაჰმადიანთა სასაფლაოს ეჭირა და ბეგების ადგილებსა, დღეს სახლებით ივსება. ამ ადგილებზე სოკოებივით ამოდის სახლები. აქ ერთი გარემოება ეჩხირება კაცს თვალში, რომელსაც პროვინციის მოამბე უყურადღებოდ ვერ დასტოვებს, თუნდაც ეწყინოს ვინმეს. საქმე იმაშია, რომ ძველებური მაჰმადიანთა სასაფლაო, რომელიც კარგა ბლომა მანძილზეა გაშლილი, უწინ ბეგებს აბაშიძეებს ეკუთვნოდათ. სასაფლაო ქალაქის კუთვნილება არისო და ქალაქი გახდა ამ ადგილის მეპატრონე. სასაფლაო კერძო პირს არ ეკუთვნისო, ქალაქი როგორც მესაკუთრე ამ ახლოს ადგილებისა ხომ იგივე კერძო იურიდიული პირია, როგორც უწინდელი მეპატრონე ამ ადგილისა აბაშიძე? უბრალო ღოღიკის ძალით მიწა ამ შემთხვევაში ერთმევა კერძო პირს და გადადის ისევე მეორე, იურიდიულ პირზე. საბუთი? - არ გვესმის! ამავე საბუთით ქალაქი ართმევს ადგილებს ზოგიერთა პირებს, რადგანაც იქ სასაფლაოები არისო. მესაკუთრენი ეუბნებიან ქალაქს:ჩვენს მიწაში ჩვენივე მამა-პაპა-ნათესავეები და შვილები მარხიან, სხვები არაო. მაშასადამე საზოგადო სასაფლაო არ არისო. მაჰმადიანურის წესით საუკეთესო წვევრს ოჯახისას, როცა იგი გარდაიცვლება, საუკეთესო ადგილას სასაფლაოებდნენ, ბაღებში, სახლის ეზოში, კარებს წინ და სხ. ამგვარი ადგილები არ ჩაითვლება საზოგადო სასაფლაოდ. ჩვენ ესე გვეონია ეს საქმე და არ ვიცით, იქნება

ვცდებოდეთ კიდევცა. ამ საგანს ისე შევეხებით მხოლოდ, სხვათა შორის, თორემ რა ჩვენი საქმეა ამაებზე ბაასი.

„ნურის“ ახალ მოშენებულს ადგილზე გადავიდა სხვათა შორის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სკოლაც. ამ ნაწილში ჯერ ქალაქს არც ფანრები დაუდგავს, არც ქუჩები გაუსწორებია და არც წყალი გამოუყვანია მილით. ყველა აქ ჩამოთვლილი და დასახელებული საგანი ჩვენთვის „ახალ შენებათათვის“ ისე საჭიროა, როგორც შუა ქალაქში მცხოვრებთათვის, ამბობენ „ახალ შენის“ მცხოვრებნი. განა ჩვენ არ ვაძლევთო ქალაქის ხაზინას შესავალსაო, რომ ერთი პოლიციელიც არ გვყავსო, რომ გაჭირვებაში მივმართოთო. იმედია ბათუმის პოლიცია ამ უბანს არ გასწირავს და ტურადლებას მიაქცევს.

ბათუმელებსაც გაუჭირეს საქმე მორარულ პერიპატეტეიკა-აქტიორებმა. ამ უკანასკნელთ ბ. ანანიევი პველეფავს თვისის „თეატრის“ ქირით და ისინი ჩვენა. განსაკუთრებით ტყუილად იცარიელებენ ჯიბეს ჩვენი დაღალ-კავებიანი მანდილოსნები, რომელნიც მიხედულებისა გამო უთუოდ უნდა დაეწრონ წარმოდგენას, მაგრამ წარმოდგენა იმ ენაზე იმართება, რომელიც იმდენად არ ესმით ჩვენს მანდილოსნებს, რომ პიესის შინაარსი გაიგონ.

ჩვენი ტფილისის დრამატული დასი ბათუმსაც ეწვია. მოსვლისთანავე დასი ორად გაიყო. ბათუმის ქართველობა იძულებული გახდა ორივე დასის ბილეთები აერო. იღებდნენ ბილეთებს ბათუმელი ქართველობა იმით, რომ „ჩვენი“ არტისტები არიანო. პირველმა წარმოდგენამ „ეხლანდელმა სიყვარულმა“ ძალიან გვახსიამოვნა, რადგან აბაშიძემ და მისმა მეუღლემ ხელოვნურად ითამაშეს. მეორე წარმოდგენამ, რომელიც გაიმართა ანდრონიკოვის ლობბარობით (?), დაგვარწმუნა, რომ ჩვენი აქტიორები პროვინციის ხალხს მასხრად იგდებენ, მათ ჰგონიათ, რომ პროვინციაში არ იციან, რა არის ესტეტიური სიტკბო და ბალაგანური მასხარობა!... ბათუმელმა ქართველებმა ჩვენი მოვალეობა შევასრულეთ, ორივე წარმოდგენას დავესწარით.

ხუმარა

გაზ. „ივერია“, 1886, N 156. 19 ივლისი, შაბათი

ბათუმის აღებ-მიცემობა და ვაჭრობა

ინგლისის გაზეთ „Staudart“-ში ინგლისელებისავე გარეშე საქმეთა სამინისტროს დაუბეჭდია მოხსენება თავის ბათუმელის კონსულის ბ-ნის პიკოვისა. ამ მოხსენებაში პიკოვი ბათუმის ვაჭრობასა და აღებ-მიცემობაზედ ლაპარაკობს. ამას გარდა იმასაც ამბობს, რა საქმე შეიძლება მოგების გულისათვის დაიყოს ინგლისელმა კაცმა ბათუმშიო და როგორ შეუძლიან ადვილად გამდიდრდესო. თუ ინგლისელებისთვის კარგია ადვილად გამდიდრება, ჩვენ ქართველებისთვისაც უფრო საჭირო და უფრო უპრიანიცაა. აი რამდენიმე ადგილი პიკოვის წერილიდან:

„ბათუმის აღებ-მიცემამ ძალიან იმატა 1885 წლის განმავლობაში, ესე იგი უფრო ბევრი საქონელი შემოვიდა და უფრო ბევრი გაიგზავნა სამზღვარ გარედ. ამ რიგად, ვაჭრობამ იმატა, მაგრამ საზოგადოდ ბათუმის წლიური ვაჭრობის ფული რომ ავიღოთ, ეს ფული დიდი არ არის, იმიტომ რომ უმთავრესი საქონელი რაც იყო, იმისი ფასი თანდათან აკლდებოდა. ბოლოს ასე გამოვიდა, რომ საქონელი ბლომად გავიდა ბათუმიდან და შემოვიდა ბათუმშივე, მაგრამ საერთო ჯამი ვაჭრობისა მცირე იყო. ამის გამო ვაჭართა მოგებაც, რასაკვირველია ცოტა იყო, ვიდრე 1884 წელსა. უმთავრესი საქონელი, რომელიც გადიოდა ბათუმიდან იყო ნავთი და ამ ნავთიდან ნაკეთები ნივთიერებანი. ახალი გზები გაკეთდა ამ ქვეყანაში და ამის გამო პური და სიმინდიც დიდძალი გააქვთ ბათუმიდან. ეს ყოველივე მოაქვთ ქვეით ქვეყნიდან, რომელიც კასპიის ზღვისკენ არის და მდებარეობს ტფილისსა და გან-

ჯას შუა. 1885 წელს ჭირნახულიდამ უფრო პური მოდიოდა ბლომად. სულ, რაც ჭირნახული გაიტანეს, იქიდან ასს ნაწილში, 75 ნაწილი პური იყო. ბევრი გააქვთ ბათუმიდამ ქვა-გუნდაცა. ქვა-გუნდა იპოვება ყვირილის ახლოს, შორაპნის მაზრის მადნებში. ეს მადნები, როგორც ამბობენ, ძალიან მდიდარი მადნებიაო. გზები რომ იყოს რიგიანი, განუსაზღვრელის რაოდენობის ქვა-გუნდას ამოიღებდნენო. ბათუმი-დამვე მიდის საფრანგეთში მატყლი, შეუმუშავებელი აბრეშუმი და შეუმუშავებელი-ვე ბამბა. ამ საქონელსა პყიდულობენ ტფილისს იქით ქვეყნებში, კასპიის ზღვისკენ. ყველა ამავების გარდა ბათუმიდამ გააქვთ კიდევ: ხე-ტყე, ტყავი და ბეწვი ნადირთა და ცხიველთა, ხალიჩები და მებრვე სხვა.

რა საქონელი და რამდენი შემოდის ბათუმში სამზღვარ-გარეთიდან - ეს ნამ-დვილად არ ვიცით. ვიცით მხოლოდ რაოდენობა იმ საქონლისა, რომელშიაც ბაჟია მიცემული. ხოლო რაც უბაჟოდ შემოსულა და ადგილობრივ ბათუმს მოუხმარნია, ეგ არ ვიცით.

რადგან ნავთის მრეწველობა ძალიან წინ წავიდა, ამის გამო ბევრი მოდის ბათუმში ესრეთ-წოდებული ნატრი, აუზებისათვის საჭირო პრტყელი რკინა ფურ-ცლებივითა, თუნუქა, აგური, გაკეთებული ისეთი თიხისაგან, რომ ცეცხლის შიში არ აქვს. აგრეთვე ცარიელი ბოჭკები. მეორეს მხრივ, ძალიან უკლეს ქვა-ნახშირის გაგზავნას ბათუმში, ცემენტისას, საკოლონიო საქონლისა და ფარჩეულობისასა. ამის მიზეზი ის არის, რომ რაც საზღვარ-გარეთიდან საქონელი მოდის, ყველაფერს ბაჟი უნდა გადახდეს. მაგრამ ბაჟიც ბაჟსა ქვიან. აქ ბაჟი დიდია დაწესებული. ამ ბაჟს ის დანიშნულება აქვს, რომ უცხო სამრეწველო საქონელი არ შემოუშვას ქვე-ყანაში და ამით ქვეყნის მრეწველობა განაკარგოს და გააძლიეროს, რომელიც ბაჟს აწესებს. 1885 წლის განმავლობაში უცხოეთის საქონელზე აღებულ იქნა ბაჟად სულ 48,253 გირვანქა სტერლინგი (თითო გირვანქა სტერლინგი 10 მანეთს უდრის) ანუ ნახევარ მილიონ მანეთამდე. 1884 წელს კი ბაჟი ფული მოავროვეს მხოლოდ 23,479 გირვ. 1885 წ. ბათუმიდამ გატანილი იქნა რუსეთის პორტებისათვის 43,480 ტონა საქონელი, ხოლო ბათუმში შემოტანილ იქნა 58,515“.

ქვანახშირის ზიდვას უმატნია უფრო რუსეთიდან: 1884 წელს შემოუტანიათ 1,912 ტონა, 1885 წელს კი 7,838. ცემენტის ზიდვასაც უმატნია ცოტაოდენად. შემდეგ პიკოვი ამბობს, რომ 1885 წ. უფრო ბლომად მოდიოდა გემები ბათუმში, ვიდრე 1884 წელსა, და რომ რადგანაც აქ ინგლისის ვაჭრები არ არიან, ნემეცებმა ჩაიგდეს ხელში ვაჭრობაც და ცხოვრებაცო.

„ვიდრე ამ ჩემს მოხსენებას გაავთავებდეთ, ბრძანებს ბატონი ვიცე-კონსული, მე გავბედავ და ვიტყვი, რა საქმეა აქ ვაჭრობაში დარცენილი კიდევ ისეთი, რომ შეიძლებოდეს კაცმა ხეირი ნახოს“. ჯერ ერთი, რომ შეიძლება ყველა ფირმებს ნავ-თის მოვაჭრეებისას კაცი შეებრძოდოს და ცილაობა გაუწიოს, მხოლოდ ეს არის, რომ ამისთვის საჭირო იქნება ნავთოსანის მიწების სყიდვა, აუზების დამართვა, ბა-ქოს მენავთებტან საქმის დაჭერა - ერთი სიტყვით, დიდი ფული უნდა.

„არის კიდევ სხვა საქმეები, საცა მაგოდენა დიდი ფული არ უნდა? ასეთი საქმეა: გამართვა საწყობისა და მაღაზიებისა და ყიდვა იმ საქონლისა, რომელიც აქ ძალიან საჭიროა, როგორც მაგალითად: რკინეული სანავთო აუზებისათვის, მი-ლები, თუნუქა, ნატრი, მაშინები, სხვადასხვა ფარჩეულობა და საქონელი. ხეირს მისცემს აგრეთვე გამართვა სახელოსნოსი, რომელსაც შეეძლოს შეკეთება გემებისა და მაშინებისა.

„რადგანაც ბათუმი შესანიშნავი პორტია ამიერკავკასიისა და ქარვასლასა-ვით არის ევროპისა და სპარსეთის გზაზედ და რადგან ბათუმში გამკვლელ-გამომ-ვლელთ რიცხვი უფრო და უფრო მატულობს, ამისათვის ფრიად საჭიროა კარგის სასტუმროების გამართვა მიმსვლელ-მომსვლელთათვის. მომეტებული ნაწილი აქაუ-რი სასტუმროებისა აქვს ფრანსიელებს, ან ურიებს და ყველანი დიდს მოგებაში არიან. მე არ ვიცი რატომ სხვა კი აღარ მოიგებს და გამდიდრდება, თუ ამ სასტუმ-როს გამართავდა აქ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ვინც კარგს, დიდკაცურად მოწ-ვობილს სასტუმროს გამართავს, გააკეთებს შიგ საბანებელს აუზებსა, წიგნისა და

გაზეთის საკითხავს ოთახებს და სხვა ამისთანა მოწყობილობას მოახერხებს, ის დიდძალ ფულს მოიგებს“. კარგი ხუროთ-მოძღვარი, გამოცდილი ამშენებელი სახელებისა, რომელსაც შეეძლება ან თავის ხარჯით ააშენოს სახლები ან პირობით სხვისთვის ააშენოს ხოლმე, დიდს ხეირსა ნახავს. აქ დიდი საშინელი ნაკლებობაა სახლებისა კერძო პირთა და ოჯახთათვის. რამდენისამე მთავრობის სახლს გარდა, აქ თითქმის სულ არ არის ისეთი სახლები, რომ შიგ ცხოვრება შეიძლებოდეს. რაც არის, ისიც საჩქაროდ არის ახუხულავებული, უგეგმოდა და ჰიგიენის მოთხოვნილებათა დაუცველად. ამასთანავე, ქირა სახლებისა მეტად დიდია. მაგალითად, ხუთი-ექვსი პატარა ოთახებიან სახლში იღებენ 700 და 1000 მანეთს წელიწადში. ამ გვარის სახლების აშენება პღირს ბათუმში 5,000 და 7,000 მანეთი. ბათუმში ნაღდი ფულიც ძალიან ცოტაა. ამის გამო აქ ერთი საქმე ჩნდება კიდევ ისეთი, რომ შეიძლება სახეიროდ გამოიყენოს კაცმა თავისი თანხა. ეს საქმე ბანკის გამართვაა. ფული ბათუმში ისე ცოტაა, რომ 12 და 18 პროცენტი ნასესხ ფულზე იაფ სარგებლად ითვლება. უფრო ხშირად კი ნასესხ ფულში 24 პროცენტზე მეტს იხდიან. არავითარი საქონელი არ მისცემს კაცს ისეთს სარგებელს, როგორც ნაღდი ფული. საბანკო საქმე აქ ყოველად უსვენდისო ჩარჩების ხელშია. ამისათვის მე სრულიად ეჭვი არა მაქვს, რომ საბანკო სახლი რომელსაც კავშირი ექნება ევროპის ფულიან ხალხთან, დიდ ხეირსა ჰნახავს ამ ქალაქში“.

გაზ. „ივერია“, 1886 წ. 19 აგვისტო, სამშაბათი, N 179

ბათუმში, 24 აგვისტოს. ბათუმშიაც შეირყა ჩვეულებრივი მყუდროება, სამი შესაზარი მკვლელობა მოხდა ზედიზედ. ერთს ავი ზნის ქალთა სახლში ერთმა დედაკაცმა დანით ყელი გამოსჭრა თავისსავე ამხანაგ ქაკს. მკვლელი დედაკაცი დაჭერილია. როგორც მითქმა-მოთქმაა, ეს საშინელი მკვლელობა გამოიწვია ფულმა, რომელიც საცოდავს მსხვერპლს დიდი ხნის განმავლობაში მოეგროვებინა, ამას წინათ ერთს ბათუმელს სასტუმროთაგანში ქეიფის დროს ერთს ბათუმელს, მაჰმადიან ქართველს და ერთს მდიდარს უცხოელ ვაჭარს ლაპარაკი მოსვლიათ ერთმანეთში, ლაპარაკი ბოლოს ჩხუბად თურმე გარდაიქცა და უცხოელმა ვაჭარმა მაჰმადიან ქართველს, ყადირ ეფენდის ჯოხი თურმე დაარტყა თავ-პირში. ყადირ ეფენდომ ესროლა თურმე რევილვერი და შიგ თეძოებში მოარტყა. ჭრილობა აღმოჩნდა სასიკვდილო, რის გამოც უცხოელი ვაჭარი გარდაიცვალა საშინელის ტანჯვით. ეს მკვლელიც დაატუსაღეს.

წასულ კვირაში კიდევ ერთი შემადრწუნებელი მკვლელობა მოხდა. ბათუმში სცხოვრობდნენ რამდენიმე ოსმალნი ათინიდან (დაბა ოსმალეთში). ამათს შეენიშნათ ერთის თავიანთ 18 წლის ახალგაზრდა ნაცნობისათვის, რომ 40 ლირა აქვს ჯიბეში. ყოველივე ჯიბიერიული ოსტატობა თურმე შეაღიეს ზედა, რომ ეს ფული ამოეცალათ ამ ყმაწვილისათვის, მაგრამ ვერ მოახერხეს. ბოლოს გაიტყუილეს ბათუმის გარეთ. ვითომ ყმაწვილი უნდა წაეყვანათ ერთს ნაცნობ კაცთან, რომელიც ბათუმის ახლოს ერთს აგურის ქარხანაში მუშაობდა. გზის შესამოკლებლად ახალგაზრდა ტყით უნდა გაეტარებინათ. შევიდნენ თუ არა ტყის პირში, ეცნენ და დანით ყელი გამოუღადრეს. მტარვალებს ფული ამოუცლიათ მკვდრისათვის და გვამი იქვე ჭაობში ჩაეფლათ. მეორე დღეს, საღამოს უამზე მკვდარს წააწყდა ვიღაც სალდათი, რომელმაც იქვე მყოფს საბაჟოს ყარაულს შეატყობინა. საბაჟოს ყარაულმა ატეხა თოფის სროლა, რითაც ყველამ შეიტყო რომ რაღაც არაჩვეულებრივი ამბავიაო. უცებ თავი მოიყარეს გამომძიებელმა, პოლიციის მოხელეთ კარდონის აფიცრებმა და სხ. გამოძიების დროს აღმოჩნდა, რომ უბედურს მსხვერპლს 18 ჭრილობა ჰქონდა ტანზე. ყელის გარდა მუცელიც გაჭრილი ჰქონდა. აქ გასაოცარი მხოლოდ ის არის, რატომ ვერ შეიტყო საბაჟოს მცველმა სალდათმა ეს საშინელი მკვლელობა, რომელიც იქვე, მის ახლოს, ოთხი ნაბიჯის მანძილზე, ჯაგებში მოხდა?

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ აქა, რომ ძალიან მარჯვედ მოიქცნენ მკვლელობის ძებნაში პოლიციის მოხელენი ბბ. ჯაიანი და დუხოვსკი, რომელთა

მეცადინეობით დღეს მართლ-მსაჯულების ხელთ არიან საშინელი მკვლელნი უბედურის 18 წლის ახალგაზრდისა.

ერთი საცინელი ამბავი მოხდა ამას წინად ბათუმის მახლობელ სოფელში: ოც-და-ათის ცხენისათვის მოუჭრიათ კუდები მესაცრე მაწანწალებს. არც ერთი ცხენის პატრონი აღარ ჯდება ცხენზე სირცხვილით. ძალის ძალად ცხენები იალაღზე გაუშვეს, დასუქდებიან, კარვია!

ხუმარა

გაზ. „ივერია“, 1886 წ. 28 აგვისტო, ხუთშაბათი, N 186

ნავთის გამყვანი მილი ბაქოდან ბათუმამდე

გაზ. „каспий“-ს დაუბეჭდია ის პირობანი, რა პირობითაც სახელმწიფო ქონების სამინისტროს შესაძლებლად უცნია, რომ ნება მისცეს რომელსამე კერძო საზოგადოებას ნავთის გამყვანი მილის გაკეთებისა კასპიისა და შავი ზღვის შუა. აი უმთავრესი პირობანი:

ნავთის გამყვანი მილის შემწეობით ნავთი იაფად და ბლომად უნდა იქნას გადატანილი შავი ზღვის ნაპირებზე, იქ უნდა შემუშავდეს და შემუშავებული უნდა გაიგზავნოს სამხრეთ რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ბაზრებზე. რადგან მილს ასეთი დანიშნულება ექნება, ამიტომ ამ მილით ნავთის გადატანა ყველას უნდა შეეძლოს. მილს უნდა შეეძლოს, რომ ყოველ წლივ, თუ საჭიროება იქნება, 40 მილიონი ფუთი ნავთი გადაიტანოს. როცა იმდენად ბევრი მსურველი იქმნება ნავთის გადატანისა, რომ წელიწადში ამ მილით გადაიტანენ 36 მილიონ ფუთს, მაშინ მილის გამყვანმა საზოგადოებამ მეორე მილიც უნდა გაიყვანოს. ფასი გადატანისა უნდა იყოს 11 კაპიკი ბაქოდან ბათუმამდე. სხვა-და-სხვა შუა სადგომზე ფასი დაიდება მანძილის მიხედვით და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის დამტკიცებით. საზოგადოებას ნება ექმნება 20 წლის ვადით ისარგებლოს მილითა. ვიდრე ეს ვადა არ გავა, სხვა საზოგადოებას და კერძო პირს ნება არ ექმნება გამართოს მეორე ნავთის გამყვანი მილი. საზოგადოება ვალდებულია აძლიოს მთავრობას თითო ფუთს გადატანილს ნავთზე ნახევარი კაპიკი, როცა წელიწადში 30 მილიონზე ნაკლები არ იქნება. საზოგადოება ვალდებულია ამ საქმისათვის მიღები შეუკვეთოს რუსეთის ქარხნებსაო და ყველა საჭირო მასალაც რუსული მასალა უნდა იყოს. საზოგადოებას ნება აქვს შეისყიდოს კერძო მამული, რომელიც საჭირო იქნება მილის გაყვანისთვისაო. მიღმა უნდა გაიტანოს ზოლი მიწისა სულ ოთხის საყენის საგნისაო, ხოლო სხვა-და-სხვა სადგურთა და შენობათათვის საჭირო იქნება შესასყიდათ სულ 100 დღიური მიწაო.

გაზ. „ივერია“, 1886, 6 სექტემბერი, შაბათი, N 191

ბათუმი, ენკენის თვის 15. სადღაა ის მოძრაობა, ჟივილ-კივილი, რომელიც აქ იყო, როცა ბათუმი, ეს საოცნებო კალიფორნია, პორტო-ფრანკოდ ითვლებოდა. დღეს ყველას თავ-პირი ცჩამოსტირის, ყურები ჩამოყურია, ბევრიც გაემგზავრა აქედგან ბედ-იღბალის საცდელად სხვა-დასხვა მხრისაკენ. ქესატობას ხომ ნუღარ ბრძანებთ. რუსეთის ვაჭრები აპირებენ აქ მოსვლასაო, მაგრამ არც ეს არის დიდი ნუგეში აქ საყოველთაო კოტრობის დროს. იმათ ლოდინით თავს ნურავინ შეიწუხებს. ხომ მოგეხსენებათ ქართული ანდაზა „წყალ-წადებული ხავსს ეჭიდებოდაო“. ისევ როტშილდილა დარჩა სანუგეშოდ. ჯერ კიდევ არაფერია, მოვითმენთ ამ ყოფას, მაგრამ თუ ბაქოდამ ნავთის მილები გამოიყვანეს ბათუმში, მაშინ მშვიდობით დროგებო და მედროგებო! რამდენი სული მუშა დარჩება მაშინ ულუკმა-პუროდ, სათქმელადაც ძნელია. ზოგან მილები, ზოგან კიდევ მაშინები. რა ჰქნას მუშახელმა, როგორ შეთოკოს მუშამ ეს ცივილიზაციის ნიაღვარი!

მაინც საშინელი გვაღვიანი წელიწადია წლეგანდელი წელიწადი. ეს სოვდაგრები კიდევ ჰო, აქვთ მათ სადარდებელი და საანგარიშო საგნები, მაგრამ ამ ჩვენს

განსწავლულ ხალხს რაღა ემართება? ისე დაიგვალვა ეს წელიწადი საზოგადოებისა წელსა, რომ არც თუ წერას, ლაპარაკსაც ვეღარ ახერხებს. ამგვარად დასუსტულნი ადამიანის შვილები არ მინახავს.

ბათუმის ახლო მახლო სოფლებებს გამოუცხადეს, რომ პირდაპირ რომ ერთი ტყიანი მთა არისო, ის მთა საზაფხულო აგარაკად უნდა გაკეთდესო. მთის ძირიდან მოკიდებული მთის წვერამდის გზა უნდა გაიყვანოთო. მაჰმადიან ქართველებმა მოახსენეს, რომ ხუთის საათის სავალ გზას ჩვენ გავაკეთებთო. თუ აგარაკი გინდათ, მიწის მზომელები მოიყვანეთ, იანგარიშეთ ეს უშველებელი გზა რა დაჯდებაო, ყველამ გამოიღოს ფული და მაშინ ჩვენც მოგართმევთ ხვედრს ფულსაო. როგორ გათავდება საქმე, ჯერ-ჯერობით არ ვიცით. ართვინელებსა და ზოგადად ლივანა-მაჭახლელებს ოსმალეთში გაუგზავნიათ დელეგატები, იმის გასაგებლად, თუ რა გზით და როგორ შეიძლება მოხერხდეს საყოველთაო გარდასახლება ამ კუთხის მაჰმადიანებისა

ბათუმში ერთადერთი ტან-საბანებელი არის გამართული ზღვის პირად, სადაც მთელი ბათუმის ხალხი ბანაობს ზაფხულობით. საკვირველია, ღმერთმანი რომ აქამდის ამ ადგილას არავითარი შესაბამისი მოწყობილობა არ არის, რომ უბედურ შემთხვევისაგან კაცი დაიხსნან. ამას წინად, აქ ბანაობის დროს ერთი გურული დაირჩო ზღვაში ისე „ნანაჯოგიანათ“ დაიკარგა, რომ გეშსაც ვეღარ მიაგნეს. რამდენიმე დღის შემდეგ თვით ზღვამ ამოაგდო დასახიჩრებული გვამი უბედურის გურულისა. წასულ კვირას კიდევ ერთი სომეხი დაირჩო. ეს კიდევ სწორედ უპატრონობის მსხვერპლი შეიქმნა. ათის წამის შემდეგ გამოათრიეს საწყალი წელიდგან. ქალი, კაცი, დიდი, პატარა თავს დაედვნენ საწყალს, ყველა ღონისძიება იხმარეს, რაც კი შეიძლებოდა ხელ-და-ხელ რიყესე, მაგრამ ვერ მოიყვანეს გრძობაში, შენ არ მომიკვდე! ნახევარ საათის უკან მოვიდა პოლიციის მოხელე ამალით და დროვით გვამის წასაღებად. მერე ექიმიც მოვიდა, რომელმაც სთქვა, რომ გვამი ჯერ ისევ თბილიაო, მაგრამ გვიანდააო. საწყალს სომეხს რიყეზე ყოველივე ნიშნები სიცოცხლისა ეტყობოდა, მაგრამ უპატრონობის გამო გამოესალმა წუთის სოფელს.

„ნურიის“ თავში კარგი ქუნა გაიყვანეს, მაგრამ ფარნები კი არ ანთია ჯერა. ფარნებს თავი დავანებოთ, ერთი პოლიციელიც არ არის ამ ქუნაზე, როდესაც ძალიან საჭიროება მოითხოვს, რომ ამ ყოველს დამეს იდგეს პოლიციელი. ახლა აქ ბევრი ბოროტმოქმედება შეიძლება მოხდეს.

გაზ. „ივერია“, 1886 წ. 23 სექტემბერი, N 205. სამშაბათი

მოწერილი ამბავი

ბათუმი, 29 იანვარს, როგორც მოგახსენეთ, ბათუმი მიდის წინ. დახე დროთა ბრუნვას: გუშინწინ თავისთვის მივარდნილი, მიყუჩებული ბათუმი, „აზიური ქალაქი“, დღეს ევროპის ქალაქად ავადიქცა, გაევროპულდა! საზოგადოებრივი მოქალაქობა, საზოგადო მიმართულება ცხოვრებისა დვთის წინაშე აქ არ დადუმებულა, არ დადინჯებულა, არ დალაგებულა. მოქალაქეობრივი ცხოვრება ბათუმში ნენ-ნელა ხორცს იხსამს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ბათუმის ზოგიერთა ვდაწესებულეობათ, არ შეიძლება ცოტად თუ ბევრად წუნი არ დასდოს მეთვალყურემ. ვიმეორებ, ეს იქიდგან წარმოსდგება, რომ დროა საჭირო ფეხი მოიკიდოს ახალს შემოერთებულს ქვეყანაში ახალმა წესმა ცხოვრებისამ, რომელიც უნდა აღმოცენარდეს ძველის ნანგრევებზე. ეს ბუნებრივი კანონია, რომლის გადაბიჯება არავის არ შეუძლიან.

ბათუმსა აქვს წლიური შემოსავალი 80,000 მანათზე მეტი. ამ შემოსავლის რაოდენობა ყოველს წელს კმატულობს. ბათუმის მთავრობა ჯერ-ჯერობით აი რა შედავათს აძლევს ახალ აშენებულს სახლების და დუქნების მეპატრონეებს: არც დუქნებში და არც სახლებში სამი წლის განმავლობაში მეპატრონეებს ქალაქის სასარგებლოდ არავითარსამე გადასახადს არ ართმევენ. ამგვარის შედავათის დასრულებისა დუქნებმა და სახლებმა საზოგადოსამებრ უნდა აძლიონ წლიური გარდასა-

ხადი; რასაკვირველია მოემატება ქალაქის შემოსავალს, რადგანაც ამ გვარი შენობანი ერთი და ორი არ არის, არამედ მრავალი. ამ პატარა ქალაქს ამოდენა შემოსავალი აქვს - მაგრამ თვითმმართველობა ქალაქისა კი ჯერ არ არსებობს აქა. როცა ამგვარი დაწესებულება არა აქვს ქალაქსა, მაშინ ქალაქის შინაური საქმეები პოლიციის ხელშია. პოლიცია და ქალაქის თვით-მმართველობა ისეთ დაწესებულებანი არიან, რომელთაც აბარიათ ქალაქის საზოგადო შინაური ცხოვრების გამართვა და მწესვა. პოლიცია არის გუშაგი საზოგადო მყუდროებისა, თვით-მმართველობა კი დიასახლისია ქალაქის ცხოვრებისა. როგორც ერთისა, ისე მეორის მოვალეობა მძიმე და რთულია. იქამდის რთულია ორივე მოვალეობა რომ ერთსა და იმავე დაწესებულებას არ შეუძლიან თავს იდოს და აუვიდეს ამგვარ საქმეებს. ამიტომაც ვხედავთ, რომ ყველა კეთილ განწყობილის და დალაგებული ცხოვრების მქონებელს ქალაქს ეს ორი დაწესებულება ერთი ერთმანეთისაგან განუცალკევების და განსაკუთრებულ დაწესებულებათ გაუხდია.. ბათუმი ჯერ არ ჰღირსებია ამ კეთილის და სასარგებლო ცხოვრების მოწყობილობას. დღეს ერთიცა და მეორე მოვალეობაც ბათუმს პოლიცია ხელშია. რაიცა უნდა სამაგალითო და ფიცხელი პოლიცია იყოს, მაინც ვერ აუვა ამდენს საქმეებს და სანატრელად ვერ წაიყვანს ქალაქის შინაურს საქმეებს...

დღეს უკვე კანონად აღიარებულია,, რომ ქალაქის მიერ ინიშნებიან დამფასებლებიც. ამათი მოვალეობაა უანგაროდ და გულ-წრფელად ემსახურონ ქალაქის ინტერესებს, საზოგადო სარგებლობას. ყოველ წელს იცვლებიან ეს წარმომადგენელნი, მაგრამ აგერ, რამდენიმე ხანია, რაცერთი და იგივე დეპუტატები დამფასებლებითურთ არ გამოუცვლიათ. დაფასების შესახებ ერთი საკვირველი ამბავი მოხდა აქ ამას წინად, მერჯან აღის მამული დასჭირდა რკინის გზის საზოგადოებას, რომელსაც უეჭველად უნდა შეესყიდნა. ოთხკუთხიანი საუენი დააფასეს 145 მანეთათ. როდესაც არ შეიწყნარეს ეს დაფასება და დაუბრუნეს ხელმეორედ დასაფასებლად, დამფასებლებმა იგივე მამული დააფასეს 110 მანეთად!

ერთ გარემოებასაც ვერ დაუმალავ მკითხველს. ამ გარემოებებით მოეფინება დიდების სხივი „დეპუტატების“ უანგარო მოქმედებას საზოგადოებრივს ახპარეზზე. ზღვის პირას, ვისაც ადგილები ჰქონდათ, მმართველობამ მეპატრონეებს ჩამოართვა, რადგანაც ეს მამულები სახელმწიფოს საჭიროებისათვის იყვნენ გამოსადეგნი. ამ მამულების მეპატრონეებს მმართველობა აძლევს ან საფასურს, ან ისევ მამულს სხვა ნაწილში. ამ გვარი ადგილები ჩვენს „დეპუტატებსაც“ ჰქონდა „აზიზიაში“, ქალაქის საუკეთესო ნაწილში, იყო ერთი ვცალიერი მოედანი. ეს მოედანი დღეს ნაკუწ-ნაკუწებად დასჭრეს და დაარბიეს. როგორ მოხდა ესა, ღმერთმა იცის, მაგრამ ესე კია საქმე! დღეს ქალაქს მოედნები აღარ აქვს!!

სასურველი იქნებოდა, რომ ქალაქში მალე დაწესებულიყოს თვით-მმართველობა. მარტო მას შეუძლიან ჭორების მდინარეობა სათავეშივე მოსწყვიტოს.

ბათუმის ინტელიგენციის თაოსნობით იქნება გამართული წარმოდგენა ამ ცოტა ხანში, ბათუმში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ.

ხუმარა

გაზეთი „ივერია, იანვარი 31, პარასკევი N 24, 1886 წელი

დაბა და სოფელი

ბათუმი. დაბა-სოფლის მეთვალყურის მოვალეობაა, თვალ-ყური ადევნოს ერთ-გვარად მომდინარე ცხოვრების ტრიალს თავის გარშემო. მოგეხსენებათ, რომ ამ ცხოვრების ბორბალი ყოველთვის წადმა არა ტრიალობს, ხან უკუდმაც იცის გადატრიალება. ორსავე შემთხვევის აღნიშვნა, ჯეროვანის სიმართლით და გაუზვიადებლივ, აი ჩემი მოვალეობა. მე მაქვს საქმე საქმესთან და კაცის პირადობის შეხეზიდვან ისე შორსა ვარ, როგორც მზე დედა-მიწიდვან... რადგანაც ხანდაზმით უნდა ვავეუწყო ხოლმე ყოველი მომხდარი და ყოფილი ჩვენის ცხოვრების მეთაურს, გაზეთს, ამიტომ ჯერ საჭიროდ ვრაცხ, - მკითხველს დავუხატი, გარეგანი სურათი იმ ადგილისა, სადაც ბედმა მარგუნა ყოფნა.

ბათუმი სამაზრო ქალაქია ძველებურის მესხეთისა და ეხლანდელის ბათუმის მაზრისა. ამ ქვეყნის გული იყო და არის ბათუმი. აქ ხშირად ნახავთ მესხელებს, რომელნიც თვალ-ტანადობით, სახით, სიტყვა-პასუხით იგივე ქართველები არიან, როგორც გურულები. დიად, იგივე გურულები არიან, რადგანაც ეს მხარე გურიის მონაჭერი მხარეა. უნებურად გული მოსდის მაყურებელს უღმობელს დროთა ბრუნვაზე, რომელმაც მოსწყვიტა საქართველოს თათრებმა - აქეთ ეს მხარე, იქით ალბანია, სახელ-განთქმული საინგილო! სასიამოვნო სანახავია, როცა აჭარელი ასევე ლაპარაკობს მის ბუნებრივს ქართულს ენაზე, როგორც მე-17 საუკუნის წინად.

ბათუმი პორტო-ფრანკოა, ისეთი ქალაქი, სადაც უბაჟოდ ყოველისფერს შეიტან, მხოლოდ იქიდან თუ გამოიტან, ბაჟი უნდა მისცე. ძალიან შეავიწროვა ხალხი ამგვარმა საქმის მდგომარეობამ. ეს არის მიზეზი, რომ ბათუმის მაზრამ მიართვა არზა უმაღლესს მთავრობას, რომ პორტო-ფრანკო მოისპოს. ვიცით გაზეთებიდან, რომ ამ საქმის გარემოება წარდგენილია სახელმწიფო რჩევაში გასარჩევად. უეჭველია უმაღლესი მთავრობა ხალხის სურვილს პატივსა ჰცემს. მაშინ მთავრობას ექმნება საქმე პირ-და-პირ უცხოელთა სოვდაგრებთან, რომელთაც თვითონ გადაახდენინებს ბაჟსა.

დღითი დღე იზრდება ბათუმი. ვისაც ეს ქალაქი უნახავს რამდენიმე ხნის წინედ, დღეს რომ მობრძანდეს აქა, სრულებით ვეღარ იცნობს ქალაქსა.. ძნელადღა ნახავთ ცარიელს ადგილს აქა, გარდა იმ აქ-იქ სადავო მამულებისა, რომელნიც ცარიელნი ყრიან: სოკოსავით ამოდიან სახლები, და აშენების უმაღლე ქირით იჭერენ. გასაოცარს ფასს აძლევენ სადგურებში. დროა, მაზანდაა ასეთი. ამისო ბათუმი მთელის მიღეთის ხალხით. დიდი მუშაობა, მოძრაობაა. აქ ნავთის ქარხნები, იქ სამხედრო სიმაგრეები, აქ ნავთ-საყუდელის გასაკეთებლად გაცხარებული მუშაობა, იქ კასრების ქარხანა და სხ. ყველა ესენი ისეთი რთული საქმეებია, რომელიც ათასობით თხოულობს თუ მუშას, თუ ხელოსანს, თუ გამგებელს, თუ მორიგეს და ბევრი სხვანი. ამ გარემოებამ ასწია ფასები, არა მარტო სადგურებზე, - საჭმელ-სასმელზედაცარც ეს უკანასკნელია იაფად. ასეა თუ ისე, ბათუმი კი საათობით იზრდება და აძლევს ლუკმას ყველას, ვინც ხელს ანძრევს.

ბათუმი შემოზღუდული მთებით და ზღვით, ერთი საუკეთესო ზღვისპირა ქალაქთაგანია. ამ სიკეთეში ბევრი წილი უდევს მდებარეობასა და ჰავას. შავი ზღვა, რომლის ნაპირზედაც მდებარეობს ბათუმი, ზაფხულში აგრილებს ბათუმის არემარეს, ზამთარში ათბობს. ეს, როგორც მოგეხსენებათ, საზიგადო მოვლენაა, თვისებაა ზღვისა. ბათუმის ახლო-მახლო ბლომადა არის მშვენიერი სააგარაკო ადგილები რკინის წყლებით. - ამას რომ მიუმატოთ ის მთები, და დედეები, რომელიც ბათუმს სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ არტყია, მაშინ ხომ უფრო დაფერადდება ისედაც კოპწია ბათუმი. ერთმა რუსულის გაზეთის კორესპონდენტმა ბათუმი შეადარა ნიც-ცას და სთქვა, რომ ჯან-მრთელობისთვის ბათუმი მეორე ნიცცა იქნება.

თავის დროზე რომ ბათუმი ნიცცა იქნება, ამას მე ვერ ვიტყვი, მაგრამ დღეს რომ ბათუმი შეუფარდოთ ნიცცას, ამ „ჯანაოზს“, ეს, სხვა რომ არა იყოს რა, ბათუმის მდებარეობის და მისი სანიტარული მდგომარეობის უცოდინრობაში ჩამოგ-

ვერთმევა. ბათუმში, სიმაღლე ითხოვს, ვსთქვათ, მხოლოდ ერთი ნაწილია სუფთად, ჰიგიენურად მოწყობილი. ეს ვეროპიული ნაწილია ქალაქისა და სახელად „აზიზი“ ჰქვია. იმ კორესპონდენტს რომ „ნურია“ ენახა თავისის დამპალის ტბით, ჯაიანის საღორით, გაბრიელას ბოსლით, მედროვეთა საჯინბოებით, და სამხრეთის მხარეზე ბათუმიდგან ჩაყვითლებული ჭაობები, მაშინ ნიცცა კი არა, კოხი და სოფერის მიკრობები მოელანდებოდნენ თვალებში!

სამხრეთით ბათუმს არტყია კარგა ბლომად მანძილზედ ჭაობები. როგორც ყველგან და ყოველთვის, ისეც აქ ეს ჭაობები სავსენი არიან მიაზმებით, რომელნიც სწამლავენ ბათუმის ჰაერს. თუმცა მმართველობამ დიდი ყურადღება მიაქცია ამ ჭაობებს, საიდანაც ზღვამდინ გაიყვანა არხი, მაგრამ დროა საჭირო, რომ სულ დაიწრიტნენ და დაშრნენ ივინი. ოდესმე დაშრებიან ეს ჭაობები, მაგრამ დღეს - კი ისეთ შენელებულს და შეზავებულს ჰაერს სთავაზობენ ჩვენს ფილტვებს, რომ ღმერთმა თქვენ მტერს.

„ნურიის“ ტბა, უიმისოდაც დამპალი წყლითაა სავსე, ივსება ატოსავგარი ბინძურებით. აქვე ბატონს ჯაიანს გაუკეთების საღორე, სადაც შუა ქალაქში ღორებს აბუნავებს. საჯინბოები არ იწმინდება, გაბრიელის ნახირი ხომ უარესს სჩადის. გაბრიელიც დამიჯერებს და ბატონი ჯაიანიც, რომ საზოგადო ჯან-მრთელობის დასაცავად უმჯობესი იქნებოდა პირველის ბოსელი და მეორის საღორე ქალაქს გარეთ ყოფილიყვნენ გაკეთებულნი. პირველს ბევრი ნახირი მისცეს ღმერთმა, მეორეს კი ტახები, მაგრამ ჩვენი სიმრთელის მავნებელი ნურც ნახირი და ნურც ტახები ნუ იქნებიან. შარშან პოლიცია ქუჩებში ღორებს არ ატარებდა და წელს კი არხეინად დასეირნობენ იგივე ღორები ქუჩებში. „პატენტანი“ ღორები არიანო, მოგასხენებენ! „ნურიის“ ტბასაც მიაქცია მთავრობამ ყურადღება. ვიდაც პასეკი კისრულობს ამ მავნებელი გუბის დაშრობასაო. იმედია თავის დროზე ყოველივე ზევით ნათქვამი გარემოება, რომელიც საშიშია საზიგადოებრივის ჯან-მრთელობისათვის, მოისპობა. აბა მაშინ იქნება ბათუმი ნიცცაც და კარსლბადიც.

ბათუმი სხვაფრივაცაა შესანიშნავი. მის გარშემო ბუნებას თითქო განვებ გაუკეთებიაო ყოველ ნაბიჯის გადადგამაზე სიმაგრეები. მოიგონეთ ძველებური ქაჯეთის ციხე! სამხრეთ-აღმოსავლეთით ბათუმს იმდენი „ქაჯური“ ციხეები არტყია თვით ბუნებისგან აშენებულნი, რომ ბატუმს მართლა ქაჯებიც ვერას დააკლებენ. ბათუმის ნავთ-საყუდელი? - ეს ხომ უმშვენიერესი რამ არის: მყუდრო, განიერი, ღრმა. როცა გაშლილი ზღვა დაჭრილ ნადირსავით ღრიალებს და საზარლად გრგვინავს, მაშინ ნავთ-საყუდელი, თითქოს დასცინის ზღვასაო, ნენ-ნელა ათამაშებს ორთქლის მატარებლებს და აფრიან გემებს! ის ბათუმი, რომელიც ამ ათი წლის წინედ ირგვლივ ატეხილის ჯაგნართ იყო შემოსილი, სადაც მხოლოდ ერთ ნაწილში ატუხულიყო ორიოდე სახლი, დღეს სამხედრო, საკომერციო და ჯანაოზ ქალაქად გარდაიქცა! ვინ მოიფიქრებდა ამას ამ თხუთმეტი წლის წინედ? დღეს ქალაქის ბალი და რამდენიმესართულიანი სახლებია გადაჭიმული.

ბათუმში ადგილობრივ მცხოვრებლებად ითვლებიან მაჰმადიანი ქართველები, ბერძნები, სომხები და რამდენიმე კვამლი ქართველი კათოლიკენი. დანაჩენები ყველა მოსულეები არიან. აქაურ მკვიდრთა შორის მაჰმადიანნი-ქართველნი ყველაზე უფრო დაჩაგრულებათ სთვლიან თავსა. ეს ადგილი წარმოსადგენია. ახალ ცხოვრებას, ახალს კანონებს ადრე შეჩვევიან ცხოვრების აღიარებულს და გახელმწიფებულს მიმართულებას, ივინი ყოველთვის უკან ჩამორჩებიან ცხოვრების მიმდინარეობას. დრო მოვა, რომ ისინიც შევლენ საზოგადო ცხოვრების მორევეში. ბათუმში არის საქაქო სასწავლებელი, ქალების პროფესიონალური სკოლა, ბერძნების სკოლა და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სასწავლებელი. არის ორი მედრესე, ე.ი. მაჰმადიანური სკოლები.

ხუმარა

ივერია, 1886 წელი, იანვარი 16, ხუთშაბათი, N 11

საარქივო მასალები

სომხეთის ეროვნული არქივი ფონდი 69, ან. 1 თბილისის სასამართლო პალატა

მკითხველს ვთავაზობთ სომხეთის ეროვნულ არქივში, კერძოდ თბილისის სასამართლო პალატის ფონდში დაცულ დოკუმენტურ მასალებს, რომლებიც სხვადასხვა ასპექტით დაკავშირებულია ქართველებთან. ეს დოკუმენტები თარგმნა, შეისწავლა და ჩამოიტანა პროფესორმა თამაზ ფუტკარაძემ 2021 წლის სექტემბერში. წინამდებარე ნომერში წარმოდგენილია ამ დოკუმენტების მოკლე შინაარსი.

საქმე N 88.

ომანაშვილის სასჯელთან დაკავშირებით აღსრულების ხელიდან გაშვების შესახებ

ზაქარია ომანაშვილი გაასამართლეს 1898 წ. 18 მარტს, ქურდობაზე. მიესაჯა 4 თვით პატიმრობა სიღნაღის ციხეში, მაგრამ იგი დროზე ადრე გაათავისუფლეს (ფურც.1, 2)

საქმე N 114

არონიშვილის საქმე სახაზინო ფულის მითვისებასთან დაკავშირებით (აღექსანდრეპოლის მეორე უბნის პოლიციის პრისტავი 1903 - 04 წწ. (საქმე 250 ფურცლიანი))

საქმეში ნათქვამია, რომ ჩატარდა რევიზია მეორე უბნის პრისტავის საქმეზე. შემოსავალი დაფიქსირდა 3373 მანეთისა და 42 კაპიკის ოდენობით, რომელიც არ ჩანს. შეივსო 1064,27 მანეთით (ფურც. 22). საქმეში არის დაკითხვის ოქმი, 1904 წწ. 2 ივნისისა. ირკვევა, რომ ივანე ანტონის ძე არონიშიძე 35 წლის, დაბადებული ოზურგეთში (ქუთაისის გუბერნია), ჩაწერილია აღექსანდრეპოლში, არის დიდგვაროვანი, მართლმადიდებელი, თბილისის სამასავლებლო სასწავლებლის კურსდამთავრებული, ცოლ-შვილიანი (ქალ-ვაჟი), არ გააჩნია ქონება, არ ყოფილა ნასამართლელი

საქმე N 121

აქაც აროშენიძის საქმეა, საუბარია საბრალდებლო დასკვნაზე, რომ 1905 წ. 23 მარტს მის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ერევნის გუბერნიის სახალხო სასწავლებლის დირექტორმა 1903 წ. 13 მარტს მიმართა პრისტავ აროშენიძეს თხოვნით, მიეცა მიწის ნაკვეთი იჯარით სავაჭრო ობიექტისათვის - მიწა „პეროი ჩაციატი“, რომელიც ეკუთვნოდა დიდი არიხვალინსკის სასწავლებელს. საიჯარო თანხას შეიტანდნენ სახელმწიფო საღაროში დასახელებული სასწავლებლისათვის. აროშენიძემ მისცა იჯარით მღვდელ ტერ ათანესიანს, რისთვისაც მიიღო 88 მანეთი და მისცა შესაბამისი ხელწერილი 1903 წ. 2 აპრილს, მაგრამ თანხა არ წარადგინა დანიშნულების მიხედვით (ფურც. 2). მაგრამ არონიშიძე აღნიშნავს, რომ მან მართლაც გასცა მიწა იჯარით 88 მანეთად და ეს თანხა არაა აღრიცხული ჟურნალში, რადგან მიწის გაცემა მოხდა როგორც კერძო ვითარებაში. სახალხო სასწავლებლის დირექტორის ვორობიოვის ოფიციალური წინადადება იყო მხოლოდ ამ ვაჭრობის შემდეგ (ე.ი. გვიან, თ. ფ.) მაგრამ საქმის მასალებით აროშენიძის ეს ჩვენება არ დასტურდება. მან მითვისა 88 მანეთი, რაც ითვალისწინებს სასჯელს 354 და 358 მუხლებით. მოწმე ტერ ათანესიანცი. 31 აგვისტო, 1905 (ფურც. 3)

მიესაჯა 8 თვით პატიმრობა, 176 მანეთის გადახდა, თუმცა გაათავისუფლეს თანხის გადახდისაგან 1905 წ. მანიფესტის საფუძველზე

უფლებებისა და ჩინების ჩამორთმევაზე საკითხი განსახილველად გაეგზავნოს იუსტიციის სამინისტროს (განაჩენი არის 25-28 ფურცლებზე).

სასამართლო სხდომის თავმჯდომარე ა ჩეხოვსკი, წევრები: ა. კოლოკოვი და მ. გეგიძე. მდივნის თანაშემწე ვ. კლემენტოვი

საქმე N 115

დავითაიას და ბახტაძის საქმეები ძალაუფლების გადამეტებაზე, 1904 წ. (7 ფურცლიანი)

საქმეშია თბილისის სასამართლო პალატის რაპორტი (ფურც.1), ასევე 1904 წ. 22 თებერვლის სასამართლო სხდომის განაჩენი. თავმჯდომარე ი. უტნელოვი, პალატის წევრები: მ. ნიკოლსკი, ა. სკულსკარი. მდივანი მ. მუედლოვი. პოლიციის პრისტავის მოვალეობის შემსრულებელია ვლადიმერ დავითაია ნოვობაიაზეთის უეზდის N 2 უბანში. 37 წლის. 1904 წ. 27-28 დეკემბერს სოფ. კარანდიგში - ერევნის გუბერნიის ნოვობაიაზეთის უეზდი - აწარმოებდა პოლიციის პრისტავ ბახტაძეზე თავდასხმისა და მკვლელობის საქმეს. მიზნის მიღწევისათვის ცდილობდა მიეღწია ამ სოფელი სერგო კრიკოროვისა და ერვანდა გეორქოვისგან ჩვენებას-მკვლელთა ვინაობის დასასდგენად. დიდხანს იყენებდა წამების მეთოდებს, სისასტიკეს, ცემდა მუშტებით, ფეხებით, სკამებით. სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა სოფლის სხვა მცხოვრებლებსაც (ფურც. 2).

დავითაია თავს დამნაშავედ არ თვლის. მან ახსნა წინასწარი ძიების შედეგები, რომ ძიებისას ბახტაძეზე თავდასხმასთან დაკავშირებით აპეტნაკ ავეტესოვმა შესთავაზა ქრთამი, რაზეც მან უარი უთხრა, რომ ავეტესოვი მდიდარი და გავლენიანი პირია, შეუძლია ცრუმოწმეების მონახვა.

მაგრამ დავითაიას დანაშაული დამტკიცებულია. მას მიესაჯა პატიმრობა 2 კვირით აგაბეკ ავოევის, არზუმან საგოიანცის და სხვების შეურაცხყოფისათვის (ფურც. 4)

საქმე N 126.

ლაშხაურის საქმე უფლებამოსილების გადამეტებაზე (3 ფურცელი)

არის განაჩენი სასამართლო პალატის. თავმჯდომარე ი. რიშავი, წევრები: ვ. ბოლდირევი,

პ. ლაშხაური ვეტეჟიმი, 33 წლის

საქმე N 129. კალანდარიშვილის საქმე, რომელმაც არ შეასრულა უეზდის ნაცალნიკის მოთხოვნები. 1907 წელი (57 ფურცლიანი საქმე)

სოფ. კარაკლისის პირველი საუბნო პოლიციის პრისტავმა არაკლისის საფოსტო -სატელეგრაფო კანტორის დაცვის დაყენებისათვის არაფერი გააკეთა. პრისტავი აღნიშნავს, რომ კანტორას იცავდნენ სტრაჟნიკები. მხედველობაში ჰქონდა პოლიციის დაცვის რეზერვის იქ ყოფნა, კანტორის ეზოში, მაგრამ არ მიუღია ნებართვა კანტორის ნაჩალნიკისაგან დაეყენებინა შიგა დაცვა, რომელიც პრისტავმა გააგზავნა შემოვლაზე. ამ დროს, 2-3 აპრილის დამეს დააყჩაღეს კანტორა (ფურც. 2). რეალურად კანტორას არც სტრაჟნიკები იცავდნენ, ე.ი. უეზდის ნაჩალნიკის ბრძანების მიუხედავად არ იქნა დანიშნული დაცვა.

საქმე N 137.

ხედგენიძის საქმე ფულის უკანონოდ მითვისებასთან დაკავშირებით, 1908 წელი (279 ფურცლიანი)

ხედგენიძე ბაგრატ ალექსანდრეს ძე, ტიტულიანი მრჩეველი, შარურო-დარარა-ლეგზსკის უეზდის ყოფილი ნაჩალნიკი. დაიბადა 1863 წ. 11 იანვარს. მართლმადიდებელი. დაჯილდოებულია წმ. ანას მესამე ხარისხის, წმ. სტანისლავის მესამე ხა-

რისხის ორდენებით, იმპერატორ ალექსანდრე მესამის მეფობისას ვერცხლის მედლით. სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. მეოთხე კლასიდან გაუშვეს. 1891 წ. 18 დეკემბერს, N 38 ბრძანებით კავკასიის სახალხო - სამხედრო სამმართველოს ბრძანებით გადაჰყავთ ყარსის ოლქში, 1894 წ. კი შურაგელსკის საუბნო მმართველობაში „პისმოვოდიტელად“.

ცოლი - თბილისელი არტემ ბაგინოვის ქალი სოფიო. შვილები: ირაკლი 1887, ვახტანგი - 1889, შალვა - 1890. ცოლი გრიგორიანელია, შვილები მართლმადიდებლები (ფურც.18-19). თანამდებობიდან გაათავისუფლეს 1896 წ. 22 აპრილს ყარსის პოლიციის ოფიცრად დანიშვნის გამო. 1901 წ. 30 სექტემბერის ბრძანებით დროებით ასრულებს ყარსის პოლიცმეისტერის თანაშემწის მოვალეობას. 1902 წ. 17 თებერვალს დაინიშნა შურაგელსკის უბანში (ყარსის ოლქი) შემსრულებელ თანამდებობაზე. 1903 წლიდან თბილისის პრისტავია (ფურც. 22), შემდეგ, 1906 წ. დაინიშნა შარურო-დარალაგეხსკის უეზდის ნაჩალნიკად, საიდანაც გაათავისუფლეს 1908 წ.19 მარტს, მის წინააღმდეგ სასამართლო საქმის წარმოების გამო (ფურც. 23)

საქმე N 145

ალექსანდროპოლის უეზდის ნაჩალნიკ ტყემელაძის საქმე (1909-10 წწ), (72 ფურცლიანი)

1908 წ. 19 სექტემბერს მწყემსები აძოვებდნენ საქონელს ყურბოლაზის საძოვრებზე. მათ თავს დაესხა 4 შეიარაღებული პირი. მათგან ერთმა დააკავა მწყემსი ხასან აჯიოღლი. წაართვეს 3 ხარი და 3 ძროხა. მეორე მწყემსი გაიქცა და სოფელს შეატყობინა. ხალხი შეიკრიბა. ბოროტმოქმედმა ორჯერ გაისროლა. ბოროტმოქმედად აღიარეს კურსადელი გლეხი თავი მემედოღლი (ფურც. 12)

დაიწერა განცხადება პრისტავ ტყემელაძის სახელზე 1908 წ. 29 სექტემბერს, მაგრამ საქმის სერიოზულობის მიუხედავად ტყემელაძემ არ მიიღო ზომები ბოროტმოქმედთა მოსაძებნად და საქონლის დასაბრუნებლად. ამიტომ, დაზარალებულებმა დაწერეს თხოვნა ერევნის დროებითი გენერალ-გუბერნატორის სახელზე. თავა მემედოღლი დაიჭირეს. დანარჩენი სამის ადგილსამყოფელი უცნობია (ფურც. 12)

განაჩენი: ერევნის გუბერნიის სურმალინსკის უეზდის ყოფილ ნაჩალნიკს ტყემელაძეს (45 წლის) გამოეცხადოს სასტიკი საყვედური და დაეკისროს სასამართლოს ხარჯების გადახდა (ფურც, 71)

საქმე 176

მამულაშვილის საქმე ძალაუფლების გადამეტებასთან დაკავშირებით (1912 წელი), 10 ფურცლიანი.

მამულაშვილი მიხეილ ალექსანდრეს ძე, შარურო-დარალაგეხსკის უეზდის პოლიციის პრისტავი. საქმეშია განაჩენი (გურც. 2, 3).

განაჩენი 1911 წ. 7 დეკემბრის თბილისის სასამართლო პალატის სასამართლო სხდომისა, თავ-რე ს. ბოროდინსკი, პალატის წევრები: ი. უნტელოვი და ლ შურასი მამულაშვილი, 38 წლის, ძალაუფლების გადამეტებისათვის გამოეცხადოს საყვედური და სასამართლო ხარჯების დაფარვა.

საქმე 193. 1913-1914 წწ. 58 ფურცლიანი.

ნოვობაიაზეთის მეორე უბნის პრისტავის ცალკალამიძის საქმე. 1913 წ. 1 ნოემბრის სასამართლოს გადაწყვეტილება - არამართებული ქმედების გამო.

ერევნის გუბერნიის სოფ. სემიონოვკაში მცხოვრები დავით პიოვაროვი დააკავა ცალკალამიძემ სასამართლო განჩინების საფუძველზე და გააგზავნა ახტინის ციხეში (ახტალა?! თ. ფ.). დაკავებულის ციხეში მიყვანა კერძო პირს, სემიონოვკელ აბრაამ პეტროვს დაავალა. პეტროვმა არ შეასრულა დავალება და პიოვაროვი გაუშვა. ცალ-

კალამიძემ კი გამოიჩინა გულგრილობა, რადგან მას არ მიუღია ციხის ადმინისტრაციის ხელწერილი პატიმრის მიღებაზე (ფურც. 210)

ცალკალამიძე ზაქარია მიხეილის ძე, დაბ. 1869 წ. 19 დეკემბერს, მართლმადიდებელი, დაჯილდოებულია ბრინჯაოს მედლით, იმპერატორ ალექსანდრე მესამის სამახსოვრო მედლით 1897 წელს გაწეული სამსახურისათვის. განათლება - საოჯახო (ფურც. 33). პირველი ქორწინებიდან ჰყავს გოგო დარია, დაბ. 1899 წ. 20 მაისს და ვაჟი მიხეილი, დაბ. 1901 წ. 31 იანვარს. მეორედ დაქორწინდა ოლგა კასრაძეზე, დაბ. 1876 წ. მეორე ქორწინებიდან შვილი არ ჰყავს.

საქმეში არის დაკითხვის ოქმები.

საქმე N 289.

1910 წელი. სომხეთის რევოლუციური კავშირის „დაშნაკუტუნის“ წესდება და ამ ორგანიზაციის მეოთხე საერთო კრების დადგენილება (306 ფურცლიანი)

ამონარიდები წესდებიდან:

კავშირის წევრობა ორი სახისაა: „დეიატელნი“-მოქმედი და დამხმარე („ვსპომოგატელნი“). მოქმედი წევრები მონაწილეობენ რომელიმე ორგანოს საქმიანობაში და იხდიან საწევროს -შემოსავლის 2 პროცენტს.

დამხმარე - რომლებიც აღიარებენ კავშირის პროგრამას, ეხმარებიან მატერიალურად, თუმცა არ ხელმძღვანელობენ კავშირის წესდებითა და ტაქტიკით (ფურც.1)

„ცალკეული მოღვაწეები“ - ორი სახისაა: პროპაგანდისტული და წარმომადგენლობითი. პროპაგანდისტული - ვინც ეწევა ამ საქმიანობას. წარმომადგენლობითი - რომლებიც კავშირის სახელით გადიიან განსაზღვრულ ადგილებზე განსაზღვრული დროით და განსაზღვრული დავალებით.

ორგანიზაცია:

ა. ჯგუფი, ბ. ქვეჯგუფი, გ. კომიტეტი, დ. ცენტრალური კომიტეტი ე. პასუხისმგებელი ორგანო, ვ. ბიურო

7 და მეტი დაშნაკელი - **ჯგუფია;**

ქვეკომიტეტი არანაკლებ 50 მოქმედ წევრს (დეიატელნი) უნდა აერთიენებდეს (ფურც. 2);

კომიტეტი - 200 და მეტ დეიატელნი წევრს,

ცენტრალური კომიტეტი - რაიონს.

ცენტრალური კომიტეტი შეიძლება ჰქონდეს ორგანიზაციას, თუ მასში 1000 და მეტი „დეიატელნი“ წევრია;

ბიურო-კავშირს აქვს ორი ბიურო: **აღმოსავლეთის და დასავლეთის.**

აღმოსავლეთის ბიურო - იგულისხმება **თურქეთის სომხეთი** კირსან-ხარბერტ ტიგრანაკერტის საზიდან აღმოსავლეთით და **კავკასია, რუსეთი, ირანი;**

ბიუროს აქვს ორი მიმართულება: **თურქეთის სომხური მიმართულება და კავკასიის** (ფურც. 9)

დასავლეთის ბიურო შედგება ა. მცირე აზია კირსან-ხერბერტ-ტიგრანაკერტის საზიდან დასავლეთით და ბ. **ბალკანეთის ნახევარკუნძული, ამერიკა, ეგვიპტე და მთელი საზღვარგარეთი** რუსეთის და სპარსეთის გარდა.

დასავლეთის ბიურო გამოსცემს: **„დროშაკ“ (ზნამია) -ს** (დაშნაკუტუნის მთავარი ორგანოს სახელის მიხედვით). აქვს სხვა გამოსცემებიც უცხოურ და სომხურ ენებზე. ეწევა პროპაგანდას უცხოეთში.

რაიონული კრება სამი სახისაა: ა. **დიდი სომხეთის, ბ. კავკასიის გ. დას. რაიონების** (ფურც. 11)

ცენტრალური კომიტეტი (ყველა ცკ) მოვალეა ჰყავდეს არანაკლებ 1000 წევრი და წელიწადში 20000 ფრანკი შემოსავალი, **ყოველწლიურად მოამზადოს 50 შეიარაღებული ამხანაგი**, რომელთაგან 10 მზად იქნება გადავიდეს ქვეყანაში, ე.ი. თურქეთის სომხეთში (ფურც.15-16). რევოლუციური ამოცანების შესასრულებლად დაშნაკე-

ბის ორგანიზაცია ორგანიზებას უკეთებს მებრძოლ ჯგუფებს. თითოეული ჯგუფი უნდა შედგებოდეს 10 კაცისაგან. ყველა მებრძოლი ვალდებულია შრომობდეს, ჰქონდეს საკუთარი იარაღი და ასე შევიდეს კავშირში, როგორც მებრძოლი.

ტერორი. ორგანიზება გაუკეთდეს სისტემატურ პოლიტიკურ ტერორს;

დაარსდეს „**მოქმედი ტერორისტული კომიტეტი**“

ორგანიზება გაუკეთოს თავდაცვის საქმე თურქეთის სომხურ და სომხებით დასახლებულ ადგილებში;

თავდაცვის ჯგუფები უნდა შეიარაღდნენ ადგილობრივი მოსახლეობის მატერიალური საშუალებებით (ფურც. 31). ეს უნდა მოხდეს თანდათანობით, თავდაცვის ჯგუფების ფორმირების პარალელურად (ფურც. 32)

მებრძოლო ჯგუფები:

წარმატების მისაღწევად სხვადასხვა ჯგუფთან ერთად შეიძლება იყოს საველე და მებრძოლი ჯგუფები.

კავკასიის თავდაცვა:

თავდაცვა საერთო-სახალხო საქმე უნდა იყოს (ფურც. 32). თუ კი ხალხი თხოვს პარტიას უხელმძღვანელოს, მაშინ პარტია ვალდებულია გაუწიოს ხელმძღვანელობა.

კონსპირაციული საქმიანობა, იარაღის საქმე

სხვადასხვა ადგილებში უნდა დაგაფუძნოთ სახელოსნოები იარაღის ხელოსნობის სწავლებისა და წარმოებისათვის (ფურც. 34)

დადგენილებაში ცალკე პარაგრაფია **სომეხ-თათართა შეჯახების საკითხზე 1905-1906 წწ.**

მტრობა აზიანებს საერთო საქმეს. შეუგნებელ თათარ გლეხებს საკუთარი ინტერესებისათვის აქეზებენ ბევები. ამიტომ საჭიროა სოლოდარობის პროპაგანდა როგორც სომხებში, ისე თათრებში.

რევოლუციური კავშირების განმტკიცება:

- საქმიანობა ქართველებთან ერთად.

არ უნდა დავივიწყოთ ის მჭიდრო კავშირები, რომლებიც არსებობდა ქართველ და სომეხ მშრომელებს შორის. უნდა ვიმოქმედოთ ერთად. სამწუხაროა, რომ საქართველოში მოქმედი პარტიებიდან ყველაზე მსხვილი რუსეთის სოციალისტური პარტიაა (ფურც. 37). ბეჭდური გამოცემები სოლიდარობის ნაცვლად თესავენ მტრობას.

საქმეში არის აგრეთვე ყრილობის ოქმები.

საქმე N 212 (1914-1916 წწ)

საქმე ეხება ზაქარია ცალკალამიძეს, 45 წლისას. საუბარია, რომ ბრალდებულ პიროვაროვს მიესაჯა სასჯელი, მაგრამ ციხეში არა პოლიციის სტრაჟნიკებს, არამედ კერძო პირს-სემიონოვს აბრამ პეტროვს გაატანა, მაგრამ პეტროვმა იგი გაუშვა (ფურც. 3-4)

საქმე N 245

ტერ სააკოვის საქმე გლეხ ჩერუკაშვილის მკვლელობისა და ფულის მოპარვის ფაქტზე (1916-1917 წწ. - 61 ფურცელი)

საქმეშია სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც შედგა 1916 წ. 8 დეკემბერს. თავმჯდომარე - ანდერსონი, წევრები: პ. მეიგური, ნ. გელერტოვი. მდივნის თანაშემწე ვასილკოვი

ტერ სააკოვი, იგივე ბაგრატი მაკაროვი თურქეთის ქვეშევრდომი, 22 წლის. მან წინასწარი განზრახვით, 1916 წ. 1 იანვარს, ღამით წაართვა ფული ივანე ჩეკურაშ-

ვილს დაწესებულებაში, რომელიც მდებარეობდა ერევნის გუბერნიის კამარლის რკინიგზის სადგურში (ფურც. 45). მან მსხვერპლს ჩაარტყა ცული, თავი გაუპო და წაიღო ფული. ჩეკურასვილი იქვე გარდაიცვალა.

სასამართლოზე ტერ სააკოვმა დანაშაული აღიარა. სააკოვის მტკიცებით მკვლელობაში მონაწილეობდა სოფ. ბეგზიგაჯლის მკვიდრი მურადხანოვი შვილთან ერთად.

დაადგინა: 18 წლის ლევონ მურატხანოვს ჩამოერთვას ყველა უფლება და მიესაჯოს 6,8 წლიანი კატორღა. ასეთივე სასჯელი ერვო სააკოვსაც (ფურც. 50)

საქმე N 1395

ქუთაისის საოლქო სასამართლოსგამომძიებლის კარსკოის პირადი საქმე (1903-1914 წწ), 81 ფურცელი)

1906 წ. შედგენილი სამსახურებრივი ფორმულარული სის მიხედვით სტეფანე კარსკოი, ტიტულიანი მრჩეველი, შოროპანის სასამართლოს თანაშემწე, დაიბადა 1865 წ. 21 იანვარს, რომაულ-კათოლიკური რწმენის. 1892 წ. დაამთავრა ვარშავის უნივერსიტეტი. იურიდიული განათლებით. 1895. წ. 11 თებერვალს დაინიშნა ვარშავის საოლქო სასამართლოში - სასამართლო უწყების უმცროს კანდიდატად. ასრულებდა მდივნის თანაშემწის მოვალეობასაც. პირველი ქორწინებიდან (სოფი ბრონისი) არ ჰყავს შვილები. ცოლიც რომაულ-კათოლიკური რწმენისაა (ფურც.19-20).

1895 წ. გუბერნიის მდივნის ჩინი მიეცა. 1903 წ. 25 თებერვლიდან დაინიშნა შოროპანის სასამართლოს (ქუთაისის საოლქო სასამართლო) თანაშემწედ (ფურც. 21), შემდეგ გადმოყავთ ბათუმში სასამართლოს თანაშემწედ.

საქმე N 1398

ქუთაისის საოლქო სასამართლოს ფორმულიარული სამსახურებრივი სიები (1909-1914) (40 ფურცელი)

საქმეში წარმოდგენილია ფორმულიარული სიები ნიკოლოზ პაშიკოვის (1-8 ფურცლები), ალ პეტროვის (15-22), ნიკოლოზ რაზმაძის, რომაშევის (23-31) გნონსკის (ფურც.37-40) შესახებ.

ნიკოლოზ რაზმაძე - დაბ. 1863 წ. 3 იანვარს, მართლმადიდებელი, დაამთავრა ტომსკის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1903 წლიდან არის სასამართლო სისტემაში უმცროსი კანდიდატის, მდივნის თანაშემწის თანამდებობებზე. მიენიჭა უფროსი კანდიდატის საგუბერნიო მდივნის ჩინი. შემდეგ, 1905 წ. 2 ნოემბერს გადაყავთ ბაქოს საოლქო სასამართლოში კანდიდატის საშტატო ერთეულზე ხელფასით - 1000 მანეთი წელიწადში. ამავე წლის 26 ნოემბერს გადაყავთ ქუთაისის საოლქო სასამართლოში უმცროსი კანდიდატის პოზიციაზე - 1000 მანეთი წლიური ხელფასით (ფურც. 9-11).

საქმე N 1403

მემამულე ილარიონ წულაიას საქმე, 1912 წელი (116 ფურცელი)

1912 წ. 13 აგვისტოს ხოფის პოსტის პოლიციის სტრაჟნიკები: კირიმ კანტემირვი და დურსუნ ოღლი, რედკალეს პრისტაგმა მიაგლინა გატაცებული მაიკო ნაჭყეზიას და მისი გამტაცებლის ანტონ წულაიას სამმართველოში მისაყვანად. გატაცებულის ადგილსამყოფელ შენობაში შეღწევის მიზნით კანტემიროვი შეეცადა გამოეყენებინა ე. წ. შავი ხერედი, მაგრამ იქ შეხვდა ანტონის ძმა ილარიონს. ილარიონმა დაინახა რა სტრაჟნიკები, არ შეუშვა კანტემიროვი და განაცხადა, რომ არ დაუშ-

ვებს მათ შესვლას სახლში. ამ დროს სამზარეულოდან გამოჩნდა ანტონ წულაია და გაიქცა, მაგრამ კანტემიროვი გაეკიდა და დააკავა. კანტემიროვის და ილარიონის შესვდრით ისარგებლა დურსუნოვლიმ და წინა კარებიდან შევიდა სახლში. მან სახლში მყოფთაგან გამოაცალკევა გატაცებული მაიკო ნაჭყებია და შეიყვანა ცალკე ოთახში. იგი დარაჯობდა გატაცებულს, მაგრამ მალე ოთახში შევიდა ილარიონ წულაია (გამტაცებლის ძმა), უეცრად ერთი ხელი დურსუნს ჩაავლო სამხრეთში, მეორე ხელით კი შეეცადა მისთვის წაერთმია ბერდენკა, თან გაიძახოდა, რომ არ გაატანდა თავის სარძლოს, რომ დურსუნი არის არა სტრაჟნიკი, არამედ ყჩაღი. გაჩაღდა ხელნართული ბრძოლა (ფურც. 2). კანტემიროვი გაიწია დურსუნის დასახმარებლად, მაგრამ სახლში მყოფი ხალხის მასამ შეაკავა იგი. კანტემიროვმა ისროლა ჰაერში, რის გამოც ილარიონ წულაიამ დაანება თავი დურსუნს. სტრაჟნიკებმა შეძლეს მაიკო ნაჭყებია და ანტონ წულაია მიეყვანათ სამმართველოში პრისტავთან.

ილარიონ წულაია იყო ზუგდიდის უეზდვი სოფელ ხორგადან, 25 წლის. მას ბრალად წაუყენეს პოლიციელზე წინააღმდეგობის გაწევა. წულაია მიეცა სასამართლოში.

**აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი,
ფონდი რ- 178, საქმე N 29**

ქედის მუნიციპალიტეტის 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემები

ვაგრძელებთ აჭარის საარქივო სამმართველოს ფონდებში დაცული დოკუმენტების პუბლიკაციას. ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ ფონდ რ- 178-ის N 29 საქმეთა ერთეულში დაცული მასალების ერთ ნაწილს, რომელშიც ასახულია **თანამედროვე ქედის მუნიციპალიტეტის 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემები**: კომლობრივი შემადგენლობის სახელობითი სიები - ოჯახის უფროსის, სქესობრივი სტრუქტურის, ნათესი ფართობების, საქონლის (მსხვილფეხა, წვრილფეხა, ცხენების) რაოდენობის მითითებით.

ვიმედოვნებთ, რომ მკითხველი გაგებით მოეკიდება დედანიდან დოკუმენტების ბეჭდვის დროს დაშვებულ შეცდომებს და შესაძლო უზუსტობებს. დოკუმენტში არაერთი სიტყვის, სახელის თუ გვარის ამოკითხვა გარკვეულ სირთულესთან არის დაკავშირებული. ბევრი სიტყვა, სახელი თუ გვარი გაურკვეველადაა დაწერილი, თანაც ფანქრით, რაც ართულებს დოკუმენტის სწორად ამოკითხვას. როგორც ჩანს, ზოგიერთი ანთროპონიმი თავად აღმწერს არასწორად ჩაუწერია.

ამჯერად ჩვენი მიზანი არაა წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტის ანალიზი. ვფიქრობთ, ამას თავად მკითხველი გააკეთებს. დავძენთ მხოლოდ, რომ დოკუმენტი უადრესად საინტერესოა არა მარტო სპეციალისტებისათვის, არამედ აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული ყველა ადამიანისათვის.

ქედის თემი
აღმწერი - ივანე ბურკაძე
სოფ. ზენდიდი

№	მეკომუარის სახე- ლი და გვარი	მცხოვრები			ნათესი (სა- ფომი პინა)	ბალი და გმ- ნაზი	საერთო რიცხვი	პ ი რ უ ტ ყ ვ ი			
		მაჰაკაცი	ღვდააკაცი	ს უ ლ				მათ შორის			
								ცხენი	მსხვი ლფ.	ცხვარ ი და	დანარ ჩენი
1	ღიასამიძე ყელიძე	4	3	7	121	-	4	-	4	-	-
2	ღიასამიძე რემიზ	1	1	2	36	-	3	-	3	-	-
3	ღიასამიძე ხასან	6	7	13	82	-	8;1-2	1-2	5	3	-
4	ღიასამიძე აბდუღ	6	3	9	72	-	7	-	6	1	-
5	ღიასამიძე ხაჯი	7	5	12	95	-	8;1-2	1-2	4	4	-
6	ღიასამიძე ასლან	5	5	10	81	-	5;1-2	1-2	5	-	-
7	ღიასამიძე ხუსეინ	3	3	6	42	-	3	-	3	-	-
8	ღიასამიძე მემეღა- ღი	2	4	6	31	-	2	-	1	1	-
9	ბასელიძე დურაყ	2	2	4	33	-	2	-	2	-	-
10	პაპუნძი თოფან	3	3	6	31	-	3	-	3	-	-
11	პაპუნძი სულეი- მან	4	4	8	46	-	2	-	1	1	-
12	პაპუნძი იუსუფ	6	2	8	33	-	4	-	4	-	-
13	ბეჟანიძე ემინ	7	7	14	56	-	7	-	4	2	1
14	ნიჟარაძე ქემალ	1	2	3	31	-	15	-	3	12	-
15	ბეჟანიძე ხასან	2	5	7	24	-	1	-	1	-	-
16	შარვაშიძე ხაჯი- მეღ	3	2	5	60	-	5	-	2	3	-
17	შარვაშიძე ეიუბ	4	1	5	41	-	7;1-2	-	3	4	1-2
18	ბერიძე სულეიმან	4	6	10	51	-	7	1	5	1	-
19	ღავითაძე სულეი- მან	4	3	7	57	-	5	1	4	-	-
20	ბეჟანიძე ხუსეინ	3	2	5	31	-	6	-	6	-	-
21	ომეროღლი(ქერი- ვი ქალი) ეზიხე	-	1	1	21	-	5	-	5	-	-
22	ბეჟანიძე ყაია	1	6	7	21	-	3	-	3	-	-
23	ბეჟანიძე ანმეღ	7	1	8	77 ^{1/2}	-	4	-	3	1	-
24	ბეჟანიძე მურთაზა	3	4	7	63	-	17;1-2	-	3	14	1-2
25	ბეჟანიძე ნური	2	2	4	39	-	2	-	2	-	-
26	ბეჟანიძე ბეჰირი	2	2	4	50	-	2	-	1	-	1
27	ბეჟანიძე ასლან	3	4	7	31	-	9	-	4	5	-
28	ბერიძე ოსმან	6	4	10	56	-	7;1-2	-	6	1	1
29	ბერიძე მახმუღ	6	5	11	52	-	4	-	4	-	-
30	ბერიძე სულეიმან	3	2	5	36	-	4	-	3	1	-
31	ბერიძე ზეჰერია	2	2	4	25	-	4	-	3	1	-
32	ალიოღლი დურ- სუნ	3	7	10	59	-	5	-	4	1	-
33	ბერიძე სერთმა- მუღ	7	3	10	70	-	3;1-2	-	3	-	1-2
34	ბარამიძე დურსუნ	4	1	5	35	-	2	-	2	-	-
35	ბეჟანიძე მოლაახ- მეღ	2	4	6	55	-	7	2	5	-	-
36	ბეჟანიძე იუსუფ	1	2	3	10	-	3	2	1	-	-
37	ბეჟანიძე ხემიდ	6	5	11	50	-	-	-	-	-	-

38	ბეჟანიძე იბრაინ	2	1	3	20	-	-	-	-	-	-
39	ბერიძე შერიფ	2	3	5	20	-	2	-	1	1	-
40	ბერიძე ასმელ	7	5	12	32	-	10;1-2	-	6	4	1-2
41	ბერიძე ხულუს	2	1	3	11	-	1;1-2	-	4	1	1-2
42	ბერიძე მემედალი	5	3	8	48	-	4	-	4	-	-
43	ბერიძე აბდული	4	5	9	32	-	5	-	3	2	-
44	ბარამიძე აბდულ	4	5	9	17	-	4	-	4	-	-
45	ბარამიძე ხულუს	2	3	5	15	-	2	-	2	-	-
46	ბერიძე ხუსეინ	1	3	4	31 ^{1/2}	-	5	-	5	-	-
47	ბეიძე ალი	3	3	6	31	-	6	-	6	-	-
48	ბარამიძე ასმელ	4	-	4	34	-	2	-	2	-	-
49	ბერიძე მახმუდ	8	6	14	66	-	7	-	6	1	-
50	ბარამიძე ოსმან	4	2	6	40	-	4	-	3	1	-
51	ბარამიძე იუსუფ	3	5	8	47	-	10	-	4	6	-
52	ბეჟანიძე ხუსეინ	3	4	7	20	-	2	2	-	-	-
53	ბასილაძე სულეიმან	1	-	1	-	-	-	-	-	-	-
54	ბერიძე ხასან	1	-	1	20	-	-	-	-	-	-
55	პაპუნძიძე ისმაილ	2	1	2	25	-	2	-	-	2	-
		193	175	368	2314	-	251;9-18	8;3-6	167	74	2;6-12

ფონდი: რ-178; ან.1, საქმე 29, ფურც. 170

სოფ. ცხემნა
აღმწერი: ივანე ბურკაძე

№	მეკომუარის სახელი და გვარი	მცხოვრები			ნათესი	ბავი და ვენახი	პ ი რ უ ტ ყ ვ ი				
		მამაკაცი	ღვთაქაცი	ს უ ლ			საერთო რიცხვი	მათ შორის			
								ცხენი	მსხვი ღვ. ჯიშის	ცხვარი და თხა	დანარჩენი
1	შაქირ (გვარი არ იკითხება)	5	2	7	25	-	7	1	6	-	-
2	აბდულ (გვარი არ იკითხება)	4	2	6	20	-	7	1	3	3	-
3	ბერიძე თებილ	3	3	6	20	-	6	-	4	2	-
4	ცინცაძე მემედ	4	3	7	16 ¹⁻²	-	4	-	4	-	-
5	ცინცაძე ისმაილ	4	2	6	14	-	8	-	6	2	-
6	ცინცაძე ისმაილ	2	1	3	4	-	3-2	-	-	3-2	-
7	ცინცაძე ხუსეინ	6	3	9	21	-	6	-	4	2	-
8	აბაშიძე სულეიმან	3	1	4	20	-	8	-	5	3	-
9	აბაშიძე ოსმან	4	5	9	20	-	7	-	3	4	-
10	ცინცაძე სულეიმან	4	2	6	9	-	3	-	3	-	-
11	აბაშიძე ხუსეინ	2	2	4	16	-	2	-	-	2	-
12	ღიასბაძე ყარა				15	-		-			-
13	ღიასბაძე ხაჯი				30	-					-
	ჯამი	41	26	67	230 ^{1/2}	-	58;3-2	2	38	18; 3-2	-

ფონდი: რ-178; ან.1, საქმე 29, ფურც. 171

**სოფ. ზედა აგარა
აღმწერი ივანე ბურკაძე**

№	მეკომუარის სახელი და გვარი	მცხოვრები			ნაოესი	ბალი და გენზი	პ ი რ უ ტ ყ ვ ი					
		მამაკაცი	დედაკაცი	ს უ ლ			საერთო რიცხვი	მათ შორის				
								ცხენი	მსხვილფ. რქიანი საქონელი	ცხვარი და თხა	დანარჩენი	
1	თებიძე სეფერ	2	2	4	32	-	3	-	2	1	-	
2	დევაძე მუხამედ	6	4	10	61	-	9	-	7	2	-	
3	დევაძე ესრეთალი	7	4	11	31	-	3	-	2	1	-	
4	დევაძე ბეკირ	2	3	5	51	-	7	-	3	4	-	
5	დევაძე შაქირ	4	1	5	39	-	3	-	3	-	-	
6	დევაძე ხუსენ	3	3	6	47	-	7	-	3	4	-	
7	თებიძე ასლან	3	1	4	41	-	-	-	-	-	-	
8	სურმანიძე მუსტაფ	2	1	3	25	-	2	-	2	-	-	
9	სურმანიძე დურსუნ	2	1	3	16	-	-	-	-	-	-	
10	სურმანიძე ასლან	8	5	13	124	-	3	1	2	-	-	
11	სურმანიძე მახმუდ	5	3	8	108	-	8	-	5	3	-	
12	სურმანიძე ხასან	7	2	9	69 ¹⁻²	-	3	-	3	-	-	
13	სურმანიძე ყედირ	4	2	6	50	-	2	-	2	-	-	
14	სურმანიძე ხუსეინ	2	3	5	15 ¹⁻²	-	-	-	-	-	-	
15	სურმანიძე დაუთ	2	2	4	50	-	1	-	1	-	-	
16	დევაძე ახმედ	3	3	6	67 ¹⁻²	-	4	-	4	-	-	
17	დევაძე ადემ	3	1	4	34	-	2	-	2	-	-	
18	დევაძე მერჯანიშვილი ახმედ	2	4	6	54 ^{1/2}	-	4	-	2	2	-	
19	დევაძე ისმაილ	3	1	4	78	-	2	-	2	-	-	
20	დევაძე ხასან	2	1	3	43	-	1	-	1	-	-	
21	დევაძე მახმუდ	1	1	2	15	-	-	-	-	-	-	
22	დევაძე ოსმან	4	2	6	51	-	10;1-2	-	3;1-2	7	-	
23	დევაძე სულეიმან	2	2	4	43	-	3	-	3	-	-	
24	დევაძე მუსტაფ	5	4	9	53	-	2	-	2	-	-	
25	დევაძე იუსუფ	2	1	3	20	-	-	-	-	-	-	
26	თებიძე მახმუდ	2	5	7	26	-	1	-	1	-	-	
27	თებიძე აბდულ	1	1	2	25	-	1	-	1	-	-	
28	დევაძე უსტახასან	3	2	5	52	-	3	-	3	-	-	
29	დევაძე მესსუდ	5	2	7	32	-	1	-	1	-	-	
30	დევაძე დურსუნ	2	3	5	29	-	1	-	1	-	-	
31	დევაძე მერჯანიშვილი მეველუდ	1	2	3	33	-	2	-	-	2	-	
32	დევაძე ესედ	4	2	6	143	-	4	-	4	-	-	
33	დევაძე ახისხალოდლი მეველუდ	4	1	5	71	-	4	-	4	-	-	
34	დევაძე შაყბან	4	4	8	67	-	7	1	6	-	-	
35	დევაძე მერჯან	5	4	9	73	-	13	1	6	6	-	
36	დევაძე შარნოდლი დურსუნ	1	2	3	23	-	1;1-2	-	1;1-2	-	-	
37	დევაძე ხასან	8	4	12	83	-	4	-	4	-	-	
38	დევაძე ალიოსმან	7	5	12	32	-	8	-	7	1	-	
39	დევაძე ბილალი	3	2	5	27	-	4	-	3	1	-	
40	დევაძე ომერ	5	2	7	61	-	4	-	4	-	-	

41	დევაძე ამეჯან	3	4	7	44	-	3	-	2	1	-
42	დევაძე თეუფიყ	4	3	7	21	-	1	-	1	-	-
43	დევაძე ნური ეფენდი	3	4	7	66	-	7;1-2	-	5;1-2	2	-
44	დევაძე ხუსეინ	6	2	8	72	-	7	1	3	3	-
45	ფარტენაძე ახმედ	5	2	7	20	-	4	-	2	2	-
46	ფარტენაძე მოლაბუსამედ	2	3	5	41	-	6	-	4	2	-
47	ფარტენაძე თეიარ	5	4	9	66	-	6	-	3	3	-
48	დევაძე მეტია	7	6	13	60	-	14	1	6	7	-
49	თებიძე ბურჰან	5	6	11	152	-	3	-	3	-	-
50	თებიძე თაიმაზ	4	4	8	47	-	2	-	2	-	-
51	თებიძე მემედ	4	5	9	83	-	8	1	7	-	-
52	თებიძე ჯელილ	1	1	2	6	-	2	-	2	-	-
53	დევაძე ხასან	3	2	5	25	-	4	-	4	-	-
54	დევაძე მახმუდ	3	2	5	31	-	2	-	2	-	-
		196	146	342	2730	-	206;3-6	6	146;3-6	54	-

ფონდი: რ-178; ან.1, საქმე 29, ფურც. 171-172

სოფ. ქვედა აგარა
აღმწერი ივანე ბურკაძე

№	მეკომურის სახელი და გვარი	მცხოვრები			ნათესი	ბავი და ვენახი	პ ი რ უ ტ ყ ვ ი				
		მამაკაცი	დედაკაცი	სულ			საერთო რიცხვი	მათ შორის			
								ცხენი	მსხვილფეხიანი რქიანი საქონელი	ცხვარი და თხა	დანარჩენი
1	თებიძე ხასან	3	4	7	63	-	6;2-4	1-2	3;1-2	3	-
2	თებიძე იუსუფ	1	1	2	22	-	1	-	1	-	-
3	დევაძე თეოფიყ	2	2	4	50	-	5	-	4	1	-
4	დევაძე ხალით	3	3	6	52	-	3	-	3	-	-
5	დევაძე რეჯებ	4	3	7	71	-	3	1	2	-	-
6	დევაძე ისლამ	5	2	7	106	-	17;1-2	-	4	13;1-2	-
7	დევაძე იუსუფ	5	6	11	57	-	4	-	4	-	-
8	დევაძე სულეიმან	4	3	7	53	-	3	-	1	2	-
9	დევაძე რესულ	5	3	8	52	-	4	-	2	2	-
10	დევაძე თალიფ	6	4	10	65	-	7	-	3	4	-
11	დევაძე მეგლუთ	2	2	4	54	-	3	-	2	1	-
12	დევაძე აბდულ	4	4	8	62	-	2	-	2	-	-
13	დევაძე ქამილ	4	2	6	51	-	3	-	2	1	-
14	დევაძე ხუსეინ	4	3	7	82	-	3	-	2	1	-
15	თებიძე მუსამედ	2	1	3	15 ^{1/2}	-	2	-	-	2	-
16	თებიძე ემინ	2	1	3	30 ^{1/2}	-	2	-	2	-	-
17	დევაძე ყულფან	6	3	9	62	-	7	-	4	3	-
18	დევაძე ოსმან	6	3	9	61 ^{1/2}	-	5	-	3	2	-
19	დევაძე ჰელი-მოლლი სულეიმან	4	3	7	90 ^{1/2}	-	8	1	3	4	-
20	დევაძე ჰელი-მოლლი ომერ	3	2	5	64	-	7	-	3	4	-
21	დევაძე კვერნი	3	2	5	13	-	3	-	-	3	-

	ოღლი რეჯებ										
22	დევაძე კვერნი- ოღლი ხუსეინ	4	1	5	37	-	4	-	2	2	-
23	თებიძე ყადირ	1	-	1	11	-	-	-	-	-	-
24	თებიძე ალი	4	2	6	33	-	1	-	1	-	-
25	თებძაძე შაბა- ნოღლი ხასან	2	3	5	42	-	3	-	3	-	-
26	თებძაძე შაბა- ნოღლი მახმუდ	3	4	7	31 ^{1/2}	-	3	-	3	-	-
